ოპოზიციის სავალდებულო ნაბიჯი გადადგმულია, ახლა ჯერი საზოგადოებაზეა... A3
ფოტორეპორტაჟი მიტინგიდან A8
"საოჯახო ტოტოს" ცხრილი B6-B7

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი, 10 ნოემბერი, 2003 წელი. №293 (505)
ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**სასამართლომ ალავიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა**

გუშინ რუსთავის საქალაქო სასამართლომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს იოსებ ალავიძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა

A2

### ეკონომიკა

**სასაზღვრო უწყება დაფინანსებას "ბი-პი"-ს სთხოვს**

საქართველოში, მართლაც, აბსურდული სიტუაციაა შექმნილი - მას შემდეგ, რაც ბიუჯეტში გათვალისწინებული კუთვნილი დაფინანსება სახელმწიფოსგან ვერ მიიღო, საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტი დაფინანსებას ნავთობის საერთაშორისო კომპანიას და კომპანია "ბი-პი"-ს სთხოვს.

A4

### უცხოეთი

**ანტიდასავლური ძალების გამარჯვება არჩევნებში**

"24 საათის" სტუმარია "მისტერ გაფართოება", აშშ-ს ნატო-ს კომიტეტის თავმჯდომარე და გარდამავალი დემოკრატიების ფორუმის დამფუძნებელი ბატონი ბრუს ჯეკსონი.

A5

### საზოგადოება

**უცნაური არჩევანი**

363552 ხმა 2506388-დან. ეს არის ის მონაპოვარი, რომელსაც სახელისუფლებო ბლოკი ამ არჩევნებში სათავისოდ აფიქსირებს. ქვეყანაში, სადაც, ხელისუფლების წყალობით მოსახლეობა სიღატაკის ზღვარზეა, თურმე ხალხი თანახმაა არაადამიანური ყოფით იცხოვროს. ისევე, როგორც აქამდე ცხოვრობდა.

A6

### სამართალი

**ვაგზლის მოედანზე მდებარე ბაზრობა დროებით დაიხურა**

"ვაგზლის მოედნის" მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედ შპს „თერგის" ბაზრობაზე გუშინ ინციდენტი მოხდა, რის შემდეგაც დაცარიელებული ბაზრობა დაიკეტა.
გავრცელებული ინფორმაციებით, დილით ბაზრობაზე მივიდა რამდენიმეკაციანი ჯგუფი და მოვაჭრეებს მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგზე წასვლისკენ მოუწოდებდა.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 8 |
| ქუთაისი | 13 |
| ბათუმი | 11 |
| სოხუმი | 8 |
| ფოთი | 12 |
| თელავი | 4 |
| ზუგდიდი | 14 |
| გორი | 4 |
| ახმეტა | 6 |
| ჭიათურა | 9 |
| სამტრედია | 13 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1200 |
| ევრო | 2.4202 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5262 |
| რუბლი | 0.0711 |

# ფუჭი შეხვედრა



კრწანისის სახელმწიფო რეზიდენცია. პირველი შეხვედრა საპროტესტო აქციის დაწყების შემდეგ.

ეკა კვესიტაძე.

**"პრეზიდენტმა აქ დროის გასაყვანად მოგვიყვანა. მას საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი, რომ ქართველი ხალხი აბუჩად აიგდოს. მას საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი, რომ საქართველოში ასლან აბაშიძის, მამალაძის, რჩეულიშვილის პრორუსული რეჟიმი დააკანონოს. ამიტომ მე მოვუწოდებ სრულიად საქართველოს, რომ გააგრძელოს საპროტესტო აქციები ამ რეჟიმის წინააღმდეგ,"** – ასეთი განცხადებით დატოვა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ კრწანისის რეზიდენცია, სადაც პრეზიდენტსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის მოლაპარაკება ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პრეზიდენტ შევარდნაძის დაკარგული და დარჩენილი შანსები

გიორგი ასანიშვილი

*სახელისუფლებო ძალების მიერ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბებით გამოწვეული კრიზისი გრძელდება. გუშინდელმა დღემ შექმნილ მდგომარეობაში არსებითი ცვლილებები ვერ შეიტანა. კვანძის გახსნა, შესაძლოა, დღეს მოხდეს - მიტინგის ორგანიზატორები აპირებენ, საპროტესტო აქცია პარლამენტის წინამდებარე ტერიტორიიდან სახელმწიფო კანცელარიასთან გადაიტანონ.*

არადა, გუშინდელი დღე საკმაოდ დამაინტრიგებლად დაიწყო: დილის ცხრის ნახევარზე, როდესაც მომიტინგეთა რაოდენობა შედარებით მცირე იყო, აქციის მონაწილეებთან პრეზიდენტი შევარდნაძე მივიდა. ხალხი მის გამოჩენას

გაგრძელება A2 გვერდზე



შევარდნაძის დაცვამ სააკაშვილი ძალით მოაშორა „ჯიპს".

## დარბაზი ერთხმად პასუხობდა: არა!

"კინოს სახლში" გუშინ ქართული სამოქალაქო საზოგადოების სამეცნიერო და შემოქმედებითი ნაწილი შეიკრიბა, რათა თავიანთი სამოქალაქო პოზიცია პრეზიდენტისადმი მიმართვით დაემოწმებინათ. იქ იყვნენ მხატვრები, რეჟისორები, აკადემიკოსები, მწერლები - ის სახეები, რომლებსაც ტელევიზიით ოპოზიციის შეხვედრებსა და მიტინგებზეც ვხედავთ.

სხვადასხვა გამომსვლელებმა შექმნილი სიტუაცია სხვადასხვა კუთხით გააანალიზეს. ერთხმად აღნიშნეს, რომ დღეს პარტიული დაჯგუფებების ინტერესებისაგან დამოუკიდებლად, დაძაბული ვითარებიდან გამოსასვლელად, მათ საერთო აზრი აქვთ: "პრეზიდენტი უნდა გადადგეს". სხვა გამოსავალს ვერავინ ხედავდა. ალტერნატიული აზრი იყო ის, რომ პრეზიდენტმა უნდა აღიაროს არჩევნების გაყალბება და ბათილად ცნოს იგი, რაც სამართლებრივად, იურისტის განმარტებით, მაინც პრეზიდენტის გადადგომას ნიშნავს. პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტში, რომელიც მწერალმა

გაგრძელება A6 გვერდზე



დარბაზს ხელისუფლების არ სჯერა.

## „გინდათ ასეთი პრეზიდენტი?"

*საღამოს ათი საათისთვის პარლამენტის შენობის წინ გამოსული ათასობით ადამიანი გაერთიანებული ოპოზიციისა და პრეზიდენტის შეხვედრის შედეგებს ელოდებოდა. ასი ათასობით ადამიანი ამ შეხვედრას ტელევიზიის მეშვეობით ადევნებდა თვალს. არასოდეს პრეზიდენტის გადაწყვეტილება ასე მნიშვნელოვანი არ ყოფილა საქართველოსთვის, როგორც გუშინ საღამოს იყო. პრეზიდენტმა გუშინაც ხალხისგან შორს ყოფნა არჩია.*

სოფო ბუკია

**"ამ შეხვედრის იმედი არ მაქვს. პრეზიდენტის იმედი რომ მქონოდა, აქ კი არ ვიდგებოდი. რა დამავიწყებს დღევანდელ დღეს – დღეს დილით პრეზიდენტს თვალებში ჩავხედე და ისე დავიყვირე: გადადექი-მეთქი... პირველმა მე დავიყვირე, შემდეგ მთელი ხალხი ამყვა,"** – ამბობს თბილისელი გელა კობახიძე.

**"ამოდენა ხალხი ქუჩაში ვართ გამოსული. თუ ის მართლა ამ ქვეყნის პრეზიდენტია, რაღაც დათმობებზე უნდა წავიდეს,"** – გვითხრა ნაირა ჩხეიძემ.

**"არ უნდა წასულიყვნენ მასთან შეხვედრაზე, ეგ იმის ჩიტი არ არის, ხალხის ნება ყურად იღოს. ყოველ მიზეზგარეშე უნდა გაგრძელდეს მშვიდობიანი მიტინგები, ფეხი არ უნდა მოვიცვალოთ აქედან,"** – ამბობს ჯუმბერ კეკუტია, რომელიც გუშინდელ აქციას შვილთან ერთად ესწრებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## შევარდნაძე პუტინისგან ქებას იმსახურებს

ლელა მჭედლიძე

პრეზიდენტ შევარდნაძეს შეუძლია, თავისი რუსი კოლეგის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. თუმცა, გაურკვეველი რჩება, რა იყო ორ პრეზიდენტს შორის გამართული საუბრის ძირითადი თემა, აგრეთვე ის, თუ რაზე ისაუბრეს დახურულ კარს მიღმა კარგა ხნის განმავლობაში ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა. **"სატელეფონო საუბარი ვლადიმირ პუტინის ინიციატივით შედგა,"** - ხაზგასმით აღნიშნავდნენ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში.

როგორც პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძემ განაცხადა, რუსეთის პრეზიდენტი საქართველოში არსებული ვითარებით დაინტერესდა. ედუარდ შევარდნაძემაც ვლადიმირ პუტინს ამცნო, რომ **"მიუხედავად მართლაც არსებული ხარვეზებისა და დარღვევებისა, საქართველოში, მისი დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული, 2 ნოემბერს ყველაზე სამართლიანი არჩევნები ჩატარდა."** რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს გუშინ მომიტინგეებთან მისვლის გამო გაბედულება მოუწონა: **"როგორც ყოველთვის, გაბედულად და სწორად მოქმედებთ. რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს და მზად არის ორი ქვეყნის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად,"** – იმნაძის მტკიცებით, ასეთი დაპირება მისცა პუტინმა შევარდნაძეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ცესკო მოლაპარაკებების შედეგების მოლოდინში

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უკვე ოფიციალურად უნდა განესაზღვრა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, რომლის შემდგომაც შესაძლებელი იქნებოდა იმ მანდატების რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც, ცესკო-ს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე, არჩევნებში ბარიერგადალახულმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა მოიპოვეს. თუმცა, სრულიად მოულოდნელად, ცესკო-მ ამ საკითხის განხილვაზე უარი თქვა. ოფიციალური ვერსიით, განხილვის გადადების მიზეზად ის საარჩევნო უბნები და ოლქები დასახელდა, სადაც ვითარება კვლავაც დაძაბულია და სადაც შესაძლოა (სასამართლოში შესული საჩივრების საფუძველზე), არჩევნების შედეგები გადაიხედოს.

არადა, მხოლოდ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის შემდეგ დადგინდება პარტიების შედეგების პროცენტული მაჩვენებლები და მათ მიერ მოპოვებული საპარლამენტო სავარძლების რაოდენობა. ჩვენი ინფორმაციით, ცესკო-ს უკვე მზად ჰქონდა დადგენილების ორი პროექტი, რომელიც, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან ბევრად არ განსხვავდებოდა, თუმცა გარკვეული ქვეტექსტები ორივე მათგანში აშკარად იკითხებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## იტვირთებს თუ არა კობა ნარჩემაშვილი გენერალ როდიონოვის როლს

**უშიშროების მინისტრი თანამდებობის დატოვებას აპირებს?**

სოფიკო ჩხაიძე

*დაუზუსტებელი ინფორმაციით, გუშინ, პრეზიდენტთან ძალოვან უწყებათა პირველი პირების თათბირზე უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ უარი თქვა, საჭიროების შემთხვევაში რუსთაველის პროსპექტზე მყოფი მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმების გამოყვანაზე. მეტიც, გავრცელებული ხმების თანახმად, მისთვის ასეთი მოთხოვნის კატეგორიულად წაყენების შემთხვევაში, ხაბურძანია მზად არის, მინისტრის თანამდებობა დატოვოს.*
*ოფიციალური წყაროები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. შესაბამისად, დანამდვილებით არ შეგვიძლია იმის თქმა, აპირებს თუ არა უშიშროების მინისტრი თანამდებობის დატოვებას და ამით მაგალითის მიცემას ხელისუფლებისა და მთავრობის სხვა წარმომადგენლებისთვის, თუმცა კი ფაქტია, შინაგან საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, ვალერი ხაბურძანია შექმნილ სიტუაციაში ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას ნამდვილად ცდილობს.*

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ფოტორეპორტაჟი
B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6-B7 "საოჯახო ტოტოს" ცხრილი B8 სხვადასხვა

# შევარდნაძე პუტინისგან ქებას იმსახურებს

პირველი გვერდიდან

**"დასავლეთი შეშფოთებულია, მაგრამ მაინც წყნარად არის, რადგან აქ შევარდნაძე ეგულება,"** - ამას უკვე 8 ნოემბერს ვახტანგ რჩეულიშვილი ამტკიცებდა. თუმცა, ფაქტია, რომ დასავლეთის კეთილგანწყობის დასტურად, ძირითადად, რჩეულიშვილის განცხადება უნდა ჩაითვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ ცოტა, კანცელარიის პრესსამსახური მართლაც მოახერხებდა იმ ქვეყნის ელჩების, წარმომადგენლების სახელების აფიშირებას, რომლის მეთაურებმაც პრეზიდენტს თანადგომა პირადად გამოუცხადეს. სწორედ ისე, როგორც ეს ვლადიმერ ჩხიკვიშვილთან მიმართებაში იყო, როცა ტელევიზიის წარმომადგენლები ოპერატიულად აიყვანეს შევარდნაძის და ჩხიკვიშვილის შეხვედრის დასაფიქსირებლად.

გუშინ, ვაჟა ლორთქიფანიძის გარდა, კანცელარიის დერეფნებში, თამაზ ნადარეიშვილთან ერთად, ბორის კაკუბავასაც კი მოჰკრეს თვალი. ფაქტია, რომ სულ ორი დღით ადრე ოპოზიციის მიერ გამართულ აქციას დიდი ხმაურით მიერთებულ კაკუბავას აშკარად არ სურდა იმის განმარტება, თუ როგორ აღმოჩნდა პრეზიდენტის "სამფლობელოში".

უნდა ითქვას, რომ, პუტინის გარდა, გაბედულებას ქვეყნის მეთაურს მინისტრები და თავისი ბლოკის წევრებიც უწონებდნენ.

ვახტანგ რჩეულიშვილი პრეზიდენტსა და ბურჯანაძე-ჟვანიას შორის, სააკაშვილის გარეშე დიალოგის შესაძლებლობაზე საუბრობდა. რჩეულიშვილი, ამ მხრივ, გამონაკლისი არ ყოფილა. ოპოზიციის ორ ნაწილად გაყოფას სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ საკმაოდ გულმოდგინედ ცდილობდნენ, პირველ რიგში - თავად პრეზიდენტი.

რაზე უნდა ესაუბრა ქვეყნის მეთაურს ოპოზიციის ლიდერებთან? ამაზე ერთგვაროვანი პასუხი სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ. ზოგი, მაგალითად გურამ შარაძე, აცხადებდა, რომ ხელისუფლებას ოპოზიციასთან დასათმობი არაფერი აქვს; ელგუჯა მეძმარიაშვილი კი, დათმობის ნაცვლად, **"არჩევნების დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე"** საუბრობდა, პრეზიდენტის პრეს-მდივანი - ოპოზიციის მხრიდან მოთხოვნების დაკონკრეტებაზე. კახა იმნაძის განმარტებით, ოპოზიცია პრეზიდენტისაგან იმას ითხოვს, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის გასაკეთებელი და გასარჩევია. რჩეულიშვილი კი ამტკიცებდა, **"რომ ხელისუფლებას ოპოზიციის გამარჯვება უკვე აღიარებული აქვს, რადგან ამ არჩევნების დროს სახელისუფლებო ბლოკმა მხოლოდ 25 პროცენტის მოპოვება შეძლო."** ყველა ეს განცხადება, ერთი შეხედვით, საკმაოდ მშვიდ ტონში, წყნარ ფონზე კეთდებოდა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო კანცელარია, 8 ნოემბრის მსგავსად, კვლავაც პოლიციის და შინაგანი ჯარის წარმომადგენლებით იყო გამაგრებული. გარდა ამისა, გუშინ პრეზიდენტთან გამართულ თათბირზე ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო პერსონალის მობილიზება მოხდა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის შენობის წინ ხალხთან დალაპარაკების უშედეგო მცდელობის შემდეგ, პრეზიდენტმა მოსახლეობაში გარკვეული ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩასატარებლად რეგიონებში წასვლა გადაწყვიტა. ცნობა პრეზიდენტის რეგიონული ვოიაჟის შესახებ ჯერ კიდევ პუტინთან სატელეფონო საუბრის გახმაურებამდე გაჩნდა. გუშინ, გვიან საღამომდე არ ზუსტდებოდა პრეზიდენტის ვიზიტის დრო და ადგილი. საბოლოოდ, როგორც გაირკვა, პრეზიდენტმა არჩევანი აჭარაზე შეაჩერა.

# პრეზიდენტ შევარდნაძის დაკარგული და დარჩენილი შანსები

პირველი გვერდიდან

შეხვდა შეძახილებით, "გადადექი, გადადექი!" ნინო ბურჯანაძესთან ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ, შევარდნაძისკენ (ამ დროს პრეზიდენტი უკვე მანქანაში იჯდა და წასვლას აპირებდა) მიხეილ სააკაშვილი გაემართა, მაგრამ მისი პირადი დაცვის "ჯებირის" გარღვევა ვერ შეძლო.

**"შევარდნაძემ წაიკეკლუცა და ხალხთან მისვლა მოინდომა, მაგრამ საკადრისი პასუხი მიიღო. მას აღარა აქვს ხელისუფლებაში დარჩენის შანსი, მაგრამ დარჩა შანსი იმისა, რომ რაიმე უგუნური ნაბიჯა არ გადადგას და შთამომავლობამ წყევლა-კრულვით არ მოიხსენიოს",** - იტყვის მოგვიანებით მიტინგზე "გაერთიანებული დემოკრატების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე.

შევარდნაძის შემდეგ, საპროტესტო აქციის მონაწილეებთან მიდის სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი ირაკლი ბათიაშვილი, მაგრამ არც ამას გამოუღია რაიმე შედეგი.

ასეთ "სტუმრიანობას" საზოგადოებამ აქტიურობის გაზრდით უპასუხა: ავდრის მიუხედავად, მომიტინგეთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ქოლგებსა და ცელოფნებს შეფარებული ადამიანები მთელი დღის განმავლობაში ფეხმოუცვლელად იდგნენ რუსთაველის გამზირზე.

მომიტინგეები დღის სამი საათისთვის "აღორძინების" მხრიდან ელოდნენ პროვოკაციას, კერძოდ, ასლან აბაშიძის მხარდამჭერები პარლამენტის წინ მანიფესტაციის ჩატარებას აპირებდნენ, რასაც, ალბათ, აუცილებლად მოჰყვებოდა შეტაკება "ნაციონალების" მხარდამჭერებთან. "პარალელური" საპროტესტო აქცია, საბედნიეროდ, არ შედგა - "აღორძინებამ", ორიოდე დღის წინათ, კარგ ამინდში ვერ შეძლო ცესკო-ს წინ ხალხის თავშეყრა და გადაუღებელ წვიმაში ვინ მივიდოდა სახიფათო მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად?!

ასე რომ, ოპოზიციის მიტინგი "თავისი გზით" წავიდა: კოკისპირულ წვიმაში მდგარ ხალხს საოპერო არიას თავისუფლებაზე უმღერის საქართველოს სახალხო



პრეზიდენტმა სტუმრის თანხლებით დატოვა პარლამენტის ტერიტორია.

არტისტი ჯემალ მდივანი; სიტყვით გამოდის შვილმკვდარი მამა, რომელიც აცხადებს, ჩემი შვილი ცოცხალი რომ იყოს, აქ, თქვენს გვერდით იდგებოდაო; საინგილოდან ჩამოსული ქართველი სინანულით საუბრობს იმაზე, რომ როდესაც ჰეიდარ ალიევი საქართველოში ჩამოდიოდა, აზერბაიჯანელ მოსახლეობას აუცილებლად მოინახულებდა ხოლმე, პრეზიდენტი შევარდნაძე კი, აზერბაიჯანში არაერთხელ სტუმრობის მიუხედავად, საინგილოს "გვერდს უვლიდა"; სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე ითხოვს, რომ გაუქმდეს 2 ნოემბრის არჩევნების შედეგები და ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების შემდეგ, ახალი საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს...

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში მიტინგის რიტორიკა ბევრს არაფერს წყვეტს. მთავარი კულუარებია. ამ "ფრონტზე" კი გუშინ უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა. მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ხმები კანცელარიაში ედუარდ შევარდნაძისა და ოპოზიციის ლიდერების შესაძლო შეხვედრის შესახებ, მაგრამ წინააღმდეგობის ფრონტის ხელმძღვანელებმა "ქაჯეთის ციხეში" მისვლაზე კატეგორიული უარი თქვეს. ამის შემდეგ შევარდნაძემ, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეთა გახლეჩა მოინდომა და განაცხადა, რომ არ შეხვდებოდა რადიკალ სააკაშვილს, მაგრამ კონსტრუქციულ ოპოზიციასთან სასაუბროდ მზად იყო. პრეზიდენტის "ინიციატივას" ზურაბ ჟვანია საკმაოდ მკვახედ პასუხობს: **"ჩვენს ერთიანობაში ხელის ფათურის უფლებას არავის მივცემთ."**

ოპოზიციის ლიდერების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, აგრეთვე, შევარდნაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში აპირებს გასვლას.

**"თუ შევარდნაძე გავა თბილისიდან, ის, როგორც პრეზიდენტი, დედაქალაქში ველარ დაბრუნდება,"** - აცხადებს სააკაშვილი. ამასთან, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი აფრთხილებს შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს, გზების გადაკეტვას თავი დაანებოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრების საუკეთესო წლებს საპატიმროში გაატარებს.

მიხეილ სააკაშვილი ასევე კრიტიკულად შეხვდა ინფორმაციას რუსეთის ელჩთან პრეზიდენტ შევარდნაძის შეხვედრის შესახებ. **"კაცი, რომელიც ასეთ მძიმე ვითარებაში საათობით ესაუბრება რუსეთის ელჩს, განა, ქვეყნისთვის საშიში არ არის?"** - ამ კითხვით მიმართავს სააკაშვილი მომიტინგეებს და თავის შეკითხვაზე, რა თქმა უნდა, ერთსულოვან დადებით პასუხს იღებს. ამის შემდეგ, მიტინგზე "გადაწყდა", რომ ამიერიდან შევარდნაძე პრეზიდენტად კი არა, არამედ "ამხანაგად" მოიხსენიონ.

საპროტესტო აქციის მონაწილეებმა უდრტვინველად მიიღეს გიორგი ბარამიძის მიერ მიტინგზე გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ კოლმეურნეობის მოედანზე შინაგანი ჯარები განალაგა. "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელმა მოუწოდა მომიტინგეებს, რომ **"თუ ხელისუფლება უგუნურებას გამოიჩენს და მშვიდობიან ადამიანებთან ანგარიშსწორებას შეეცდება, ხალხმა კორიდორი გააკეთოს და დარტყმის მისაღებად წინ პოლიტიკოსები გაუშვას, თვითონ კი მიწაზე დასხდნენ."**

ორდღიანი აქციის განმავლობაში პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე არანაირი ინციდენტი, ექსცესი და გაუგებრობა არ მომხდარა. აქ ვერც მიტინგებისთვის დამახასიათებელ ექსტაზსა და ისტერიკას ნახავთ. თავყრილობა მშვიდ, "საქმიან" ატმოსფეროში მიმდინარეობს.

# სასამართლომ ალავიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავის საქალაქო სასამართლომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს იოსებ ალავიძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. ალავიძემ სარჩელი 7 ნოემბერს შეიტანა და ის საუბნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ასევე ბიულეტენების ხელახლა გადათვლას ითხოვდა. სხდომაზე მოპასუხედ რუსთავის N20 საოლქო კომისია იყო წარმოდგენილი, ხოლო მესამე მხარედ ცესკო.

მოსარჩელის განმარტებით, საოლქო კომისიას მათ მიერ წარდგენილი საჩივრები შემაჯამებელ სდომაზე უნდა განეხილა და შესაბამისი განკარგულება უნდა გამოეცა, რაც კომისიას არ გაუკეთებია. ასევე ალავიძის მხარემ წარმოადგინა ცესკოდან მიღებული საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმები, რომლებიც სხვადასხვა კანონდარღვევით იყო შევსებული.

**"მე საოლქოს წარმომადგენელი ვარ და არა საუბნო კომისიების. არაკვალიფიციური ხალხი ავსებდა ოქმებს და ამიტომაა რაღაც ლაფსუსები. მთავარი ისაა, რომ სარჩელი ვადის დარღვევით არის შემოტანილი და მას სასამართლომ უარი უნდა უთხრას ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო,"** - განაცხადა მოპასუხე მხარის ადვოკატმა ასლანიშვილმა.

ალავიძის მხარემ შუამდგომლობა დააყენა პროცესში მოწმეების ჩართვაზე, ასევე მან მოსამართლეს, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, ვიდეოჩანაწერიც შესთავაზა. **"თქვენ თავად ნახავთ, რომ საოლქოს შემაჯამებელი ბლიც-სხდომა სულ 8 წუთსა და 50 წამს მიმდინარეობდა და იქ არ განუხილავთ შემაჯამებელ ოქმში შესატანი საკითხები. სხდომას ესწრებოდა მოპასუხე მხარის ადვოკატიც, თუმცა რა სტატუსით, გაუგებარია. იქ იყვნენ ასევე პოლიციელებიც. კენჭი ეყარა ფარატინა ქაღალდს, არანაირი ოქმი იქ არ შედგენილა,"** - განუცხადა სასამართლოს ალავიძემ.

**"რომც ადასტურებდეს ეს ვიდეომასალა კანონდარღვევას, ჩვენ ეჭვქვეშ დავაყენებთ, არის თუ არა ეს ნამდვილად სხდომა,"** - განაცხადა მოპასუხის ადვოკატმა ასლანიშვილმა. მან ასევე უარყო მისი საოლქო კომისიის სხდომაზე დასწრების ფაქტიც, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი მოწმე, რომელიც დაადასტურებს, რომ ის აღნიშნულ სხდომაზე ნამდვილად იმყოფებოდა და საოლქოს ხელმძღვანელობას იურიდიულ კონსულტაციას უწევდა.

მოსამართლე ჯორბენაძემ ალავიძის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და უარი უთხრა საქმეში ახალი მტკიცებულებების ჩართვაზე.

მოსარჩელე ალავიძის არგუმენტაციით, საუბნო ოქმებში, რომელთა გაბათილებასაც ის ითხოვდა, ფიქსირდება ციფრების დისბალანსი და შეუსაბამობა. **"ყველა ოქმი კანონის იგნორირებით არის შედგენილი. მოწმეები დაადასტურებენ, რომ ხდებოდა ხმების გადაწერა ერთი კანდიდატიდან მეორეზე. თუ გაყალბებას წინ არ აღვუდექით, აბსოლუტური ნიჰილიზმი დაისადგურებს მოსახლეობაში,"** - ალავიძის სიტყვაში პოლიტიკური შეფასებები მოსამართლისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

სამსაათიანი განხილვის შემდეგ მოსამართლე ჯორბენაძემ განაჩენი წაიკითხა და იოსებ ალავიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა ორი მიზეზით: დარღვეული იყო გასაჩივრების ორდღიანი ვადა და სარჩელი არაუფლებამოსილი პირის სახელით იყო შეტანილი სასამართლოში.

დღეს ალავიძე სარჩელს შემდგომ ინსტანციაში, თბილისის საოლქო სასამართლოში შეტანს. ჯერჯერობით უცნობია, იგივეს გააკეთებს თუ არა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", რომელსაც გუშინ რუსთავის სასამართლოში იმავე მოსამართლემ იმავე მიზეზით უთხრა უარი საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

# ცესკო მოლაპარაკებების შედეგების მოლოდინში

პირველი გვერდიდან

პირველი პროექტი ასე ჟღერდა: **"2003 წლის ორი ნოემბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი საუბნო პროპორციული ოლქების საფუძველზე, საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობის, ბათილი ბიულეტენების ჯამის ოდენობით".**

მეორე პროექტს კი დამატებული ჰქონდა სიტყვები: **".... საუბნო სარჩევნო კომისიებზე გაცემული ბიულეტენების რაოდენობის ფარგლებში".**

გუშინ ცესკო-ს იურისტებს განმარტებისთვის არ ეცალათ, თუმცა აშკარაა, რომ მეორე პროექტი ადასტურებს იმ ეჭვს, რომელიც აქამდე არაერთგზის გამოითქმებოდა და რომლის თანახმად, საარჩევნო ურნებში აშკარად ზედმეტი ბიულეტენები იყო ჩაყრილი. თუმცა, კიდევ გავიმეორებთ, რომ ამ დადგენილებების პროექტები გუშინ სხდომაზე განსახილველად არ გამოსულა და, შესაბამისად, არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს ხმაური არ აუტეხავს.

რაც შეეხება ამ საკითხის განხილვის გადადების მიზეზებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცესკო-ში ცნობილი გახდა პრეზიდენტ შევარდნაძისა და ოპოზიციის ლიდერთა შეხვედრის დაწყების თაობაზე და ამ საკითხის გადადებაც სწორედ ამ გარემოებით იყო გამოწვეული. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან საუბარში სახელისუფლებო ბლოკის რამდენიმე წარმომადგენელმა სწორედ ასეთი განცხადებები გააკეთეს (თუმცა, რაღა თქმა უნდა, არაოფიციალურად...)



ცესკო პოლიტიკური პროცესების განვითარებას ელოდება და სხდომას არ ატარებს.

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისია მხოლოდ განმეორებითი კენჭისყრებისა და მეორე ტურების ვადების განსაზღვრით შემოიფარგლა. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, 16 ნოემბერს განმეორებითი კენჭისყრები გაიმართება **მთაწმინდის მეცხრე და მეცამეტე, სამგორის ოცდამეთექვსმეტე, დმანისის ოცდამეორე და ორმოცდამეოთხე, ასპინძის პირველ, მეორე და მეოთხე, სამტრედიის მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეცხრამეტე და ოცდამერვე საარჩევნო უბნებში.**

რაც შეეხება მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურებს. მართალია, ცესკო-ს არ მიუღია ოფიციალური გადაწყვეტილება, მაგრამ, ყველა ნიშნის მიხედვით, იგი 23 ნოემბერს თერთმეტ მაჟორიტარულ ოლქში დაინიშნება: **საბურთალოზე – გივი თარგამაძესა და რევაზ შავიშვილს, კრწანისში – გია გეწაძესა და დავით ჭეიშვილს, ჩუღურეთში – ბესო ჯუღელსა და კონსტანტინე გუნცაძეს, გლდანში - კობა დავითაშვილსა და გიორგი გუნავას, თიანეთში – ილია არჩემაშვილსა და თამაზ მეჭიაურს, ახალციხეში – გოჩა გვარამაძესა და ნუგზარ პარუნაშვილს, ხარაგაულში – ნუგზარ ნავაძესა და ნოდარ ებანოიძეს, ხონში – აკაკი ბობოხიძესა და სიმონ ბახტაძეს, ჭიათურაში – სერგო იაკობიძესა და თენგიზ მოცრაძეს, ლანჩხუთში – ჯონი ფირცხალაიშვილსა და ბიძინა გუჯაბიძეს, ფოთში – ზურაბ ნასარაიასა და რომან მელიას შორის.**

გუშინ ცესკო-მ ოფიციალურად დაასახელა ის მაჟორიტარი კანდიდატები, რომლებიც უკვე ოფიციალურად ცნეს გამარჯვებულებად: **ვაკეში – ლევან გაჩეჩილაძე, ისანში – გიორგი ყარყარაშვილი, ნაძალადევში – მერაბ სამადაშვილი, დედოფლისწყაროში – ლაერტ ზუბადალაშვილი, თელავში – თამაზ ხიდაშელი, თეთრიწყაროში – დავით ბეჟუაშვილი, მცხეთაში – ბადრი ხატიძე, ყაზბეგში – რეზო სუჯაშვილი, ახალგორში – ცეზარ ჩოჩელი, ქარელში – აკაკი ყიფიანი, ნინოწმინდაში – ენზელ მკოიანი, ამბროლაურში – ნიკო ლეკიშვილი, ცაგერში – ავთანდილ სილაგაძე, მესტიაში – ვიქტორ ჯაფარიძე, თერჯოლაში – ზურაბ ბუცხრიკიძე, ბაღდათში – გია მეფარიშვილი, ვანში – ბეჟან ხურციძე, ქუთაისში - ნინო ბურჯანაძე, ჩოხატაურში – ვასიკო ჩიგოგიძე, მარტვილში - ფრიდონ რუხაია.**

# აფხაზები შეშინდნენ

მიმდინარე კვირის ბოლოს თბილისში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები გადაიდო. შეხვედრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენმდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობით უნდა გამართულიყო.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწის ასტამურ ტანიას განცხადებით, **"საქართველოში გაერო-ს მისიის წინადადებით, მოლაპარაკებები გადაიდო მანამდე, ვიდრე საქართველოს დედაქალაქში სიტუაცია არ მოგვარდება."**

ასტამურ ტანია აცხადებს, რომ **"სოხუმში ყურადღებით აკვირდებიან თბილისში მიმდინარე მოვლენებს, რამდენადაც ეს უშუალოდ აისახება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესსა და მის პერსპექტივებზე".**

**პრაიმ-ნიუსი**

# საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2003 წლის 12 ნოემბერს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 2.500.000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 7 აპრილის.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2003 წლის 12 ნოემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*

## მოკლედ

### შევარდნაძე თბილისიდან მიდის

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის სულხან პაპაშვილის ინფორმაციით, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით, ამ დღეებში ქვეყნის რამდენიმე რეგიონში ჩასვლას აპირებს.

როგორც პაპაშვილი აცხადებს, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური, რამდენიმე დღეა, საგანგებო რეჟიმში მუშაობს და ამ თვალსაზრისით, სიტუაცია უცვლელია.

პრეზიდენტის მოულოდნელი ვიზიტების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას სულხან პაპაშვილი არ ავრცელებს, თუმცა, როგორც სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი ელგუჯა მეძმარიაშვილი აცხადებს, ამით პრეზიდენტ შევარდნაძეს სურს, ქვეყნის მოსახლეობასთან შერიგებისთვის ნაბიჯები გადადგას. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" ლიდერის ვაჟა ლორთქიფანიძის განცხადებით, ოპოზიციის მხრიდან დაწყებულია ბრძოლა საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. მისივე განმარტებით, გასული 2 ნოემბრის არჩევნები ოპოზიციისათვის მხოლოდ საბაბი იყო, იმიტომ, რომ არც ერთი ოპოზიციური პარტია იმაზე უკეთეს შედეგს არ ელოდა, ვიდრე მათ რეალურად მიიღეს.

რაც შეეხება დაპირისპირებას ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, ვაჟა ლორთქიფანიძის თქმით, ეს არ არის მხოლოდ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება, არამედ თვითონ ოპოზიციის შიგნით არის დაპირისპირება და განსხვავებული აზრი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის განცხადებით, საქართველოში შექმნილი ვითარება "კონტროლიდან პრაქტიკულად გამოვიდა". მინისტრის თქმით, **"შეიარაღებული ძალები თავისი გეგმით მუშაობენ და შესაბამის დავალებებს ასრულებენ". "უცნობია, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ შეიარაღებული ძალები ყველაფერს გააკეთებენ, რასაც მათ კონსტიტუცია ავალდებულებს",** - აღნიშნა მან. თევზაძემ გამორიცხა, რომ ოპოზიციის მიტინგს ძალისმიერი მეთოდებით დაშლიან, **"ეს რამდენადმე სხვა მექანიზმია და ყოველივეს დრო ცხადყოფს". პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურია აცხადებს, რომ ხელისუფლებას პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის ლიდერებთან დასათმობი არაფერი აქვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი. "ხალხის ქუჩაში გამოსვლა არის კრიტიკულ ზღვარს გადაცილებული უკმაყოფილების განცდა საზოგადოებაში, რომელიც წვეთ-წვეთად, წლების განმავლობაში გროვდებოდა ხელისუფლების მიერ გადადგმული არასწორი ნაბიჯების გამო",** - განაცხადა ორგანიზაცია "მსოფლიო ლაბორატორიის" ხელმძღვანელმა სოსო ცისკარიშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერი ვანო ზოდელავა მიიჩნევს, რომ დედაქალაქში მასობრივი საპროტესტო აქციების ორგანიზებით საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა კანონი დაარღვია, რისთვისაც ის პასუხისმგებლობას იმსახურებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" მოუწოდებს ცესკო-ს, უარი თქვას 2 ნოემბრის არჩევნების გაყალბებული შედეგების დადასტურებასა და ცნობაზე. იგი ცესკო-ს სთავაზობს, არჩევნების შედეგები უბნების მიხედვით გამოაქვეყნოს. განიხილოს საარჩევნო ადმინისტრაციებში წარდგენილი საჩივრები და კანონმდებლობის დარღვევებზე სათანადო რეაგირება მოახდინოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ახლადანიშნული უშიშროების საბჭოს მდივანი ჯემალ ქარქუსოვი თბილისში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებსა და ოპოზიციის მიტინგებს შევარდნაძის მიერ დადგმულ სპექტაკლს უწოდებს. მისი თქმით, ასეთი სცენარით მოვლენების განვითარება პრეზიდენტ შევარდნაძეს საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად სჭირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" წევრი, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" გენერალური მდივანი ბაჩუკი ქარდავა არ გამორიცხავს, რომ პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქცია სულ სხვა მიმართულებით წარიმართოს და ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა ამ პროცესების კონტროლი ვეღარ შეძლონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება "საზოგადოებრივი შტაბი" ოპოზიციურ პარტიებს – "ახალ მემარჯვენეებსა" და "ლეიბორისტებს" პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებს. მათი თქმით, აქციაში მონაწილეობით, ისინი დაამტკიცებენ, რომ სახელისუფლებო ბლოკთან გარიგებულები არ არიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დღეიდან სტუდენტების დიდი რაოდენობა პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებს შეუერთდება", - განაცხადა "ხმების დაცვის სტუდენტური კომიტეტის" კოორდინატორმა დათო მესხიშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ვარაუდით, ქვეყანაში არჩევნები მეორედ აღარ დაინიშნება, თუმცა მისი თქმით, საჭიროა ცესკო-მ რაც შეიძლება მალე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, "რათა ეს ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, დროულად დასრულდეს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაცია "მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერი დოდო გუგეშაშვილი აცხადებს, რომ ისინი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებულ დაპირისპირებაში არ ჩაერევიან. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მაია ჭალაგანიძის სვეტი

## ოპოზიციის სავალდებულო ნაბიჯი გადადგმულია, ახლა ჯერი საზოგადოებაზეა...

დღეიდან პროტესტის ახალი ეტაპი იწყება.

კრწანისის სამთავრობო რეზიდენციიდან ოპოზიციამ "რაც შეიტანა, ისევ ის გამოიტანა."

დღეიდან, ალბათ, შეიცვლება ოპოზიციის და, რაც მთავარია, ხალხის საუბრის ტონი, რადგანაც სიბრაზეს, რომელიც მათ ამდენ ხანს ჰქონდათ, იმედგაცრუება დაემატება. დაემატება საფრთხის შეგრძნებაც - კონსტიტუციის გარანტი, დასავლელი პოლიტიკოსების დიდი მეგობარი, მსოფლიოს გამაერთიანებელი და კედლების მნგრეველი პრეზიდენტი საკუთარ ქვეყანაში ვერ აკონტროლებს ვერც ერთ სახელისუფლებო სტრუქტურას (მათ შორის, საარჩევნოდ შექმნილ ბლოკს), ვერც ერთ მის მიერ დანიშნულ ჩინოვნიკს და როგორც ჩანს, ვერც საკუთარი ოჯახის წევრებს... საფრთხე კი, მოგეხსენებათ, თავდაცვის ინსტიქტებს აძლიერებს. სავარძლების და ქონების დაკარგვის შიშით უკონტროლოდ მიშვებულ მინისტრებს ვინ იცის, თავში რა მოუვათ.

დიახ, ჰგავს დღევანდელი ვითარება 1991 წელს. ბევრი რამით ჰგავს და თითოეული ჩვენგანი ამას პარალელების გავლების გარეშეც გრძნობს. ამ ორ ეპოქას ერთი რამ განასხვავებს - მაშინ გარდაუვალი იყო კომუნისტების დამარცხება - დროის და იმ ხალხის მოთხოვნა იყო ასეთი, მინისტრთა საბჭოს შენობის წინ რომ იდგა. დღეს დიქტატურის დამარცხებაა გარდაუვალი და ამას პარლამენტის წინ შეკრებილი ხალხი ითხოვს... და ერთი საერთო შტრიხი - მაშინაც და დღესაც ხალხი ერთი და იგივე შენობის წინ იდგა...

რაც შეეხება, ჩვენს შვილებს.

ისინი ამ ქვეყანაში ცხოვრობენ. მათი მშობლები მიტინგებზე და საპროტესტო აქციებზე გაჭალარავდნენ. ის, რაც დღეს ხდება, ეხება ყველას - იქნება ის 3 წლის თუ მეტის. სჯობს, დღეს ეს მშვიდობიანი აქცია იგრძნონ, ვერ წავიდნენ სკოლაში, ან "მაკდონალდსში", ტელევიზორში ნაკლები მულტფილმი და ბევრი მიტინგი ნახონ, ვიდრე წლების მერე, ისევე, როგორც მათმა მშობლებმა, ვერ იცხოვრონ დემოკრატიულ ქვეყანაში, არ ჰქონდეთ თავისუფალად გადაადგილების საშუალება, ან, თუნდაც, მეზობლის დასმენის შიში (როგორც ეს დღეს ბათუმში ხდება) და ისინიც მათი მშობლებივით საპროტესტო აქციებზე გაჭალარავდნენ.

რაც შეეხება აჭარის შეიარაღებული ჯარების(?) მთავარსარდალს.

როგორც ყოველთვის, მოახლოებული საფრთხისას, ალბათ, დღესაც ეახლება შევარდნაძე აბაშიძეს. სამხედრო წოდებებში ცუდად ვერკვევი და აღარ ვიცი, საქართველოს პრეზიდენტს უფრო დიდი ჩინი აქვს, თუ საქართველოს პატარა, ულამაზესი კუთხის მეთაურს... მაინც მგონია, ისინი დღეს უკეთ გაუგებენ ერთმანეთს, ვიდრე ოდესმე, რადგან ისაუბრებენ როგორც president-ი პრეზიდენტთან... აჭარაში გამგზავრება თუ შედგა, ეს იქნება შევარდნაძის ნაბიჯი, რომელიც კიდევ უფრო დააშორებს მას ოპოზიციას და რაც ყველაზე ცუდია, ხალხს.

ოპოზიციის სავალდებულო ნაბიჯი გადადგმულია. ახლა ჯერი საზოგადოებაზეა...

# ფუჭი შეხვედრა



სააკაშვილმა, რომელთან თანამშრომლობაზეც პრეზიდენტმა უარი განაცხადა, პირველმა დატოვა შეხვედრა.



ოდნავ მოგვიანებით კრწანისის რეზიდენციის კიბეებზე ჟვანია და ბურჯანაძე იგდეს ხელთ ჟურნალისტებმა.

ზაალ გულუაშვილის ფოტოები

პირველი გვერდიდან

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი შეხვედრიდან დროზე ადრე, მარტო გამოვიდა მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ განაცხადა, რომ სააკაშვილთან თანამშრომლობას არ აპირებს. ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე, რომლებიც შეხვედრაზე კიდევ რამდენიმე წუთი დარჩნენ, ნაკლებ კატეგორიულები იყვნენ, თუმცა ისინიც ცალსახად აცხადებდნენ, რომ შევარდნაძესთან მოლაპარაკებები აბსოლუტურად უშედეგოდ, ყოველგვარი კონკრეტული გადაწყვეტილებების გარეშე დამთავრდა.

**"შევარდნაძე აშკარად არ იყო მზად ამ შეხვედრისთვის და, შესაბამისად, ვერანაირ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. თითოეულმა ჩვენგანმა ძალიან მწვავედ დავსვით და დავუსაბუთეთ პრეზიდენტს ჩვენი პრეტენზიები, მაგრამ ვერც ერთ საკითხზე კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ... აქციის დაშლა გამორიცხულია, რადგან არც ერთი ის პრობლემა არ მოხსნილა, რის გამოც ხალხი ქუჩაში გამოვიდა,"** – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

თავად პრეზიდენტი გაცილებით უფრო რბილი იყო თავის შეფასებებში და ჟურნალისტებთან შეხვედრისას აცხადებდა, რომ მან ბევრი რამ საინტერესო გაიგო ამ შეხვედრიდან; რომ, მართალია, სააკაშვილზე გაბრაზდა და ამიტომ ხმას აუწია, მაგრამ პირადად მასთანაც აპირებს თანამშრომლობის გაგრძელებას.

შევარდნაძე ისევ დაუსრულებლად საუბრობდა "სამუშაო ჯგუფის" შექმნაზე, რომელიც ოპოზიციის კონკრეტულ შენიშვნებს შეისწავლიდა და გამოიკვლევდა. ანუ საუბრობდა იმ გაცვეთილი ფრაზებით, რომელიც ამ ხელისუფლებისაგან, უკვე წლებია, გვესმის და რომელიც უკვე თავისთავად გულისხმობს, რომ მთელი ეს სახელისუფლებო რიტორიკა სრული ბლეფია და რომ არაფრის რეალურ გამოკვლევაზე და შესწავლაზე არ არის ლაპარაკი.

გუშინ პრეზიდენტი თავს იმით იმართლებდა, რომ მას კომპეტენცია არ ჰყოფნის საიმისოდ, რათა ყველა დეტალი კარგად ესმოდეს და ყველაფერში ერკვეოდეს. მაგრამ ის აღარ უთქვამს, რომ აჭარაში, ქვემო ქართლში და სხვა რეგიონებში ტოტალურად გაყალბებული არჩევნები, სიებიდან ამოღებული ათასობით ადამიანი დეტალები არ არის და, შესაბამისად, სწორი დასკვნების გამოტანაც არ არის ძნელი.

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, შევარდნაძეს გუშინ ეტყობოდა, რომ უკან დასახევ გზებს იტოვებს მანამ, სანამ მის ხელთ არსებულ ყველა რესურს არ ამოწურავს. ეს რესურსები კი მას ჯერ კიდევ აქვს.

დღეს პრეზიდენტი ბათუმში ჩასვლას და ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკებების გამართვას აპირებს. ის აცხადებს, რომ მათი საუბარი, დაახლოებით, საათნახევარი გაგრძელდება, მაგრამ პრეზიდენტი კატეგორიულად არიდებს თავს იმის თქმას, თუ რა იქნება ამ საუბრის მთავარი თემა.

**"საქართველო... საქართველო. აჭარის როლზე საქართველოს განვითარებაში. არჩევნებზეც ვისაუბრებთ,"** - ასეთი ზოგადი კომენტარით შემოიფარგლება შევარდნაძე ძალიან კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს - რატომ, რა მიზნით ჩადის ის დღეს ბათუმში.

სამაგიეროდ, ოპოზიციას აქვს თავისი, ძალიან კონკრეტული პასუხი ამ კითხვაზე - **"რუსეთისა და ასლან აბაშიძის დახმარებით პრეზიდენტს დაგეგმილი აქვს, რომ მოახდინოს ოპოზიციის ნეიტრალიზაცია და დააკანონოს ეს გაყალბებული შედეგები. გადაწყვეტილი აქვს, ხვალ ასლან აბაშიძესთან შეკრას პირი და მასთან ერთად ერთობლივი რეჟიმი დაამყაროს საქართველოში. ამისათვის რაღაც გარანტიები მან მოსკოვიდანაც მიიღო."**

# „გინდათ ასეთი პრეზიდენტი?"

პირველი გვერდიდან

წვიმის, სიცივისა და გვიანი ღამის მიუხედავად, მომიტინგეები მშვიდად ელოდნენ კრწანისის რეზიდენციაში გამართული შეხვედრის შედეგებს. ამ შეხვედრის დეტალები მომიტინგეებმა ჯერ "რუსთავი 2"-ის ეთერით შეიტყვეს, შემდეგ კი მიტინგზე გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერები გამოჩნდნენ.

**"არც ერთი თქვენი მოთხოვნა დღეს პრეზიდენტმა ყურად არ იღო... თურმე, პრეზიდენტს დღეს არავინ არ ემორჩილება, არც შინაგან საქმეთა მინისტრი, არც სახელმწიფო მინისტრი; თურმე, პრეზიდენტს დღეს არაფერი ეხება. პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ის არ აგებს პასუხს საქართველოში არაფერზე. მე ვერ მოვატყუებ დღეს აქ შეკრებილ ათასობით ადამიანს, რომ პრეზიდენტი ოპოზიციასთან შეხვედრისას კონსტრუქციული იყო, მან უკვე მერამდენედ აბუჩად აიგდო ქართველი ხალხი. მე მოგიწოდებთ თქვენ, გაგრძელდეს ჩვენი საპროტესტო გამოსვლები, მე მოვუწოდებ თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ახლა ტელევიზორს უყურებს, თითოეულ ქართულ ოჯახს, ყველას, ვისაც გული ერჩის, ვინც ნამდვილი პატრიოტია, ვინც ვერ უყურებს გულგრილად ხაზარაძეების, რჩეულიშვილების, მამალაძეების ბოგინს საქართველოში: გამოდით ჩვენთან, შემოგვიერთდით, დადექით ჩვენს გვერდით, რათა ისევ არ გადაგვიარონ, არ ამოგვსვარონ ტალახში, არ შეურაცხგვყონ, საბოლოოდ არ გაანადგურონ საქართველო... არ მისცეთ ამის ნება, ხალხო. თუ არ გინდათ, რომ საქართველოში ასლან აბაშიძისა და შევარდნაძის ერთობლივი პრორუსული რეჟიმი დამყარდეს, შემოუერთდით ჩვენს მშვიდობიან პროტესტს! ხვალ საქართველოს პრეზიდენტი მიემგზავრება ასლან აბაშიძესთან, რათა მასთან მოილაპარაკოს მომავალ სამოქმედო გეგმებზე. შევარდნაძე უკვე დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტს და აიღო მისგან გარკვეული გარანტიები... ჩვენ არავისთან არ გვინდა ცუდი ურთიერთობა, მაგრამ, მინდა, მივმართო რუსეთს - ნუ გამოიყენებს ძალას საქართველოს წინააღმდეგ! მითხარით, ხალხო, გინდათ ასეთი პრეზიდენტი?"** – ძნელი მისახვედრი არ არის, რა უპასუხა სააკაშვილის მიერ დასმულ კითხვას პარლამენტთან შეკრებილმა, საქართველოს ათასობით მოქალაქემ. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა ბოდიში მოუხადა მომიტინგეებს, რომ ორსაათნახევარი ტყუილად დაკარგა და ამ ხნის განმავლობაში კრწანისში იყო და არა ხალხთან.

**"მე არ შემიძლია, ჩემი გულისტკივილი, აღშფოთება არ გამოვხატო თქვენს წინაშე – დღეს, თურმე, საქართველოს პრეზიდენტს არც ერთი იმ საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლია, რამაც თქვენ ამ სუსხიან, წვიმიან ამინდში აქ გამოგიყვანათ. დღეს პრეზიდენტს და საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს კონკრეტული პასუხები, თუ როგორ უნდა გამოვიდეთ ჩვენ ამ ჩიხიდან, ამ მძიმე ვითარებიდან. ალბათ, ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენ თვითონ მოგვიწევს, ჩვენ თვითონ მოგვიწევს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება. დიდი მადლობა იმ თანადგომისთვის, რასაც ჩვენ ყოველ წამს ვგრძნობთ თქვენგან. ეს თანადგომა და ერთად ყოფნა ჩვენ კიდევ უფრო გვაძლიერებს,"** – კრწანისის შეხვედრის შემდეგ, ამ სიტყვებს იტყვის პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

**"დღეს პრეზიდენტმა არ გაგვცა პასუხი არც ერთ კონკრეტულ საკითხზე, უმწვავეს პრობლემებზე, რამაც თქვენ - მშვიდობიანი, კეთილი, პატიოსანი ადამიანები აქ გამოგიყვანათ, დაგაყენათ წვიმის ქვეშ. პრეზიდენტმა მცირე საბაბიც კი არ მოგვცა იმისთვის, რომ დავიშალოთ. ჩვენ არ გვაქვს არც ერთი საბაბი იმისთვის, რომ ხვალიდან აღარ გავაგრძელოთ ჩვენი მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვა. გავხდეთ ორჯერ, სამჯერ უფრო მეტნი, უფრო გავაძლიეროთ ჩვენი მშვიდობიანი საპროტესტო აქცია,"** – განუცხადა მომიტინგეებს ზურაბ ჟვანიამ.

გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერთა გამოსვლების შემდგომ, რუსთაველის გამზირი წვიმისა და სიცივისაგან გათოშილი ხალხის ერთმა ნაწილმა დატოვა. სახლებში, ძირითადად, ქალები და ბავშვები წავიდნენ. ასეულობით ადამიანი გუშინ პარლამენტის შენობასთან ღამის გათევას გეგმავდა. კრწანისული შეხვედრის ამგვარი დასასრული მომიტინგეებისთვის მოულოდნელობა არ ყოფილა. დღეს ისინი კვლავ პარლამენტის შენობასთან მისვლას აპირებენ.




# სსფ ხელისუფლებას კვლავ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას ურჩევს

*ნოემბერში საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალ, ოქტომბრისაზე გაცილებით მაღალი დონის დელეგაციას ელიან. დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია, შედგება თუ არა ვიზიტი და რამდენად წარმატებულად. მით უმეტეს, რომ ფონდის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული ახალი რეკომენდაციები კიდევ უფრო მკაცრია, ვიდრე ეს ოქტომბრამდე იყო, კერძოდ: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლის კიდევ უფრო გაზრდა. ფონდის დირექტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ამოღების ღონისძიებათა გამკაცრება, განსაკუთრებით ურჩ გადამხდელთათვის ელექტროენერგიის გათიშვის გზით.*

ეთერ მამულაშვილი

ფონდის დირექტორებმა ხელისუფლების ყველა რგოლს მოუწოდეს, მხარი დაუჭირონ ე.წ. "გათიშვის" პროგრამას და მთავრობის სტრატეგიას – ელექტროენერგიის დისტრიბუცია, გადაცემა და დისპეტჩერიზაცია სახელმწიფო სექტორიდან კერძო კომპანიებს გადაეცეს. ფონდის წარმომადგენლების განცხადებით, საჭიროა შესაბამისი უწყებრივი სისტემის შექმნა, რომელიც დროულად და თანმიმდევრულად მოაგვარებს ენერგეტიკის სექტორში დაგროვილი შიდა ვალების საკითხს.

ფონდის დირექტორთა შემდეგი მოთხოვნა სახელმწიფო საწარმოებში ჩასატარებულ თუ უკვე ჩატარებულ აუდიტს (საქართველოში სახელმწიფო უწყებების მიერ გავრცელებული ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციების წყალობით, იმის დადგენაც ვერ მოხერხდა, გაფორმდა თუ არა ოფიციალური ხელშეკრულებები აუდიტის ჩატარებაზე) ეხება. ისინი ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აუდიტის დასკვნების შესრულებას. შეგახსენებთ, სავალუტო ფონდის მოთხოვნით, ამჟამად სამ უმსხვილეს სახელმწიფო საწარმოში - ფოთის პორტში, საქართველოს რკინიგზასა და სააქციო საზოგადოება "მადნეულში" შესულია ტენდერში გამარჯვებული სამი საერთაშორისო აუდიტორული კომპანია, რომლებიც მუშაობას, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე დაასრულებენ. სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი საწარმოების აუდიტის გაგრძელება არის ფონდის დირექტორთა კიდევ ერთი ცალსახა მოთხოვნა. სავალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლებისგან საგარეო და შიდა ვაჭრობის ლიბერალიზაციასაც მოითხოვს.

ფონდის დირექტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ამსახველ დოკუმენტს. ფონდის წარმომადგენლები აღშფოთებას გამოთქვამენ ხსენებული დოკუმენტით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიების გამო. ფონდის დირექტორების განცხადებით, სიღარიბის დაძლევის დოკუმენტში პროექტები არ არის ჩამოყალიბებული პრიორიტეტების მიხედვით და საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვენ უფრო მეტ დაკონკრეტებას გაწერილ ხარჯებსა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის დოკუმენტს შორის. მოითხოვენ, ხელისუფლებამ აჩვენოს მისი წამყვანი როლი მმართველობის გაუმჯობესებასა და კორუფციის შემცირებაში, და შედეგების შეფასებისას გამოყენებული კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებლები დახვეწოს. ქვეყნის ხელისუფლების მიერ დაგროვილი ვალების მდგომარეობის უკანასკნელი ანალიზის ფონზე, სავალუტო ფონდის დირექტორებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ხელისუფლების მიერ გარე წყაროებიდან ახალი სახსრების სესხება უნდა შეიზღუდოს. ფონდმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, სსფ-ს ტექნიკური დახმარებით განახორციელოს სტატისტიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, განსაკუთრებით კი - ეროვნული ანგარიშების, საგადამხდელო ბალანსისა და საბიუჯეტო სტატისტიკის ნაწილში. ფონდის მიერ ხელისუფლების მისამართით გამოთქმული შემდეგი მოწოდება გადასახადების ამოღების მაჩვენებლის გაზრდას უკავშირდება. საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა გადასახადების თავიდან აცილების გახშირებული შემთხვევები მაქსიმალურად აღმოიფხვრას, - ასეთია ფონდის წარმომადგენლების კიდევ ერთი დირექტივა.

და კიდევ ერთი - შეგახსენებთ, ფონდის მისიის მორიგი რჩევა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესს ეხება. ფონდის დირექტორებმა მთავრობას ურჩიეს, რომ 2004 წლის ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონი პარლამენტში მხოლოდ შესწორებული სახით შეიტანოს.

# სასაზღვრო უწყება დაფინანსებას "ბი-პი"-ს სთხოვს

*საქართველოში მართლაც აბსურდული სიტუაციაა შექმნილი - მას შემდეგ, რაც ბიუჯეტში გათვალისწინებული კუთვნილი დაფინანსება სახელმწიფოსგან ვერ მიიღო, საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტი დაფინანსებას ნავთობის საერთაშორისო კომპანიას და კომპანია "ბი-პი"-ს სთხოვს. ეს ხდება იმ პირობებში, როცა საქართველოს ხელისუფლება დიდ ნავთობსადენს და, ზოგადად, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრიორიტეტად აღიარებს და ამაზე მთელი ქვეყნის სამომავლო იმედებს ამყარებს. ეს ხდება იმ დროს, როცა სწორედ ნავთობსადენის წყალობით, საქართველოში მიმდინარე წელს იმპორტი გაიზარდა და საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი საქართველოსთვის სასარგებლოდ შემცირდა.*



სუფსის ტერმინალი და საზღვაო აკვატორია დაუფინანსებლობის გამო დაუცველი დარჩა.

გუშინ სააგენტო "მედია-ნიუსმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროს შორის ორი თვის წინათ დაწყებულ "საზღვაო ომში" ორი ახალი სუბიექტი - საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია და საერთაშორისო ნავთობკომპანია "ბი-პი" ჩაერთვნენ.

შეგახსენებთ - ორ თვეზე მეტია, სასაზღვრო უწყება ჩივის იმის თაობაზე, რომ აგვისტოს ხელფასების გარდა, დაფინანსება არ მიუღია.

ამის გამო, დეპარტამენტის ინფორმაციით, საწვავის გარეშე დარჩა სანაპირო დაცვის სამსახური, შესაბამისად - საზღვაო აკვატორია და სუფსის ტერმინალი, ფაქტობრივად, დაუცველია და მხოლოდ ჭოგრიტებით კონტროლდება.

თუ ერთი თვის წინათ ფოთის პორტში მხოლოდ ერთი გემი იყო მზად იმისთვის, რომ ექსტრემალური ვითარების დროს ზღვაში გასულიყო, დღეისთვის ეს რესურსიც ამოწურულია. 2 ნოემბრის შემდეგ კი დავალიანების გადაუხდელობის გამო ელექტროენერგიის მიწოდებაც შეწყვეტილია.

მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტრომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს სანაპირო დაცვისთვის ფულის გადარიცხვაზე უარი უთხრა და დეპარტამენტს სპეცსახსრების უფრო მომჭირნე ხარჯვაზე მიუთითა, სანაპირო დაცვის მთავარმა სამმართველომ დახმარების თხოვნით საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას მიმართა. გიორგი ჭანტურიას უწყებიდან კი თხოვნის წერილი საერთაშორისო ნავთობკომპანია "ბი-პი"-ში გადააგზავნეს.

ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში აცხადებენ, რომ ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილება "ბი-პიმ" უნდა მიიღოს, თუმცა, მისმა წარმომადგენლებმა იმ მიზეზით, რომ სამთავრობათშორისი ხელშეკრულების მიხედვით, ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს (საქართველოს) ეკისრება, შესაძლოა, წერილი საერთოდ არ განიხილონ. ასე რომ, გამორიცხული არ არის, "ბი-პი"-მ, ქვეყნის საზღვაო აკვატორიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სუფსის ტერმინალის დაცვისთვის თანხის ან საწვავის გამოყოფაზეც კი უარი თქვას.

ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში კიდევ ერთ საგულისხმო მინიშნებას აკეთებენ - ფოთის პორტი 24 საათის განმავლობაში განათებულია, საინტერესოა, რატომ არ აწვდის ეს უწყება დენს სანაპირო დაცვის სამმართველოს საოპერაციო სამსახურს, რომელიც ასევე, ფოთში, მის სიახლოვეს მდებარეობს.

რაც შეეხება წერილის განხილვას, სააგენტიო "მედია-ნიუსის" ინფორმაციით, "ბი-პი"-ს ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის კოორდინატორი ამჟამად საქართველოში არ იმყოფება და მასზე პასუხი მხოლოდ მისი თბილისში დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი რამდენიმე ხნის წინათ აცხადებდა, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ფულს ვერ გადაურიცხავდა, რადგან პრიორიტეტული 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები და მისი ფინანსური უზრუნველყოფა იყო.

სასაზღვრო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ თუ არჩევნების შემდეგ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, ახლა, როგორც ჩანს, საზღვაო აკვატორიისა და სუფსის ტერმინალის გაკონტროლების დაფინანსება უკვე კიდევ უფრო არარეალურია.

*24 საათი*

# "ალიბი-სერვისი" - წარმატებული ბიზნესის სახეობა

ბოლო პერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოში ბიზნესი, რომელიც უცნაურ "საქონელს" გვთავაზობს - კარგ ლეგენდას ოჯახს მიღმა "კავშირებისთვის". "24 საათი" უკვე წერდა იაპონიაში არსებული მსგავსი ბიზნესის შესახებ, სადაც მომხმარებელს ნებისმიერ, კანონით დაშვებულ მომსახურებას სთავაზობენ. დღევანდელ შემთხვევაში ბიზნესის საგანი უფრო "ვიწრო პროფილისაა".

ახალი სააგენტოები მომხმარებელს სთავაზობენ კარგ ლეგენდას იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს მიღმა გატარებული დრო უნდა "გაამართლო". ეს მომსახურება არც ისე იაფი ღირს - "დეილი ტელეგრაფის" ინფორმაციით, კარგი ალიბი 180 დოლარს შეადგენს.

სააგენტოს კლიენტურა გახლავთ "მოღალატე" მეუღლეები, რომელთაც სჭირდებათ საბაბი, რომ რამდენიმე დღით "გაქრნენ" ოჯახიდან, ან სჭირდებათ ახსნა-განმარტება იმისა, თუ მოულოდნელი პაემნის შემდეგ სად გაატარეს ღამე.

სააგენტოში კლიენტებს ემსახურებიან ექიმები, ჟურნალისტები და მსახიობები, რომელთაც, კარგი ანაზღაურების ფასად, სპექტაკლის გათამაშებაში ეხმარებიან.

რუსეთში, სადაც ეს ბიზნესი საკმაოდ კარგად ვითარდება, ყველაზე მარტივი ალიბია - ცნობა იმის შესახებ, რომ ქმარმა ღამე გამოსაფხიზლებელში გაათია. უფრო წინდახედული მამაკაცებისთვის სააგენტო აგზავნის ანკესებით და ბადეებით აღჭურვილ მანქანას იმის დასამტკიცებლად, რომ მამაკაცი სათევზაოდ მიემგზავრება ძმაკაცებთან ერთად. საერთოდ კი, როგორც ამ სფეროში წარმატებული რუსი ბიზნესმენები ირწმუნებიან, მათი მომსახურებით, ძირითადად, ქალები სარგებლობენ.

ასეთი მომსახურება მომხმარებელს პირველად გერმანელებმა შესთავაზეს: ამას იქ "ალიბი-სერვისი" შეარქვეს. ახლა გერმანიაში ასეთი ფირმები ათეულობითაა, არადა, გასულ წელს მათი რაოდენობა სულ სამს შეადგენდა. ფასები გერმანიაში შედარებით მაღალია - 20-დან 1200 ევრომდე, ტყუილის მასშტაბებიდან და ეფექტის ხანგრძლივობის ვადიდან გამომდინარე. გერმანიაში საკმაო წარმატებით სარგებლობს ალიბი სემინარებზე და კონფერენციებზე მიწვევის სახით. ალიბი გამყარებულია არა მხოლოდ ფოსტით გამოგზავნილი "ოფიციალური მოსაწვევებით", არამედ ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ "მოტყუებულ" მეუღლეს, შესაძლოა, მეუღლესთან დარეკვის სურვილი გაუჩნდეს და ამისთვის მზად უნდა იყოს ტელეფონი და მოპასუხე, რომელიც ალიბის უზრუნველყოფს.

ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა პერმანენტულ ალიბიზე, რომელიც ყველაზე ძვირი ღირს.

## მოკლედ

### ჯარიმას უკანონოდ ახდევინებენ

კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილების მიუხედავად, ოპერატორი — საქართველოს ელექტროკავშირი — მომხმარებელს ტელეფონის ჩართვისთვის ჯარიმას მაინც ახდევინებს, - აცნობა „მედია-ნიუსს“ კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა ლია მუხაშავრიამ. მისივე ინფორმაციით, ამჟამად კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიაში მუშავდება მომხმარებელთა სატელეფონო მომსახურების საფასურის გადახდის წესები, რომლის მიღების შემდეგ დარეგულირდება ურთიერთობა მომხმარებელსა და ოპერატორს (საქართველოს ელექტროკავშირს) შორის. ამიტომაც, ოპერატორის თვითნებობის გამო, ჯერჯერობით, კომისია არ მიმართავს სასამართლოს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს ელექტროკავშირს აეკრძალა მოქალაქეთა ერთი ლარით დაჯარიმება ტელეფონის ხელახალი ჩართვისათვის.

**მედია-ნიუსი**

### დედაქალაქს პურის გარეშე დარჩენა არ ელის

ს/ს "თბილგაზში" უარყოფენ გაურკვეველი პირების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს თბილისში მოქმედ პურის ქარხნებს გაზმომარაგება შეუწყდათ და დედაქალაქი პურის გარეშე დარჩება.

როგორც "ინტერ-პრესს" კომპანიაში განუცხადეს, დავალიანების მიუხედავად, პურის ყველა ქარხანას ბუნებრივი აირი შეუფერხებლად მიეწოდება და მათ გაზის გარეშე დარჩენის საფრთხე არ ემუქრებათ.

კომპანიაში არ ასახელებენ ძალებს, რომლებიც ქალაქში ამგვარ დეზინფორმაციას ავრცელებენ და ირწმუნებიან, რომ მსგავსი რამ დედაქალაქში არ მოხდება.

**ინტერ-პრესი**

### საქართველოს ენერგომომარაგების გრაფიკსა და აქციებს შორის კავშირი არ არსებობს

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ამერიკელი მენეჯერები უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს თბილისში მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით, რეგიონებსა და მათ შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს ელექტროენერგია არ მიეწოდებათ.

**"რეგიონებს ელექტროენერგია იმ რეჟიმით მიეწოდებათ, როგორც არჩევნებამდე იყო. არ გამოვრიცხავთ, რომ რომელიმე რაიონი მართლაც მთლიანად იყოს გამორთული, მაგრამ ეს სისტემაში ელექტროენერგიის დეფიციტის და საბითუმო ბაზრის მხრიდან ჩვენი კომპანიის შეზღუდვის გამო ხდება,"** - განაცხადეს კომპანიაში.

გადახდის დაბალი მაჩვენებლის გამო ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" 30 პროცენტით შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება აქვს მიღებული.

**ინტერ-პრესი**

## ბიზნესის ამბები

### სსფ-ს აღმასრულებელი დირექტორი დსთ-ს ქვეყნებში ვიზიტს გეგმავს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჰორსტ კელერი უახლოეს მომავალში გეგმავს ვიზიტს სომხეთში, რუსეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და ყაზახეთში. ამის შესახებ ინფორმაცია სავალუტო ფონდის პრესსამსახურმა გაავრცელა. ფონდის მონაცემებით, ჰორსტ კელერის ვიზიტი, სავარაუდოდ, დღეს დაიწყება. ვიზიტის ფარგლებში კელერი ხსენებული ქვეყნის ხელმძღვანელ პირებს, პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებს შეხვდება. სავალუტო ფონდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფონდის დირექტორის ვიზიტი უკავშირდება ამ რეგიონებში ეკონომიკისა და ცხოვრების დონის გაზრდა-გაუმჯობესებას. სავალუტო ფონდში აღნიშნავენ, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, ჰორსტ კელერს რუსეთისა და რეგიონის ქვეყნების ურთიერთობების პერსპექტივების განხილვის საშუალება ექნება. ყაზახეთში ვიზიტის დროს კელერი გამოვა საერთაშორისო კონფერენციაზეც, რომელიც ყაზახური ვალუტის, ტენგის, მიმოქცევაში შესვლის ათი წლისთავს ეძღვნება.

### "მაკდონალდსის" ქვრივმა საყვარელ რადიოს 200 მილიონი დოლარი შესწირა

ამერიკის შეერთებულ შტატების ერთ-ერთმა რადიოკომპანიამ, "ნეიშენალ ფაბლიქ რედიომ" (სახალხო ეროვნული რადიო) მემკვიდრეობით მიიღო 200 მილიონი დოლარის ოდენობის თანხა. ეს რეკორდული ციფრია, რადგან დღემდე არავის არ შეუწირავს კერძო კომპანიისთვის ამ რაოდენობის თანხა. რადიოკომპანიის ხელმძღვანელობას ფული გადასცა "მაკდონალდსის" ქსელის დამაარსებლის ქვრივმა ჯოან კროკმა. რადიოკომპანიის დირექტორი, კელვი კლოუზი აღფრთოვანებული და გაოგნებულია ამ გულუხვი საჩუქრით და აცხადებს, რომ ეს ფული მისი რადიოს უკეთეს მომავალს უზრუნველყოფს. 200 მილიონი დოლარი ხსენებული რადიოკომპანიისთვის თითქმის ორი წლის ბიუჯეტია. "ნეიშენალ ფაბლიქ რედიო" დამოუკიდებელი რადიოკომპანიაა, რომელსაც ფინანსური შემოსავლის არც ერთი წყარო არ გააჩნია, გარდა საკუთარ მსმენელთა შემოწირულობისა.

### კერძო ავიაკომპანიამ ავღანეთში რეგულარული რეისების განხორციელება დაიწყო

ავღანეთში პირველი კერძო ავიაკომპანია გამოჩნდა. რვა ნოემბრიდან "კამ ეარმა" დაიწყო რეგულარული რეისების განხორციელება ქვეყნის პროვინციულ მხარეებსა და ცენტრებს შორის. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, რომ ხსენებულმა ავიაკომპანიამ რეისები საზღვარგარეთაც განახორციელოს. ამ ეტაპზე დაგეგმილია, რომ კომპანია კვირაში სამჯერ შეასრულებს მარშრუტს ქაბული-დუბაის მიმართულებით. ჯერჯერობით, "კამ ეარის" განკარგულებაში მხოლოდ ორი "ბოინგ-727" ტიპის თვითმფრინავია.

### ევროპა გენომოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტს დაუშვებს

ევროკომისიის წევრები ხუთი წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას აპირებენ. 1997 წლის გადაწყვეტილება ევროპის ქვეყნებში გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეტანის აკრძალვას ეხება. საქმე ის არის, რომ ევროკიმისიის ზოგიერთი წევრი ქვეყანა, მაგალითად, იტალია, საფრანგეთი და ავსტრია, არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და გენომოდიფიცირებული პროდუქციის ნაირსახეობა ამ ქვეყნებში დღემდე გაყიდვაშია.



## მოკლედ

**ერაყი.** ერაყელმა პარტიზანებმა აშშ-ს ჯავშანსატანკო დივიზიის ნაწილზე თავდასხმა განახორციელეს, რის შედეგადაც ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და ერთიც დაიჭრა. ერაყში დისლოცირებული, აშშ-ს არმიის სარდლობის ცნობით, ეს თავდასხმა ბაღდადში განხორციელდა.

შაბათს, ქალაქ ფალუჯაში, რომელიც ბაღდადიდან დასავლეთით მდებარეობს. ერაყელმა პარტიზანებმა თავდასხმის დროს ორი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს და ერთი დაჭრეს. ამდენად, 1 მაისის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბუშმა ომის დასრულება გამოაცხადა, ერაყში ამერიკელი ჯარისკაცების მსხვერპლმა უკვე 150-ს მიაღწია.

ამასთანავე, შაბათს საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა ბაღადადსა და ბასრაში მისი მუშაობის დროებითი შეჩერების შესახებ გააკეთა განცხადება. ამის თაობაზე ორგანიზაციის პრეს-მდივანმა ფლორიან ვესტფელმა განაცხადა.

■ ■ ■

**ირანი.** ოფიციალურმა თეირანმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი წარუდგინა, რომლის თანახმადაც ირანის ხელისუფლება თანხმობას აცხადებს, რათა გაერო-ს განიარაღების ინსპექციამ დაიწყოს ირანის ბირთვული ობიექტების შემოწმება. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ირანი შეაჩერებს ურანის გამდიდრების სამუშაოებს.

ამის თაობაზე, ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მოჰამედ ელ-ბარადეიმ განაცხადა, მას შემდეგ, რაც ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მან ირანის ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელთან ჰასან როჰანისთან მოლაპარაკება დაასრულა.

ელ-ბარადეის თქმით, თეირანი ამზადებს ოფიციალურ წერილს, რომელიც ირანის ხელისუფლების ბირთვული პროგრამის გაყინვას შეეხება. მოსალოდნელია, რომ ეს დოკუმენტი ატომური ენერგიის სააგენტოს უკვე მომავალ კვირაში გადაეცემა.

■ ■ ■

**რუსეთი.** კომპანია "იუკოსის" დაპატიმრებული ხელმძღვანელის მიხაილ ხოდორკოვსკის ადვოკატის რობერტ ამსტერდამის განცხადებით, ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აპირებს ჩივილს, რადგანაც ხოდორკოვსკის დაპატიმრება უკანონოა. სააგენტო "ბიბისისთვის" მიცემულ ინტერვიუში ადვოკატმა ამსტერდამმა განაცხადა, რომ ხოდორკოვსკის დაცვა არა მარტო საერთაშორისო სასამართლოში აპირებს ჩივილს, არამედ გაერო-ს იმ სამუშაო ჯგუფთანაც, რომელიც უკანონო დაპატიმრებებს შეეხება. ამსტერდამის თქმით, ხოდორკოვსკი პოლიტიკური პატიმარია, ხოლო მისი დაპატიმრება კანონის უხეში დარღვევა იყო.

# ტერაქტი საუდის არაბეთში

### დაღუპულთა რაოდენობა 30-ს აღწევს

გუშინ, გამთენიისას, საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 30-მდე ადამიანი დაიღუპა და ასამდე დაიჭრა. ასაფეთქებელი მოწყობილობა "მუჰაიას" საცხოვრებელ კომპლექსში აფეთქდა, სადაც, ძირითადად, უცხოელი სპეციალისტები ცხოვრობენ. ეს კომპლექსი დაახლოებით 200-მდე ვილისაგან შედგება. სააგენტო "როიტერის" ცნობით, აქვეა განთავსებილი საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა მინისტრის და სამეფო ოჯახის სხვა წევრების საცხოვრებელი სახლებიც. ოდნავ მოშორებით კი, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის საელჩოებია. უცხოელი სპეციალისტების დიდი ნაწილი ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, იორდანიის და პალესტინის მოქალაქეები იყვნენ.

**"ეს არის დანაშაული უდანაშაულოთა წინააღმდეგ... ეს "ალ-ქაიდას" მიერ არის განხორციელებული. ეს კამიკაძის მიერ მოწყობილი ოპერაციაა,"** - განუცხადა სააგენტო "როიტერს" საუდის არაბეთის უშიშროების სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, აფეთქების შემდეგ, ორი ბრიტანელი მოქალაქე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სააგენტო "ფრანს პრესი" კი იუწყება, რომ ტერაქტის შედეგად სამი ამერიკელი და სამი კანადელი მოქალაქე დაიჭრა. სააგენტო "როიტერის" ცნობით კი, ერთი ამერიკელი დაიჭრა და ერთიც დაკარგულია. ჯერჯერობით, არ არის ცნობა იმის თაობაზე, რომ ტერაქტს უცხოელი მოქალაქეების სიცოცხლე შეეწირა. ვილების კომპლექსის დირექტორის თქმით, კომპლექსში ერთი ბრიტანული ოჯახი, ორი გერმანული და ერთი იტალიური ოჯახი ცხოვრობდა.

სააგენტო "როიტერი" საუდის არაბეთის სპეცსამსახურებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ტერაქტი კამიკაძემ განახორციელა.


მაშველები ნანგრევებიდან ხალხის გამოყვანას ცდილობენ.

საუდის არაბეთის ელჩმა ლონდონში ტურკ ალ-ფაისალმა ტერაქტს **"დამნაშავე ელემენტების საშინელი თავდასხმის"** კვალიფიკაცია მისცა, რომელთა მიზანსაც **"საუდის არაბეთის სამეფოს განადგურება წარმოადგენს."**

საუდის არაბეთის ხელისუფლების წარმომადგენლები კი იუწყებიან, რომ ტერორისტები საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე შესვლას ცდილობდნენ. დაცვამ მათ ამის ნება არ მისცა, რის შემდეგაც ტერორისტებმა ცეცხლი გახსნეს. თვითმხილველები ყვებიან, რომ თავდამსხმელები კომპლექსის გარშემო შემოვლებულ კედელზე გადაძრომას და ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული მანქანის კომპლექსთან რაც შეიძლება ახლოს მიყვანას ცდილობდნენ. სააგენტო "ბიბისი" თვითმხილველებზე დაყრდნობით იუწყება, რომ აფეთქების ადგილას ხუთი მეტრის სიგრძის და ორ მეტრი სიღრმის ორმო გაჩნდა, რაც აფეთქების სიძლიერეზე მიუთითებს. ასევე გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტერაქტის შედეგად, სულ ცოტა, 10 საცხოვრებელი სახლი დაზიანდა.

სააგენტო "ბიბისი" იუწყება, რომ კამიკაძის მიერ განხორციელებული ტერაქტი საუდის არაბეთის ხელისუფლებასა და ისლამისტ ტერორისტებს შორის ბრძოლის გამწვავებაზე აშკარად მიუთითებს.

გასულ პარასკევს, ანუ ტერაქტამდე ორი დღით ადრე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საუდის არაბეთის ხელისუფლებას გამაფრთხილებელი წერილი გაუგზავნა და სამეფოს ტერიტორიაზე ისლამისტი ტერორისტების ყოფნის თაობაზე აცნობა. ტერაქტამდე ერთი დღით ადრე კი, აშშ-ს დიპლომატიურმა და სხვა მისიებმა საუდის არაბეთში მუშაობა დროებით შეწყვიტეს და ეს უსაფრთხოების ზომების მიღებით ახსნეს.

ბაჰრეინსა და ყატარში არსებულმა დიდ ბრიტანეთის საელჩოებმა კი ბრიტანელი მოქალაქეები ტერაქტების სერიის გაძლიერების თაობაზე გააფრთხილა.


bp

## კონტრაქტორების მოწვევა წინასწარი კვალიფიკაციისათვის

კომპანია "BP Caspi" [illegible]

ნარჩენების განთავსება / მართვის მომსახურების გაწევა

სამუშაოს მოცულობა

[illegible]

ტერიტორიის მოსამზადებელი ფაზა

[illegible]

განვითარების ფაზა

[illegible]

[illegible]

ექსპლოატაციის ფაზა

[illegible] ISO 14001 [illegible]

ხარისხის კონტროლი

[illegible]

მოთხოვნები

[illegible]

მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. № 38, კომპანია BP-ს პროექტის ოფისი.


## მიხაილ გორბაჩოვი:
# "საქართველო სენისგან უნდა განიკურნოს"

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, სსრკ ექს-პრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე "24 საათის" შეკითხვას, თუ როგორ კომენტარს გაუკეთებდა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილ სიტუაციას, ასეთი პასუხი გასცა:

**"ედუარდ შევარდნაძისა და ქართველი ხალხისადმი ჩემი განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულების მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ დღეს სახეზე გვაქვს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სერიოზული კრიზისი. კრიზისი მოიტანა არჩევნების შემდეგ ოპოზიციის გამოსვლებმა, რასაც, სამწუხაროდ, ჯერაც ბოლო არ უჩანს. ნებისმიერ კრიზისს ახლავს განმუხტვა. ეს კრიზისი ახალი მმართველი პოლიტიკური სისტემის შექმნით უნდა დასრულდეს. შექმნილ ვითარებაში რუსეთი დღეს საქართველოს საშინაო პროცესებში არ უნდა ჩაერიოს. რუსეთი დღეს დაინტერესებულია საქართველოში კრიზისული ვითარების განმუხტვაში, რომ ჩვენს მეზობლად სტაბილურობა იყოს. ვერავინ მოგცემთ დღეს მზამზარეულ რეცეპტს. თქვენ თავად უნდა გაერკვეთ ყველაფერში, მაგრამ, მინდა ვუთხრა ქართველებს, რომ ნუ დაღონდებიან. ადამიანები ავად ხდებიან ხოლმე, მაგალითად, გრიპით. ჩათვალეთ, რომ საქართველოს დღეს გრიპი შეეყარა და იგი ამ სენისაგან უნდა განიკურნოს."**



# ანტიდასავლური ძალების გამარჯვება არჩევნებში

*"24 საათის" სტუმარია "მისტერ გაფართოება", აშშ-ს ნატო-ს კომიტეტის თავმჯდომარე და გარდამავალი დემოკრატიების ფორუმის დამფუძნებელი ბატონი ბრუს ჯექსონი.*

შოთა უტიაშვილი

**- როგორ შეაფასებთ საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს?**

- აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლების, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ამ არჩევნების შედეგები იყო ტოტალურად გაყალბებული. არჩევნები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. იგი უარყოფით გავლენას იქონიებს როგორც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე, ისე მის ევროპულ ინტეგრაციაზე, და ზოგადად, საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე.

სამწუხაროდ, არჩევნების შედეგები ანტიდასავლური ძალების დაბრუნებას მიანიშნებს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს აჭარაში მომხდარი სრული გაყალბება. ეს იყო ყველაზე ანტიდემოკრატიული შედეგები იმ არჩევნებს შორის, რაც წელს კავკასიაში ჩატარდა. ის ვერ აკმაყოფილებდა შავი ზღვის რეგიონის დემოკრატიულ სტანდარტებსაც კი. მე ვფიქრობ, რომ უახლოეს საათებში ვაშინგტონი, ბრიუსელი, ანკარა გააკეთებენ ოფიციალურ განცხადებებს, რითაც მთლიანად დაგმობენ ამ არჩევნებს.

იმის თქმა, რომ არჩევნების შედეგებს გმობენ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები და კლინტონის ადმინისტრაციის წევრები, ტყული იქნება. მე თვითონ რესპუბლიკელი ვარ. რესპუბლიკური პარტიის ბოლო ორ კონვენციაზე პარტიის საგარეო პოლიტიკური კომისიის წევრი ვიყავი, ვიყავი მისი თავმჯდომარე 2000 წელს. საქართველოს არჩევნების შესახებ ორივე პარტიის აზრი ერთმანეთს ემთხვევა.

ამ არჩევნებს ექნება უარყოფითი გავლენა დასავლეთის ინტერესებზე რეგიონში და ყველა იმაზე, ვინც საქართველოში ამ ინტერესებს წარმოადგენს.

არჩევნების ჩვენეულ შეფასებას იზიარებს ევროკავშირი და ყველა უმნიშვნელოვანესი დასავლური ინსტიტუტი.

**- თუ იქნება ოფიციალური განცხადებები ამერიკიდან და ევროპიდან?**

- ვფიქრობ, ორშაბათს დილით, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს დედაქალაქებში შეფასებები გაკეთდება. ევროპის საბჭო და სხვა ინსტიტუტები თავიანთ შეფასებებს უახლოეს მომავალში გააკეთებენ.

**- როგორ უნდა გადაწყდეს კრიზისი? თქვენი რეკომენდიცია.**

- ოპოზიციური პარტიები მშვიდად უნდა იყვნენ, ქუჩაში გამოსვლისას თავი უნდა შეიკავონ არადემოკრატიული მოთხოვნებისაგან.

ჩვენ არ გვინდა, რომ გაყალბებულმა არჩევნებმა ძალადობა ან სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვიოს. ესეც არადემოკრატიული შედეგი იქნება.

ჩემი აზრით, გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ, რაკი არჩევნების შედეგები ტოტალურად გაყალბდა აჭარაში, რაკი სხვა რეგიონებშიც ის სერიოზულ ეჭვს იწვევს, შედეგები უკანონოდ უნდა გამოცხადდეს. შედეგები კონსტიტუციური გზით უნდა გაუქმდეს და დაინიშნოს ახალი არჩევნები.

# არჩევნები იაპონიაში

გუშინ იაპონიაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. მთავარი კითხვა, რომელზეც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა, მდგომარეობდა იმაში, თუ პრემიერ კოიძუმის მიერ შემოთავაზებულ რეფორმების კურსს რამდენად უჭერენ მხარს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ცხადყოფს, რომ კოიძუმის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია, ორ მოკავშირე პარტიასთან ერთად, იოლად შეძლებს უმრავლესობის მოპოვებას.

მაგრამ, კოიძუმისათვის ეს საკმარისი არ არის. მას სურს, რომ ლიბერალ დემოკრატებმა, რომელთა შორის არიან როგორც რეფორმატორები, ისე კონსერვატორები, მარტომაც შეძლოს უმრავლესობის მოპოვება. ამ შემთხვევაში, პრემიერს ექნება სახალხო მანდატი რეფორმების გასატარებლად, რაც სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, პრივატიზაციასა და საბანკო სექტორის გაჯანსაღებას მოიცავს.

რამდენად მიაღწევს კოიძუმი ამ მიზანს, 100 მილიონ იაპონელ ამომრჩეველზეა დამოკიდებული, რომელიც ბოლო წლებში თავისი მერყეობით გამოირჩევა.

კოიძუმის ერთადერთი სერიოზული კონკურენტი ამ არჩევნებზე დემოკრატიული პარტიაა, რომელსაც ქარიზმატული ლიდერი ნაოტო კანი ხელმძღვანელობს.

არჩევნების წინ კოიძუმიმ განაცხადა, რომ დარწმუნებულია საკუთარ გამარჯვებაში, მაშინ, როდესაც კანმა მხოლოდ იმედი გამოთქვა, რომ ხალხი მთავრობის შეცვლას დაუჭერს მხარს.

"არჩევნების მიზანი მთავრობის შეცვლაა. მე ჩემი ხალხის სიმამცისა და ენთუზიაზმის იმედი მაქვს," – განაცხადა კანმა.

ლდპ იაპონიას მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული მართავს. მას, ტრადიციულად, მხარს უჭერენ ფერმერები, მცირე ბიზნესი და სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლები.

ბოლო წლებში ლდპ-ს მხარდამჭერები საკმაოდ მერყევნი გახდნენ. ახლა პარტიას კოიძუმის პოპულარობის იმედი უფრო აქვს, ვიდრე ტრადიციული ამომრჩევლისა.

კოიძუმი აცხადებს, რომ უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაშიც შეინარჩუნებს მოკავშირე პარტიებთან ალიანსს. ლდპ-ს პარტნიორები არიან ბუდისტური "ახალი კომეიტოს" პარტია და "ახალი კონსერვატიული პარტია".

დემოკრატიული პარტია ამ არჩევნებზე სახელმწიფო ხარჯების შემცირებისა და ბიუროკრატიის გავლენის შემცირების მოთხოვნებით გამოდის და ამომრჩეველს არწმუნებს, რომ რეალური ცვლილებების მოტანა მხოლოდ მას შეუძლია.

ცვლილებები კოიძუმის პრიორიტეტიცაა. ოღონდ, პრემიერს ზოგი იმის გამო აკრიტიკებს, რომ იგი მეტისმეტად სწრაფად ატარებს რეფორმებს, ზოგი კი პირიქით - ფეხის ათრევაში სდებს ბრალს.

"მე კოიძუმის ვუჭერ მხარს, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებულ რეფორმებს ხშირად მისივე პარტია ამუხრუჭებს. კარგი იქნება, თუ დემოკრატიული პარტია პოზიციებს განიმტკიცებს. ამ შემთხვევაში ლდპ-ც იძულებული გახდება, დროს ფეხი აუწყოს," – ამბობს 57 წლის მოტოი ჰოშინო.

ომის შემდეგ იაპონია, ფაქტობრივად, ერთპარტიულ ქვეყანას წარმოადგენს. ახლა ექსპერტთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ თუ დემოკრატები წარმატებას მიაღწევენ, ქვეყანა შეიძლება ორპარტიული სისტემისაკენ წავიდეს. ამჟამად, იაპონიის 480-კაციან პარლამენტში დემოკრატებს 137 ადგილი ეკუთვნით.

თუ ეს ასე არ მოხდა და ლდპ-მ დიდი უმრავლესობა შეინარჩუნა, ეს პირველ რიგში, კოიძუმის პირადი მომხიბლაობისა და ავტორიტეტის დამსახურება იქნება. გარდა ამისა, მმართველი პარტიის პოპულარობის ზრდას, ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაციის შემდეგ, ეკონომიკის გამოცოცხლებამაც შეუწყო ხელი.

ხმის მიცემა გუშინ საღამოს 8 საათზე დასრულდა. შედეგები დღეს გახდება ცნობილი.


სპს „დემენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

- სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ჩვენი ექსპერტების ანალიზსა და კომენტარებს შეგიძლიათ ყოველდღე გაეცნოთ გაზეთში „24 საათი".
- გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე დაწარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებში.
- გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საერთაშორისო ბიზნეს სამართალსა და სამეწარმეო სამართალში.

WWW.DVNK.GE

ტელ.: +995 32 751054 ფაქსი.: +995 32 751056 ელ-ფოსტა.: office@dvnk.ge

## ტელეტიპი



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

### მაშ, მტყუანის?!

მე თქვენი მიკვირს, ხალხო! აბა, რას ელოდით?
დაგავიწყდათ, ვის უჭირავს საკვანძო პოსტები?
ცესკოს თავმჯდომარე სოციალისტია.
სამთავრობო ბლოკის ლიდერი მთავარი კომკავშირელია.
აჭარის ლიდერი რუსის გენერალია.
პრეზიდენტი მთავარი კომუნისტია.

ახლა აღარ მოვყვები იმის ჩამოთვლას, რომ მეტი წილი "ოპოზიციური" პარტიების ლიდერები ან ყოფილი პროკურორები და პარტკომები არიან (მაგ., ნათელაშვილი), ან მილიონერები (მაგ., გამყრელიძე, თოფაძე, ტყემალაძე და მათ უკან მოყუზულნი ძალიან წარმატებული და, რა თქმა უნდა, ნიჭიერი ბიზნესმენები). როგორ და რანაირად, აქ ამის გარჩევის დრო არ არის, მთავარია, ამათ უნდათ, რომ ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

მე ამ ხალხისგან არც არაფერს ველოდი და არც ველი. მე ამათ ხმის უფლება ჩამოვართმევდი, მოქალაქეობაზე მიითხოვდი უარი. ესენი ამ ქვეყნის მოქალაქედ არ მიმაჩნია. სავსებით ადეკვატურია ჩემი რეაქცია – მე არც მაგათ პარლამენტს ვცნობ, არც მაგათ მიღებულ კანონებს, არც მაგათ არჩევნებს ვცნობ, რადგან ეგრე გულგრილად მიაფურთხეს ჩემს უფლებებს, მეც ფეხებზე მკიდია მაგათი კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციის მთავარი გარანტი პრეზიდენტიც.

ეს ხელისუფლება რომ ფეხებზე დასაკიდებელია, მეტსახელებიდანაც ჩანს. ხალხი პრეზიდენტს "მელას" აღარ ეძახის, "ედი" შეარქვეს, სახელმწიფო მინისტრს – "ქუში", ყოფილ მთავარ პოლიციელს თუ "რკინის კაცი" დაარქვეს, ახალს "ყურმას" ეძახიან, აჭარის ლიდერს, მამატიტი, პრეზიდენტს – "ტანმოკლე ფამფალ-ფამფალს", ირაკლი ბათიაშვილს – "ლომბაზი" შეარქვეს, რჩეულიშვილს – "პითაგორა", ირინა სარიშვილს – "შშ... შშ..." და ასე შემდეგ. ხაზგასმით სულაც არაფერი არ შეარქვეს, მაგრამ გამოჩნდება თუ არა კადრში, ხალხი სიცილით იხოცება.

გადავხედე ბოლო ორ წინადადებას და... აუუ... აკი დავიფიცე, სარიშვილის გვარს აღარ ვახსენებ-მეთქი. ახლა წყლით სავსე ჭიქის ცეცხლზე შედგმა და შიგ ბათინკების მოხარშვა მომიწევს.

ამ დღეებში თურმე სამოცამდე სისხლის სამართლის საქმე აღუძრავთ. ყველაზე ძალიან სიტყვა "გადადექი" დაიჩხა.

დიდო ბატონო მინისტრო, თავიდან, პოლიციელის კვალობაზე, შენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, განათლებული კაცის შთაბეჭდილება დატოვე. ახლა რა დაგემართა? შეპირებული რეფორმები ვერ გაატარე, ხალხის მიმართ გულგრილი იცავ. კი ბატონო, ამას შეჩვეული ვართ, მაგრამ ეს სიტყვა "გადადექი", როგორ კონტექსტშიც არ უნდა ჩასვა, მაინც არაფერი დაშავდება, ამის გაგება მაინც ხომ უნდა შეგეძლოს? გადადექი, რომ გეუბნებიან, შენი ნება არ არის? გინდა გადადექი, გინდა – არა. მაგალითად:

გადადექი!
გადადექი, რა!
გთხოვ, გადადექი!
ძალიან გთხოვ, გადადექი!
თუ შეიძლება, გადადექი!
გადადექი, ბოლოს და ბოლოს!

კიდევ ვერ გაიგე? მე პრეზიდენტს ნორმალური ქართულით წინადადებას ვაძლევ: აი, თუნდაც ასე: ედიკ-ჯან, я тебе один умный вещь скажу: სანამ დროა, დაახვიე.

გესმის, დიდო ბატონო მინისტრო? ახლა სულ თავისი ნებაა, უნდა დაახვიოს, უნდა – არა. იმ ანეკდოტისა არ იყოს, სვანს ორი ჭიქა რომ ედგა საწოლთან – ერთი წყლით სავსე, ერთიც ცარიელი. რად გინდაო და, მინდა დავლევ, მინდა არაო.

ისე, სიტყვამ მოიტანა და, დამხობაც არაა ცუდი სიტყვა. წამდაუწუმ ხომ ვერ გაგიმეორებთ, რომ, ისეთი მთავრობის ხელში, რომელიც ადამიანს თავისივე მონაგარიდან დღეში 46 თეთრს აძლევს და უარს ეუბნება არჩევანის გაკეთებაზე, აი, ეგეთი მთავრობის ხელში, ადამიანის უფლებების დეკლარაციის თანახმად, ხალხს აჯანყების უფლება აქვს!

ნამდვილად არაა ცუდი სიტყვა, მაგრამ, მე რომ მკითხოთ, ეგენი ამ ვაჟკაცური სიტყვის ღირსნი ნამდვილად არ არიან. მე წინააღმდეგი ვარ ამ სიტყვის ხმარებისა. კი არ უნდა დაამხო – იმაში, რაც მაგათ ამ ქვეყანაში გაშალეს, თავი თუ არა, ცხვირი მაინც უნდა ჩააყოფინო.

არა. არ არის სამართალი ამ ქვეყანაზე. ეგენი ქურდობენ, მამაძაღლობენ, ლანძღვით კი მე ვილანძღები. გუშინ ბიძაშვილმა დამირეკა ბოდბისხევიდან. ეს ქალაქელები რამ გამოგაქლიავათო. ალბათ, ხვდებით, რომ სიტყვა "ქლიავს" არ იხმარდა, მაგრამ იმას, რაც თქვა, ნამდვილად ვერ გავიმეორებ. არა, არა, რედაქტორი არაფერ შუაშია. ის ძველი კონფლიქტიც მშვიდობიანად დასრულდა. მადლობა ღმერთს, ყველამ დაინახა, რომ ლეიბორისტული პარტია მართლა ეკალი ყოფილა ოპოზიციის ტრაკში. ჩვენი რედაქტორი, ახლა ოღონდ რამე დაწერეთ, ბიჭებოო, და... უბრალოდ, მაგ სიტყვას ვერ გავიმეორებ. მეუხერხულება. თან რატომღაც მგონია, რომ ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ცდება ჩემი ბიძაშვილი. არა, იმაში ნამდვილად მართალია, ამდენ ხანს რომ ვაგულავეთ ეს კლიენტები, მაგრამ, ღმერთი ხომ ხედავს, როგორ ვცდილობთ...

ახლა მთელ საქართველოში ქაღალდების თვლაში არიან. დავობენ, ჩხუბობენ, მათემატიკას იშველიებენ, ისიც კი იანგარიშეს, ზოგიერთ ადგილას თურმე ექვს წამში ასწრებდნენ ხმის მიცემას.

ეს ყველაფერი ტყუილია. მაინც ვერ გაიგებენ და რა აზრი აქვს. ნათელაშვილმა საქვეყნოდ განაცხადა, მათემატიკაში სუსტი ვიყავიო, შარაძემ – არითმეტიკა არ ვიციო. მაგათი უფროსი რომ ინტეგრალების ამომხსნელი არ არის, ესეც ქვეყანამ იცის, ბათუმელი პრეზიდენტი კი საერთოდ წერა-კითხვის უცოდინარია. არა, თუმცა, ერთი მათემატიკოსი მაინც ჰყავთ, აი, ის, ადამიანის უფლებებს რომ იცავს. ჰო, რუსუდან ბერიძე... მაგრამ საქმე ის არის, რომ მაგაზე, ირინა სარიშვილსა და კიდევ ზოგიერთებზე ამბობენ, ერთნაირი ბიოგრაფია აქვთო. ასე რომ, ქაღალდების თვლა არაფერს მოგვიტანს. მე უფრო ეფექტურ მეთოდს შემოგთავაზებდით. ავტორობა, უნდა ვაღიარო, რომ მე არ მეკუთვნის, იდეა ჩემს ბიძაშვილთან აქტიური კონსულტაციების შედეგად დაიბადა.

ჩემს ზემოთ, სულ რაღაც ოცდაათ მეტრში, ეგრეთ წოდებული "სახელისუფლებო რესურსი" ცხოვრობს. ორი ძმაა – შირინა და ელდარი. მამალაძის სამფლობელოს რომ ეძახიან, იქ ნათესავები ჰყავთ და ხშირადაც დადიან. სიცილით მოკვდნენ, როცა ვუთხარი, 90 თუ 95 პროცენტი მისულა-მეთქი არჩევნებზე. აი, ის იდეაც მაშინ დაიბადა.

მოკლედ, დევდარიანი, მამალაძე, სარიშვილი, რჩეულიშვილი... სავსებით ბუნებრივად მიიჩნევენ იმას, რომ ქვემო ქართლსა და აჭარაში ამომრჩეველთა 90-დან 100 პროცენტამდე გამოცხადდა საარჩევნო უბნებზე. კეთილი და პატიოსანი. მკითხველს ეჭვი არ შეეპარება, რომ ეს ქალბატონები და ვაჟბატონები ჩემზე მეტ, როგორც ირინა იტყვის ხოლმე, ინფორმაციას "ფლობენ" (აი, ამ ბრჭყალებში ჩასმული სიტყვიდანაც და, საერთოდ, საქციელიდანაც ჩანს, რომ სარიშვილი რუსულად აზროვნებს – ჯერ რუსულად გაიფიქრებს და მხოლოდ ამის შემდეგ მოთარგმნის ხოლმე ქართულად. და, საერთოდ, იურიდიული უფლება კი აქვს, მაგრამ მორალური თვალსაზრისით სწორი იქნება, თუ მეორე გვარს ჩამოიცილებს).

იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაციის კუთხით ასეთი უპირატესობა აქვთ, მე საშინლად ვრისკავ.

ესე იგი, თქვენ ადასტურებთ, რომ მარნეულში, ბოლნისსა და ასლანას საპრეზიდენტოში ოთხმოცდაათიდან ას პროცენტამდე ამომრჩეველი მივიდა.

მაშ, მტყუანის?!

☺

მორჩა. მეტის წერა აღარ შემიძლია. რუსთაველზე დიდი, ძალიან დიდი ამბებია, ბიჭებო!

## დარბაზი ერთხმად პასუხობდა: არა!

პირველი გვერდიდან

ლაშა ბულაძემ "მანიფესტად" მოიხსენია, ორმა გრამატიკულმა კავშირმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა: პირველად ტექსტში აღნიშნული საზოგადოება ითხოვდა, რომ პრეზიდენტს ან ბათილად ეცნო არჩევნები, ან გადამდგარიყო. გამომსვლელთა ნაწილი მოითხოვდა, ამოეღოთ მაცალკევებელი კავშირი "ან" და ჩაესვათ მაერთებელი "და".

ერთ-ერთმა გამომსვლელმა, პროფესიით იურისტმა შეკითხვის სახით წაიკითხა კონსტიტუციის 71-ე მუხლი, შეასრულა თუ არა პრეზიდენტმა ფიცი, რომელიც ღვთისა და ერის წინაშე გამოაცხადა: დაიცვა საქართველოს კონსტიტუცია, ქვეყნის დამოუკიდებლობა, ერთიანობა, განუყოფლობა? იზრუნა თავისი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე? იზრუნა ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის?

შეკრებილთა დარბაზი ერთხმად პასუხობდა: არა!

გუშინ კინოს სახლში პრეზიდენტიც აირჩიეს: ახალშექმნილი, საქართველოს კულტურის მოღვაწეთა და მეცნიერთა დარბაზის პრეზიდენტი - რამაზ ჩხიკვაძე.

საქართველოს კულტურის მოღვაწეთა და მეცნიერთა დარბაზი

## მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

**ბატონო პრეზიდენტო!**

**დემოკრატიული მმართველობის სისტემა ქართველი ხალხის ძირითადი ფასეულობაა, დემოკრატიის არსი კი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებია. საქართველოს ხელისუფლებამ ამ სიწმინდეზე ხელი აღმართა, რის შედეგადაც დემოკრატია დღეს მანკიერებისა და ბოროტმოქმედების ნიღბად იქცა.**

**ჩვენ უარს ვაცხადებთ ამ სიყალბეში ცხოვრებაზე, ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, როგორც განვითარებული პროცესების მთავარ პასუხისმგებელ ხელისუფალს და მოვითხოვთ: აღიაროთ "ჩატარებული არჩევნები" ბათილად, ან დატოვოთ თანამდებობა, რადგანაც ხელისუფალი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საკუთარ ქვეყანაში მთავარი დემოკრატიული სიწმინდის დაცვას, ჰკარგავს ლეგიტიმურობას და აღარ აქვს უფლება იწოდებოდეს თავისუფალი ხალხის პრეზიდენტად.**

რამაზ ჩხიკვაძე. მსახიობი. დარბაზის პრეზიდენტი.
ივანე კილურაძე. აკადემიკოსი.
ზურაბ კიკნაძე. პროფესორი.
რეზო ესაძე. კინორეჟისორი.
გიორგი ხარაძე. აკადემიკოსი.
გრიგოლ თუმანიშვილი. პროფესორი.
შოთა ნადირაშვილი. აკადემიკოსი.
გიორგი შენგელაია. კინორეჟისორი.
დავით ჯავახიშვილი. მწერალი.
თენგიზ მირზაშვილი. მხატვარი.
გივი მიზანდარი. პროფესორი.
ბესო სოლომონაშვილი. კინორეჟისორი, მწერალი.
გ. ბარამიძე. პროფესორი.
მანანა გოდერძიშვილი. მსახიობი.
გოგა ხაინდრავა.
ომარ ჩიტაია. ჟურნალისტი.
გულნარა შანიძე. მხატვარი.
ირინა შანიძე. არქიტექტორ-დიზაინერი.
რაულ კუპრავა. პროფესორი.
კოტე ყუბანეიშვილი. პოეტი.
აჩიკო გულედანი. მუსიკოსი.
თემურ ფალავანდიშვილი. რეჟისორი.
ზურაბ რთველიაშვილი. პოეტი.
ბესო გიორგობიანი. კინორეჟისორი.
მარი მუსელიანი. ჟურნალისტი.
თათუზა ყურაშვილი. მუსიკოსი.
თეიმურაზ ხოფერია. პროფესორი.
გიორგი მირზაშვილი. მხატვარი.
დიმიტრი იანკოვსკი. პოლიტოლოგი.
ყარამან ქუთათელაძე. მხატვარი.
კახაბერ საკანდელიძე. ეკონომისტი-გეოგრაფი.
გია თევზაძე. რუსთაველის თეატრის დირექტორი.
გიორგი დევდარიანი. კინოოპერატორი.
ანა ნიჟარაძე. ფოტოგრაფი.
თემურ რუბაშვილი. მხატვარი.
თემურ ცაავა. კინორეჟისორი.
ანდრო ჭიაურელი. კინორეჟისორი.
თემურ არჯევანიძე. მხატვარი.
ნინო ბურდული. მსახიობი.
მერაბ გაგუა. რეჟისორი.
თემურ ბუტიკაშვილი. რეჟისორი
გენო ჩირაძე. რეჟისორი, ოპერატორი.
დათო მაღრაძე. პოეტი.
ზაალ სამადაშვილი. მწერალი.
ლაშა ბულაძე. მწერალი.
გიო ცინცაძე. კომპოზიტორი.
ნიკოლოზ რურუა. იურისტი.
თემურ ნანეიშვილი. პროფესორი.
მიხეილ ანთაძე. მწერალი, რეჟისორი.
გივი მიზანდარი. პროფესორი.
ირაკლი კაკაბაძე
ზურაბ რცხილაძე. საზოგადოება "მემორიალის" თავმჯდომარე.
დავით ტაკიძე. მწერალი.
მანანა გაბუნია. რედაქტორი.
ვახო ბაბუნაშვილი. მუსიკოსი.
ნინო ციხისთავი. ქალთა უფლებების დაცვა.
გიორგი ხუციშვილი. პროფესორი.
ავთანდილ იმნაძე. სათემო ორგანიზაციის დიდი დილომის თავმჯდომარე.
ბიძინა ჩხეიძე. მსახიობი, რეჟისორი, მწერალი.
ბესო კუპრეიშვილი. რეჟისორი.
ვახტანგ ღლონტი. პოეტი.
თემურ რადიანი. ბიოლოგი.
გივი ჩუგუაშვილი. მსახიობი.
დათო ჯანელიძე. კინორეჟისორი.
მიხეილ ნამთალიშვილი. პროფესორი.
ვახტანგ კოკილაშვილი. აკად. წ/კ.

## უცნაური არჩევანი

### ჩვენი მშიერი მოსახლეობა, თურმე, ისევ ძველ ხელისუფლებას უჭერს მხარს

მაკა ჯაიანი

*363552 ხმა 2506388-დან. ეს არის ის მონაპოვარი, რომელსაც სახელისუფლებო ბლოკი ამ არჩევნებში სათავისოდ აფიქსირებს. ქვეყანაში, სადაც, ხელისუფლების წყალობით მოსახლეობა სიღატაკის ზღვარზეა, თურმე ხალხი თანახმაა არაადამიანური ყოფით იცხოვროს. ისევე, როგორც აქამდე ცხოვრობდა.*



*ზღვარზე...*

საქართველოს ერთ-ერთი რაიონის, წალკის სოფელ გუმბათის სკოლაში მოსწავლეებს თან სკამები მიაქვთ, რომ გაკვეთილებზე ფეხზე დგომა არ მოუწიოთ. მერხების მაგივრობას იქ დიდი მაგიდა ასრულებს, რომლის ირგვლივაც ბავშვები ერთად სხდებიან, ცარცის მაგივრობას – ნახშირი. სკოლა მატარებლის ძველ ვაგონშია განთავსებული. ამ სოფელში წყალს ხალხი სოფლის ცენტრში გათხრილი ჭებიდან იღებს, ელექტროენერგია კი კვირაში ერთხელ ირთვება. ამ ქვეყანაში, თურმე, ეს ბევრს ნიშნავს: დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფლებში ექვსი-შვიდი წლის ბავშვებმა არც კი იციან, რა დანიშნულება აქვს ჭერში ჩამოკიდებიულ ნათურას; ხევსურეთის რამდენიმე სოფელში გაკვეთილები მხოლოდ მზიან დღეებში ტარდება, რადგან მათი ჩატარება მასწავლებლებს ღია ცის ქვეშ უწევთ. იქაურების დათვლა უკვე ხელის თითებზეც შეიძლება. სოფელ ბუჩუკურთაში ახლა ექვსი ადამიანიღა ცხოვრობს, ატაბეში – სამი, ღულში – ერთი, სამოც წელს გადაცილებული მოხუცი. სოფლები იცლება საქართველოში.

ჩვენს ქვეყანას დღეს მილიონზე მეტი გარემიგრანტი ყავს. აქედან 90 პროცენტზე ცოტა ნაკლები ეკონომიკური მიგრანტია – საკუთრი სამშობლოდან ისინი უსახსრობას, უპატრონობას გაექცნენ. წასულია ყველაზე შრომისუნარიანი მოსახლეობა. 20-დან 40 წლამდე ადამიანები, რომელთაც აქ სამსახური ვერ იშოვეს. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევარი საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 10-15 პროცენტია, თუმცა, ის, რომ ეს "მსუბუქი" რიცხვებია საერთშორისო ორგანიზაციებმა რამდენჯერმე დაადასტურეს. ჩვენთან თვითდასაქმებულად ითვლება ნებისმიერი გლეხი, რომელსაც ერთი ჰექტარი მიწა მაინც აქვს, ასეთი კი სოფლის მცხოვრებთა 94 პროცენტია. ეს ხალხი მართლაც რომ იყოს დასაქმებული, ხანგრძლივი და ბნელი ზამთარის განმავლობაში მოსახმარად, ზაფხულში აღებული მოსავლიდან მარაგის გაკეთება არ დაჭირდებოდათ. უცხოელი ექსპერტები ამას "აქლემის სტრატეგიას" უწოდებენ. მწირმიწიან იმერეთსა და გურიაში გლეხებს, სამწუხაროდ, მისი გამოყენების შესაძლებლობაც არა აქვთ.

თავს უკეთ ვერც ისინი გრძნობენ, ვისაც სამსახური აქვს. იმ მიზეზის გამო, რომ სამსახური საქართველოში არ ნიშნავს სიღარიბიდან თავის საბოლოოდ დაღწევას. სამუშაო ადგილების უმეტესობა (ისინი, ძირითადად, დიდ ქალაქებში იქმნება) ჩვენთან არაფორმალურ სექტორში იქმნება, ისინი დროებითია, მეტწილად ნახევარი განაკვეთის მოცულობის, მოკლევადიანი და დაბალანაზღაურებადი. ხელფასები თითქმის ყველგან დაბალია და ოჯახებს დამატებითი შემოსავლის წყარო სჭირდებათ. ოფიციალურად, მინიმალური ხელფასი ქვეყანაში 20 ლარია, საშუალო კი 50-70 ლარს შორის მერყეობს. გაეროს ეროვნული ჰუმანური განვითარების პროგრამის ანგარიშის მიხედვით, მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტის ხარჯი 1 სულ მოსახლეზე 55-115 ლარს შეადგენს. სწორედ ამ ფარგლებშია გავლებული საქართველოში უდაბლესი და უმაღლესი სიღარიბის დონეები. ამ პირობებში სრულფასოვანი კვება პრობლემად იქცევა. ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალზე მწირ რაციონზეა.

დაბალი შემოსავლები საქართველოს მოსახლეობას აიძულებს იაფფასიანი, დაბალი კალორიულობის მქონე პროდუქტები შეიძინოს და ამით მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგება – რაც უფრო ხანგრძლივია ასეთი მდგომარეობა, მით მეტია დაავადებების რისკი. შედეგიც სახეზეა: ქვეყნის მოსახლეობის წინაშე სერიოზულად დგას ჯანმრთელობის პრობლემა. არადა, ავადმყოფობას აქ, შეიძლება, ოჯახის ვალში ჩავარდნა და სიღარიბე მოყვეს. მკურნალობაზე თავის არიდების მარტივი მიზეზი საქართველოში, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებიდან ჩანს, არის უფულობა, რის გამოც, ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ჯანმრთელობის დაცვაზე ხელი არ მიუწვდება. მნიშვნელობა არა აქვს, სად ცხოვრობენ ისინი – სოფლად თუ ქალაქად. ადამიანები იმ შემთხვევაშიც ვერ მიმართავენ ექიმს, როცა მიაჩნიათ, რომ ეს მათი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. უფულობის გამო ექიმთან მიუსვლელობა ჩვენს ქვეყანაში წესად იქცა და გამონაკლის შემთხვევად, სამწუხაროდ, აღარ ითვლება.

ისინი, ვინც ექიმთან მისასვლელ თანხებს შოულობენ, სხვა ბარიერებს აწყდებიან – წამლების შესაძენი თანხა არა აქვთ. "სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების 21 პროცენტმა, ექიმთან ვიზიტის შემდეგ ვერ შეძლო წამლის შეძენა. ეს მაჩვენებელი 27,9 პროცენტს აღწევს უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე მყოფ ადამიანებს შორის", - წერია გაეროს ეროვნული ჰუმანური განვითარების ანგარიშში. მონაცემების საერთო შეჯამებით შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე ღარიბთა მთლიანი რაოდენობიდან მკურნალობას მხოლოდ 24 პროცენტი ახერხებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან სიღარიბის ყველაზე დაბალ ზღვარზე მყოფი ადამაინები: მარტოხელა პენსიონრები, მარტოხელა დედები და სამუშაო ასაკის მარტოხელა ზრდასრული ადამიანები. დიდ ოჯახებს, ბავშვებით იქნებიან ისინი თუ უბავშვებოდ და ოჯახებს, რომლებიც ერთი ზრდასრული ადამიანისა და პენსიონრისაგან შედგებიან, საქართველოში, თითქმის, ერთნაირად უჭირთ.

ღარიბების დიდ წილს ჩვენს ქვეყანაში შეადგენენ შრომისუუნარო და უმუშევარი ადამიანები. სიღარიბის დონე ამ ჯგუფში ასევე ყველაზე მაღალია და მათი თითქმის ნახევარი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. შემდეგ ადგილზეა ნახევარ განაკვეთზე მომუშავე და დროებით დასაქმებული ადამიანების ჯგუფი (47, 66 პროცენტი), მათ დამქირავებელი/მეწარმე მოსდევს (40,82 პროცენტი). უკიდურესად ღარიბების დაახლოებით 70 პროცენტი თვეში 60 ლარზე ნაკლებს გამოიმუშავებს, 35 პროცენტი – 10-3 ლარს.

რაც შეეხება განათლების სეგმენტს - სიღრმისეული კვლევები სახასიათო დასკვნებს იძლევა: განათლების საკითხმა ჩვენში უკანა პლანზე გადაინაცვლა, ვინაიდან მოსახლეობას მიაჩნია, რომ კარგი განათლება არ უკავშირდება კარგ სამუშაო ადგილს. ასე ფიქრობენ ქვეყანაში, სადაც უნივერსიტეტის დიპლომის მქონეთა 40 პროცენტი სიღარიბის ზღვარზეა.

აი, ასეთ პირობებში გაუკეთებია საქართველოს მოსახლეობას ის არჩევანი, რომელსაც ხელისუფლება გვთავაზობს. საპირფარეშოებში დაყრილი საარჩევნო სიების, არჩევნებზე მიპატიჟებული გარდაცვლილი ნათესავებისა და საკუთარი, კონსტიტუციური უფლების წართმევის ფონზე, ჩვენი უმუშევარი, მშიერი და შეურაცხყოფილი მოსახლეობა, თურმე, ისევ ძველ ხელისუფლებას უჭერს მხარს. დავიჯეროთ?

გაზეთი
ბათუმელები
NEWSPAPER BATUMELEBI www.internews.ge/batumelebi
batumelebi@batumi.net
დამოუკიდებელი პრესის არსებობის პრეცენდენტი აჭარაში

მოკლედ

## რაგბის "სამკურნალო" რესურსები

2003 წლის ავსტრალიის რაგბის მსოფლიო ჩემპიონატში ქართველი რაგბისტების მონაწილეობამ ქართული და ავსტრალიური საავადმყოფოების თანამშრომლობასაც დაუდო საფუძველი. ამ ურთიერთობის სულისჩამდგმელი ავსტრალიაში საქართველოს საპატიო კონსული, პრინცი დადიანოვი აღმოჩნდა. გაზეთ "პოსტის" ინიციატივით, ჩვენს რაგბისტებს ქალაქ პერთაში გულშემატკივრები, არც მეტი, არც ნაკლები, ქართული შეძახილებითა და ქუდების ქნევით დახვდნენ. ქართული რაგბის ავსტრალიელი გულშემატკივრებისთვის, "ფან-კლუბში" გასაწევრიანებლად, დამატებით მოტივაციას ისიც წარმოადგენდა, რომ წევრობის შენატანიდან ყოველი 10 დოლარი შემოწირულობის სახით გადაეცემოდა ავსტრალიიისა და საქართველოს საავადმყოფოებს. გულშემატკივრების მიერ მოგროვებულმა თანხამ 10 000 დოლარი შეადგინა. ფული პრინცესა მარგარეტის ჰოსპიტალს, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიულ კლინიკასა და იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს გადაუნაწილდათ. პრინცესა მარგარეტის ჰოსპიტლის მთავარი ქირურგი იან გოლოვი და ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი ირაკლი სასანია იმედოვნებენ, რომ სტაციონარებს შორის ურთიერთობა მომავალში გაღრმავდება. ნიშანდობლივია, რომ ორივენი რაგბის ყოფილი მოთამაშეები არიან. პრინცმა ვიქტორ დადიანოვმა აღტაცება ვერ დამალა პრინცესა მარგარეტის ჰოსპიტლის დათვალიერებისას. "ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვინატროთ ასეთი საავადმყოფოები საქართველოში," – თქვა მან. მან უდიდესი მადლიერება გამოხატა პერთის მცხოვრებთა მიმართ, რომლებიც არა მარტო ქართველ მორაგბეებს გულშემატკივრობდნენ, წვლილი ქართველი ბავშვების ჯანმრთელობის საქმეშიც შეიტანეს. ირაკლი სასანიას განცხადებით, ქართველი და ავსტრალიელი ექიმების თანამშრომლობა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ორი ქვეყნის სპეციალისტებისთვის, თანხა კი, რომელსაც საავადმყოფო შემოწირულობის შედეგად მიიღებს, მოხმარდება საქართველოში პირველი გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის განვითარებას, რომელიც სულ მალე ამუშავდება ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში.

*24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც საქართველოს პარლამენტის შენობის გვერდით მდებარეობს, ხვალ სასწავლო პროცესი ოფიციალურად განახლდება, თუმცა გიმნაზიის ხელმძღვანელობა ვითარების შესაძლო გართულების შემთხვევაში პასუხისმგებლობას აქციის ინიციატორებს აკისრებს.

„მართალია, ამჟამად პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქცია მშვიდობიანია და შეიარაღებული დაპირისპირება მოსალოდნელი არ არის, მაგრამ, ვითარების შესაძლო გართულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა აქციის მონაწილეებს დაეკისრებათ", — თქვა გიმნაზიის დირექტორმა ლიანა შეწირულმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სამწუხაროდ, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების სიმრავლის მიუხედავად, უკანასკნელ წლებში გოგონებში აბორტების, უფრო კი მინიაბორტების, რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მიზეზი თავისუფალი ცხოვრების წესის ფართო და უკონტროლო პროპაგანდაა. მიმაჩნია, რომ 18 წლამდე ქალის ორგანიზმი არც ფიზიკურად და არც ფსიქოლოგიურად არ არის მომზადებული ამისათვის," - აცხადებს აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიკა რეხვიაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში შიდსით ინფიცირებულთა რაოდენობამ იკლო. ინფექციური პათოლოგიების, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიების ცენტრის ინფორმაციით, ოქტომბრის თვეში ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებული მხოლოდ ერთი ადამიანი გამოავლინეს. ამჟამად ცენტრში კიდევ რამდენიმე პაციენტისგან აღებული სისხლის გამოკვლევა მიმდინარეობს, თუმცა მათი საბოლოო დიაგნოზი ჯერ დასმული არ არის.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით 461 ადამიანია ინფიცირებული - 389 მამაკაცი და 72 ქალი. მათ შორის ოთხი ბავშვია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი ონკოლოგები ამერიკელ კოლეგებთან ითანამშრომლებენ.

ონკოლოგიის ცენტრის დირექტორმა რევაზ გაგუას ცნობით, მომავალ თანამშრომლობაზე მოლაპარაკებები თბილისში ოქტომბერში ჩატარებულ ბიოსამედიცინო კონფერენციაზე დაიწყო.

ამჟამად თბილისის ონკოლოგიის ცენტრი და ვაშინგტონის ონკოლოგიის ცენტრი ხელშეკრულების პროექტზე მუშაობენ. ამ დოკუმენტს, სავარაუდოდ, მომავალი წლის დასაწყისში მოაწერენ ხელს. **მედია-ნიუსი**

*მოკლედ*

## უკანონოდ დაპატიმრებულ დამკვირვებელს აჭარელი სამართალდამცველები "არ თმობენ"

"ხმების დაცვის სტუდენტური კომიტეტის" წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება "საზოგადოებრივი შტაბი", არჩევნების დღეს ქობულეთის პოლიციის მიერ დაკავებული დამკვირვებლის, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრის გიორგი მშვენიერაძის გათავისუფლებას მოითხოვენ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ხმების დაცვის სტუდენტური კომიტეტის" კოორდინატორმა დავით მესხიშვილმა განაცხადა, თუკი აჭარაში უკანონოდ დაპატიმრებული მშვენიერაძე ორ დღეში არ იქნება გათავისუფლებული, "ხმების დაცვის სტუდენტური კომიტეტის" წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება "საზოგადოებრივი შტაბი" თბილისში, აჭარის წარმომადგენლობის წინ აქციებს გამართავს.

"განსაკუთრებულ გაღიზიანებას ცოტნე ბაკურიას ცინიკური განცხადებები იწვევს. ჩვენ მაქსიმალურად ვიბრძოლებთ, რომ უდანაშაულო ადამიანი პატიმრობიდან გაათავისუფლონ. სტუდენტური მოძრაობა დაიცავს ყოველი ახალგაზრდის უფლებებს," – აცხადებენ ხმების დაცვის სტუდენტური კომიტეტის წევრები.

*ინტერ-პრესი*

## ადვოკატი სამხედრო პროკურატურას არაობიექტურობაში ადანაშაულებს

რამდენიმე თვის წინ ახალციხეში მომხდარი გახმაურებული დანაშაულის სასამართლო განხილვა საოლქო სასამართლოში დაიწყო. თავდაცვის სამინისტროს ახალციხის სამხედრო ნაწილის რიგითი გიორგი გაგოშვილი, რომელმაც სხვა ჯარისკაცებთან ერთად დროებით დატოვა ნაწილი, კომენდანტმა შალვა გოგოლაძემ, ჯარისკაცთა ძებნის დროს, იარაღიდან გასროლით მოკლა. კომენდანტი იმავე ღამეს გამოცხადდა ახალციხის რეგიონალურ სამხედრო პროკურატურაში და მის წინააღმდეგ მეორე დღესვე აღიძრა საქმე.

საქმე ისაა, რომ კომენდანტმა შალვა გოგოლაძემ „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი ჯარისკაცთა გასაფრთხილებლად ჰაერში ისროლა, ქვაზე მოხვედრილმა ტყვიამ მიმართულება შეიცვალა და შემთხვევით 18 წლის ჯარისკაცს მოხვდა. დაჭრილი გიორგი გაგოშვილი სამხედრო ნაწილის ოფიცრებმა ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლში იპოვეს, ჯარისკაცი ჰოსპიტალში მიყვანამდე გარდაიცვალა. სამხედრო პროკურატურამ შალვა გოგოლაძე განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა.

განსასჯელის ადვოკატი ვოვა გაბრიჩიძე სამხედრო პროკურატურას საქმის არასწორად წარმოებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ სამხედრო პროკურორმა შალვა გოგოლაძე პირადი კონფლიქტის გამო დასაჯა. ადვოკატის თქმით, კომენდანტსა და სამხედრო პროკურორს შორის უკმაყოფილება თავის დროზე ჰაუპტვახტთან დაკავშირებით მოხდა. პროკურატურას სურდა, ბრალდებულები თვეობით ჰყოლოდა ჰაუპტვახტში, შალვა გოგოლაძემ კი კომენდანტად დანიშვნისთანავე ჯარისკაცები ჰაუპტვახტიდან გაათავისუფლა.

ვოვა გაბრიჩიძის განცხადებით, გაუფრთხილებელი მკვლელობის კვალიფიკაცია სამხედრო პროკურატურამ განზრახ მკვლელობის მუხლით შეცვალა, საოლქო სასამართლომ პროკურატურის მიერ დაშვებული სერიოზული ხარვეზი უნდა გაასწოროს.

*მედია-ნიუსი*

## რეფორმა სასაზღვრო უწყებაში

უცხოელი კოლეგები ქართველ მესაზღვრეებთან ინტენსიურად თანამშრომლობენ - ეხმარებიან სასაზღვრო უწყების პოლიციურ სისტემად გარდაქმნაში, უზიარებენ გამოცდილებას და მატერიალურადაც ეხმარებიან. რეფორმის პრაქტიკულად განხორციელებას წინ უსწრებს სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა. როგორც ცნობილია, ახალი კანონმდებლობა მესაზღვრეებს საგამოძიებო უფლებასაც ანიჭებს და იგი ძალაში ახალი წლიდან შევა. არადა, ადრე მესაზღვრეებს მხოლოდ პირველადი მოკვლევის ჩატარება შეეძლოთ, რის შემდეგაც მოკვლეული მასალები გამოსაძიებლად სხვა სამართალდამცველი უწყებისთვის უნდა გადაეცათ.

სასაზღვრო უწყების პოლიციურ სტრუქტურად გარდაქმნის საქმეში საქართველოს სასაზღვრო უწყებას პოლონელი კოლეგები ეხმარებიან. სწორედ ამ მიზნით იმყოფებოდა საქართველოში პოლონეთის სასაზღვრო ძალების მთავარსარდალი იოზეფ კლიმოვიჩი.

ორ ქვეყანას შორის გაფორმებული დეკლარაციის საფუძველზე პოლონეთისა და საქართველოს სასაზღვრო უწყებების თანამშრომლობა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართება. საუბარია უკანონო მიგრაციის, ნარკობიზნესის, ტერორიზმისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ორი ქვეყნის ერთობლივი ბრძოლის შესახებ და საქართველოს სასაზღვრო უწყების პოლიციურ სტრუქტურად გარდაქმნის პროცესში პოლონეთის გამოცდილების გაზიარებასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაში დახმარებაზე.

*მედია-ნიუსი*

# იტვირთებს თუ არა კობა ნარჩემაშვილი გენერალ როდიონოვის როლს

პირველი გვერდიდან

ყველაზე დიქტატორული რეჟიმიც კი ოპოზიციური მოძრაობის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას, ოფიციალურად, არა რეალური მიზეზით – ძალაუფლების დაკარგვის შიშით - არამედ ქვეყანაში წესრიგის დაცვის სურვილითა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვით ამართლებს.

1989 წლის 9 აპრილს, დღევანდელი პარლამენტის შენობასთან შეკრებილი მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევა, მოწამვლა და დახოცვა საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ოფიციალურად, სწორედ წესრიგის დაცვად და პროვოკაციის თავიდან აცილებად მოინათლა.

13 წლის შემდეგ, იმავე ადგილას ათასობით ადამიანი საკუთარი არჩევანისა და ღირსების დაცვას ცდილობს. მასშტაბური მშვიდობიანი აქციით შეშფოთებულმა, ოღონდ, ამჯერად არა საბჭოთა, არამედ საქართველოს ხელისუფლებამ კვლავაც წესრიგის დაცვისა და მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან აცილების საბაბით, სპეცდანიშნულების რაზმების მობილიზება დაიწყო.

მაგრამ, მიუხედავად თბილისის ცენტრში გამოფენილი, ხელკეტებით, რკინის ფარებით, მუზარადებით აღჭურვილი ძალოვნებისა, მიუხედავად ხელისუფალთა მხრიდან მომიტინგეთა დასაშინებლად განცხადებების კეთებისა, პარლამენტის შენობის წინ მომიტინგეები არ იშლებიან.

არადა, აშკარაა, რომ ხელისუფლება მშვიდობიანი მომიტინგეების დასაშლელად ძალის გამოყენებისთვის მზად არის, საამისოდ მხოლოდ საბაბს ეძებს და ასეთი შემთხვევისთვის საზოგადოებრივი აზრის მომზადებას წინასწარ ცდილობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დესტაბილიზაციასა და პოლიტიკურ პარტიათა მხრიდან პროვოკაციებს წინასწარმეტყველებს და წესრიგის დაცვის სახელით ძალის გამოყენებით იმუქრება. ოპოზიციის მხარდამჭერთა მიტინგების ფონზე პოლიცია, ოპერატიული წყაროებით მიღებულ ცნობებს ეყრდნობა და



*როგორ მოიქცევა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიცია?!*

პოლიტიკური პარტიების ოფისებში იარაღის არსებობაზე საუბრობს, თუმცა, ამ ინფორმაციის რეალიზება მხოლოდ ერთი – "მონარქისტული პარტიის" ოფისის ჩხრეკით ამოიწურება.

თავის მხრივ, სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას ცდილობს და აცხადებს, რომ **„სააკაშვილის დაჯგუფებამ, შესაძლოა, სახელმწიფო კანცელარია შტურმით აიღოს. კრიმინალთა რამდენიმე დაჯგუფება უკვე თბილისისკენ გამოემართა".**

თავად განსაჯეთ, რა შეიძლება იდგეს ამ განცხადების უკან იმ პირობებში, როცა თბილისისკენ მომავალი გზები შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებს აქვთ გადაკეტილი და რაიონებიდან დედაქალაქში მომავალი ყველა მანქანა სწორედ პოლიციის მიერ მოწმდება. ამ შემოწმების მიზეზი კი, კობა ნარჩემაშვილის თქმით, პოლიციის ხელთ არსებული ინფორმაციაა იმის თაობაზე, რომ გარკვეული ძალები თბილისში იარაღის შემოტანას ცდილობენ. **"გზების გადაკეტვაზე ბრძანება არ გაცემულა, გაცემულია ბრძანება, რომ შეიარაღებულმა პირებმა თბილისში არ შემოაღწიონ",** – ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრი, რაც ნიშნავს, რომ პოლიციის ნებართვის გარეშე თბილისში შეიარაღებული პირები ვერ შემოაღწევენ.

თბილისის შემოსასვლელი გზების გადაკეტვასთან ერთად, ნარჩემაშვილის განცხადებით, სამართალდამცავი ორგანოები დედაქალაქში მასობრივი აქციების მსვლელობისას მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად მაქსიმალურად მობილიზებულნი არიან. გარდა ამისა, მინისტრის თქმით, ყველაფერი კეთდება, რომ წესრიგის აღდგენა დედაქალაქში ძალის გამოყენების გარეშე, სხვა საშუალებებით მოხერხდეს, თუმცა კი, **„არსებობს საშიშროება, რომ პროვოკაცია თავად მომიტინგე მასის შიგნით მოხდეს"**, — აცხადებს კობა ნარჩემაშვილი. იგი რამდენიმე დღის მანძილზე მშვიდობიანად მიმდინარე მიტინგზე ექსცესებს ელის და ამ მოლოდინში ქალაქის ცენტრში სპეცრაზმელებს უყრის თავს.

და ბოლოს, რადგან 9 აპრილი გავიხსენეთ, მაშინ საბჭოთა საქართველოს მილიცია ხალხის გვერდით დადგა. როგორ მოიქცევა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიცია? როგორ მოიქცევა კობა ნარჩემაშვილი "მომიტინგე მასის შიგნით" პროვოკაციის პროვოცირების შემთხვევაში? იტვირთებს თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრი საკუთარი პორტფელის შენარჩუნებისთვის გენერალ როდიონოვის როლს?

ერთი რამ ცხადია, თუ კობა ნარჩემაშვილი ამაზე წავიდა, მისი ტვირთი გაცილებით მძიმე იქნება – ის ძალას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენებს.

# ვაგზლის მოედანზე მდებარე ბაზრობა დროებით დაიხურა

"ვაგზლის მოედნის" მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედ შპს „თერგის" ბაზრობაზე გუშინ ინციდენტი მოხდა, რის შემდეგაც დაცარიელებული ბაზრობა დაიკეტა.

გავრცელებული ინფორმაციებით, დილით ბაზრობაზე მივიდა რამდენიმეკაციანი ჯგუფი და მოვაჭრეებს მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგზე წასვლისკენ მოუწოდებდა.

მოვაჭრეთა დიდი ნაწილი მართლაც გაემართა მიტინგისკენ, ხოლო ნაწილმა მოწოდება არ გაიზიარა, მაგრამ სავაჭრო დახლები დახურა.

„თერგის" ადმინისტრაციის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ბაზრობის მოვაჭრეთა 10-15 პროცენტი თბილისში ყოველდღიურად რაიონებიდან ჩამოდის და, შესაძლოა, მათ ბაზრობაზე ჩამოსვლა გზების გადაკეტვის გამოც ვერ მოახერხეს.

სამართალდამცველები უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბაზრობაზე ნიღბიანი, შეიარაღებული ხალხი შეიჭრა და ხალხს მომწამვლელი გაზის გაშვებით დაემუქრა, თუ ისინი მიტინგზე წავიდოდნენ, რის შემდეგაც შეშინებულმა მოვაჭრეებმა დახლები აალაგეს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურის ინფორმაციით, (დინამოს" სტადიონთან არსებულ ბაზრობაზე ნიღბიანი და შეიარაღებული ხალხი არ შეჭრილა და მოქალაქეების მიმართ მუქარა არავის განუხორციელებია. ამ ინფორმაციას პროკურატურა მოვაჭრეების გამოკითხვის საფუძველზე აცხადებს. თვითმხილველთა თქმით, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე 20-მდე უნიღბო, უიარაღო უცნობი პიროვნება იმყოფებოდა, რომლებიც მოქალაქეებს მიტინგზე დასწრებისკენ მოუწოდებდნენ.




*ბაზრობიდან მიტინგზე.*

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორი ირაკლი წერეთელი აცხადებს, რომ აღნიშნულ ქმედებაში დანაშაულებრივი ნიშნები არ არსებობს და ბაზრობაზე განვითარებულ მოვლენებს ექსცესები არ გამოუწვევია. მისივე ინფორმაციით, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია უცნობმა პირებმა მალევე დატოვეს.

შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი არ ადასტურებს ინფორმაციას ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე ნიღბიანი პირების შეჭრის თაობაზე და აცხადებს, რომ ბაზრობაზე შევიდნენ დაუდგენელი პირები, რომლებიც კერძო მოვაჭრეებს პარლამენტის შენობასთან მისვლისა და მიტინგში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდნენ.

საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ვასილ მაღლაფერიძის ინფორმაციით, ვაკეში დადიან სამოქალაქო ფორმაში გადაცმული სპეცრაზმელები და მოსახლეობას აიძულებენ, აქციაზე მივიდნენ. მაღლაფერიძის თქმით, ამას ხელისუფლება აკეთებს, რათა ოპოზიციას ხალხის ქუჩაში იძულებით გამოყვანა დაბრალდეს.

*24 საათი*

# ზუგდიდის ინციდენტში მონაწილე დამნაშავეებს ვიდეომასალებით ეძებენ

ზუგდიდში 7 ნოემბერს "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერებში შეჭრილ შეიარაღებულ თავდამსხმელებს, რომლებმაც მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს და ორი ადამიანი დაჭრეს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა იმ ვიდეომასალის გამოყენებით ეძებს, რომელიც თითქმის ყველა ტელეკომპანიის არხით გავიდა. "ვიდეომასალაზე ნათლად და კარგად ჩანს იმ ადამიანთა სახეები, რომლებიც ხალხში შეიჭრნენ და უმისამართო სროლა ატეხეს. დარწმუნებულები ვართ, რომ ამ ადამიანთა მოძებნა არ გაგვიჭირდება. ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ იმ ვარაუდების გამოთქმისგან, თუ რომელი ბანაკის წევრები იყვნენ შეიარაღებული დამნაშავეები. რაც შეეხება პოლიციას, სამართალდამცველები იქ უიარაღოდ იყვნენ, რადგან მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე მათ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება არ ჰქონდათ", - აცხადებენ სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურაში. შეგახსენებთ, ორი დღის წინ სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურამ ზუგდიდის ცენტრში მომხდარ შეიარაღებული თავდასხმის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იარაღის გამოყენებით ხულიგნობის მუხლით აღძრა. ეს მუხლი შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**მედია-ნიუსი**

## აფეთქება ასპინძაში

გუშინ, დილით, ასპინძის რაიონის სოფელ გამაურში ძლიერი აფეთქება მოხდა. აფეთქდა სოფლის სამედიცინო პუნქტი. საბედნიეროდ, აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. გუშინ, მთელი დღის მანძილზე, შემთხვევის ადგილზე ექსპერტები მუშაობდნენ. მართალია, ექსპერტიზის საბოლოო დასკვნა ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა ის, რომ აფეთქება ხელნაკეთ მოწყობილობას არ გამოუწვევია და სამედიცინო პუნქტში დიდი რაოდენობის ტროტილი აფეთქდა, უკვე დადგენილია. დაუდგენელია, აფეთქების ორგანიზატორთა ვინაობა. არ არსებობენ ეჭვმიტანილები. ასპინძის მოსახლეობა მომხდარს ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს უკავშირებს და სამართალდამცველებს "ამფეთქებლების" სასწრაფოდ დადგენასა და დასჯას კატეგორიულად სთხოვს.

## კრიმინალები მხარს უჭერენ ხელისუფლებას

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დღეს თავის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კრწანისის მე-19 უბანზე, სადაც ხმა მისცა 1200-ზე მეტმა პატიმარმა და სასჯელაღსრულების სისტემის 400-მა თანამშრომელმა, სახელისუფლებო ბლოკმა 1112 ხმა, ანუ 66 პროცენტი მიიღო.

პატიმართა და მეციხოვნეთა ხმების 19 პროცენტი (314 ხმა) "აღორძინებას" ერგო, "ლეიბორისტებს" – 5 პროცენტი (87 ხმა), "ნაციონალებს" - 4,5 პროცენტი (78 ხმა), "ბურჯანაძე - დემოკრატებს" – 2 პროცენტი (38 ხმა), "ახალ მემარჯვენეებს" – 1 პროცენტი (16 ხმა), "მრეწველებს" - 0,8 პროცენტი (11 ხმა).

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის 1999 წლის არჩევნებში პატიმრების ხმების 90 პროცენტი სახელისუფლებო პარტიას ერგო.

## მოსკოვში ახალი წესები ამოქმედდება

მოსკოველი კანონმდებლები ახალი ინიციატივით გამოდიან. მალე მოსკოვის მეტროში, მაღაზიებში, კინოთეატრებში, ქუჩებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კოცნა აიკრძალება. რუსეთის მედიის ცნობით, ამის თაობაზე შესაბამის საკანონმდებლო აქტს მოსკოვის მერია ამზადებს. სავარაუდოდ, წესრიგის დამრღვევებს მილიცია დაიჭერს და დააჯარიმებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, წინასწარი პატიმრობის იზოლატორშიც მოათავსებს. შესაძლოა, დადგენილება ძალაში 2004 წლის 7 იანვრის შემდეგ შევიდეს.

დადგენილება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ერთმანეთის კოცნას არა მარტო შეყვარულებულებს, არამედ მეუღლეებსაც უკრძალავს. ასევე დაისჯება სპირტიანი სასმელის სმა, ლანძღვა-გინება და ფურთხება.

მეტროპოლიტენის დაცვის პოლიცია "ამორალური პიროვნებების" დასაჭერად უკვე ემზადება. "სტოლიჩნაია გაზეტას" კორესპონდენტს მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში განუცხადეს, რომ მერიის განკარგულებას, რომელიც წესრიგის დამცველებს "თავაშვებული ტიპების" დასჯის უფლებას აძლევს, დიდი ხანია ელოდებიან.

მოსკოვის განათლების კომიტეტში მერიის ამგვარი განკარგულება მოიწონეს. "ბავშვებს სკოლაში სექსუალური განათლების არავითარი გაკვეთილი არ სჭირდებათ. ისინი ამორალურ გაკვეთილებს ყოველ დღე იღებენ, როცა ხედავენ, ირგვლივ რა ხდება. მეტროში ესკალატორზეც კი ერთმანეთს ეხუტებიან. ამას რაღაც უნდა მოვუხერხოთ," - განაცხადა განათლების კომიტეტის აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ტატიანა მაქსიმოვამ.

## პუტინი მორიგ დაპატიმრებებს იწყებს

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, მსხვილ ბიზნესსა და პოლიტიკაში ფეხმოკიდებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას კრემლი ახალი შეტევით იწყებს. პუტინის თქმით, რუსეთში დაპატიმრების ახალი სერია დაიწყება. **"ჩვენი მიზანი არ არის კონკრეტული პირების წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენ ვიბრძვით ქვეყანაში წესრიგის დამყარებისთვის და ეს ბრძოლა ძალზე სასტიკი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესების მოწინააღმდეგეები ეცდებიან თავის დაცვას შანტაჟითა და სხვადასხვა მეთოდებით,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა და რუს სამართალდამცველებს ბრძოლის დაწყებისკენ მოუწოდა.

## მოსკოვში სოროსის ფონდის ოფისში შეიარაღებული ძალოვანები შევიდნენ

მოსკოვში მდებარე სოროსის ფონდის ოფისში შეიარაღებული პირები შეცვივდნენ და შენობა აიღეს. "შეიარაღებული პირები მოულოდნელად შემოცვივდნენ ოფისში, ვინაობა არ დაუსახელებიათ. ნაწილის გაყრა მოვახერხეთ, მაგრამ შეიარაღებულ პირთა ჯგუფი კვლავ შენობაშია და, როგორც ჩანს, ბრძანების მიღებამდე არც აპირებს ოფისის დატოვებას," - განაცხადა ფონდის პრესმდივანმა ირინა რაჩეევამ. თუმცა, ფონდის იურისტის პაველ კუზმინის ინფორმაციით, ოფისში შეჭრილი ხალხის ვინაობა მათთვის ცნობილია. "ეს ხალხი ჩვენთვის ნაცნობია, მათთან სასამართლო დავა გვაქვს ფონდის შენობის გამო," - განაცხადა კუზმინმა. მისივე ინფორმაციით, შენობაში იმყოფება 40 შეიარაღებული პირი; გარდა ამისა, მათ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიყვანეს სატვირთო მანქანები ფონდის კუთვნილი ნივთების გადასატვირთად.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ შეიარაღებული ხალხი ფონდის ოფისში კომპანია "სექტორ-1"-ის პრეზიდენტმა გააგზავნა. რადიოსადგურ "Эхо Москвы"-სთვის მიცემულ ინტერვიუში კომპანიის პრეზიდენტმა ანტემირ კარამზინმა განაცხადა, რომ შენობა, რომელშიც ამჟამად სოროსის ფონდი მდებარეობს, მისი კომპანიის საკუთრებაა. "შენობა ჩვენი კომპანიის საკუთრებაა, სოროსის ფონდს 2001 წლის აგვისტოდან იჯარის ფული საერთოდ არ გადაუხდია," - განაცხადა კარამზინმა. რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში ფონდის იურისტმა განაცხადა, რომ ფონდმა კარამზინს გადაუხადა იჯარის ფული - 100 ათას დოლარზე მეტი. სამოქალაქო დავა, რომელიც კარგა ხანია მიმდინარეობს, იმით დასრულდა, რომ მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლომ შენობის მეპატრონედ კომპანია "სექტორ-1" ცნო, ხოლო სოროსის ფონდს იჯარის დავალიანების გადახდა დააკისრა. ფონდის იურისტი აცხადებს, რომ ისინი იჯარის ფულს კარამზინის მიერ მიწოდებულ იურიდიულ მისამართზე, ერთ-ერთ ბანკში რიცხავენ და არა "სექტორ-1"-ის ბიუჯეტში.

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი „ლიდერი"
აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:
1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermediate-ს დონის ჩათვლით), დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-რეფერენტი (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:
- სასწავლო პროგრამები (Word, Excel),
- Windows,
- მულტიმედია,
- ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.

მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 32 97 83.
მისამართი: ნუცუბიძის 223.

























www.24hours.ge 24 B

ნოდარ ლადარია

დღეს გასული კვირის უბრალო მიმოხილვის დრო არაა, თუმცა ვერც გადაჭრით უარვყოფ ამ ჩემს უპირველეს მოვალეობას. დღეს მე ჩემი მკითხველის წინაშე უნდა წარვდგე ისეთი, როგორიც ვარ, ამიტომ ვთხოვ ჩემს კოლეგებს, ამჯერად მოხსნან ის მშვენიერი ნახატი,






რომელიც ოქტომბრის დასაწყისიდან ამშვენებს ორშაბათის პუბლიკაციებს. დღეს ხუმრობის დრო აღარაა...

დღეს ქართველი ხალხი თავის არჩევანს იცავს. ნურავის ჰგონია, რომ სიტყვაში "არჩევანი" მხოლოდ 2 ნოემბერს მიცემულ შემოხაზულ ნომერს ან გვარს ვგულისხმობ. არჩევანი ძალიან ფართო ცნებაა და ამავე დროს ძალიან ღრმაც. არჩევანი, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისეულ პოზიციას გულისხმობს. ცხოვრებისეული პოზიციის დაკავება ადამიანის ერთ-ერთი არსებითი უფლებაა... აჰა, ისევ ამ ორ უკვე მოყირჭებულ სიტყვას წავაწყდით — ადამიანის უფლებები. კეთილი, უკვე შევთანხმდით, რომ დაცული უნდა იყოს, მაგრამ ეს ორი სიტყვა ისე ხშირად ჟღერს, რომ არც გაგვიკვირდება, ვინმემ უბრალოდ ხელი აუქნიოს და სიტყვა ბანზე აგვიგდოს. ძალიან მკაცრადაც ვერ განვსჯით ამისათვის, ბოლოს და ბოლოს, განა ქართველები არა ვართ?! ამიტომ, ადამიანის უფლებების საკითხით ხალხი კიდევ ერთხელ რომ არ გავაღიზიანოთ და არ გავაცინოთ, ოდნავ მოულოდნელად დავსვათ საკითხი: **რატომ უნდა დაიცვას ხელისუფლებამ ჩვენი უფლებები?**

კონსტიტუციაში ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვიპოვით. განა მარტო ქართულ კონსტიტუციაში: პასუხი იმდენად ცხადია, რომ უკვე თავისთავად იგულისხმება და აღარსად წერენ. მაინც მოვძებნოთ. ამისათვის ერთი ძველი კონსტიტუცია მოვიძიოთ, შეიძლება ვთქვათ, ყველაზე ძველი, რომელიც 1215 წელს მისცა თავის ქვეშევრდომებს ინგლისის მეფემ, ჯონ უმიწაწყლომ, და რომელიც ცნობილია დიდი ქარტიის სახელით. ამ დოკუმენტში 63 მუხლია. დასმულ შეკითხვაზე პასუხი სამოცდამეერთე მუხლში მოიპოვება. აი, რას ვკითხულობთ აქ:

**61. მას შემდეგ, რაც ჩვენ, ღვთის გულისთვისა და ჩვენი სამეფოს გასაუმჯობესებლად და ჩვენსა და ჩვენს ბარონებს შორის წარმოშობილი განხეთქილების უკეთესი დამშვიდებისათვის, ვინებეთ ყოველივე ზემოთქმული, რათა ბარონები მყარად და ურყევად ფლობდნენ ყოველივეს სამარადისოდ, ვაყალიბებთ და ვუწყალობებთ მათ ქვემოთ დაწერილ გარანტიასაც, სახელდობრ: რომ ბარონებმა სურვილისამებრ აირჩიონ ოცდახუთი ბარონი მთელი სამეფოდან, რომლებმაც ყველანაირი ძალისხმევით უნდა დაიცვან და შეინარჩუნონ და სხვასაც აიძულონ ჩვენს მიერ ბოძებული და ამ ქარტიით დადასტურებული მშვიდობისა და თავისუფლებათა დაცვა და შენარჩუნება იმგვარად, რომ თუ ჩვენ, ან ჩვენი იუსტიციარი ან ჩვენი მოხელეები, ან რომელიმე ჩვენი მსახური რამეში ვინმეს წინააღმდეგ შესცოდავს ან მშვიდობის რომელიმე მუხლს ან გარანტიას დაარღვევს, ეს დარღვევა ეუწყება ზემოხსენებული ოცდახუთი ბარონიდან ოთხს, ეს ოთხი ბარონი კი ჩვენს წინაშე, ან, თუ ჩვენ სამეფოს საზღვრებს გარეთ ვიქნებით, ჩვენი იუსტიციარის წინაშე გამოცხადდება და მიგვითითებს დარღვევაზე და მოგვთხოვს დარღვევის დაუყონებლივ გამოსწორებას. და თუ ჩვენ არ გამოვასწორებთ დარღვევას, ან თუ ჩვენ სამეფოს საზღვრებს გარეთ ვიქნებით და ჩვენი იუსტიციარი მითითების დღიდან ორმოცი დღის განმავლობაში არ გამოასწორებს მას, მაშინ ხსენებულმა ოთხმა ბარონმა უნდა მოახსენოს ეს საქმე დანარჩენ ბარონებს ოცდახუთიდან და ამ ოცდახუთმა ბარონმა მთელი სამეფოს თემთან ერთად უნდა გვაიძულონ და შეგვავიწროვონ ჩვენ ყველანაირად, როგორც კი შეუძლიათ, ანუ ციხესიმაგრეთა, მიწათა, სამფლობელოთა დაპყრობითა და სხვა ნებისმიერი საშუალებით, სანამ დარღვევა გასწორებული არ იქნება მათი გადაწყვეტილების თანახმად.**

დიახ, დიახ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: "**ამ ოცდახუთმა ბარონმა მთელი სამეფოს თემთან ერთად უნდა გვაიძულონ და შეგვავიწროვონ ჩვენ ყველანაირად, როგორც კი შეუძლიათ, ანუ ციხესიმაგრეთა, მიწათა, სამფლობელოთა დაპყრობითა და სხვა ნებისმიერი საშუალებით, სანამ დარღვევა გასწორებული არ იქნება მათი გადაწყვეტილების თანახმად**". როგორც ვხედავთ, სამოქალაქო უფლებათა აღიარება დამყარებულია ძალიან მარტივ გარიგებაზე: **ან შენ დაიცავ ჩემს სამოქალაქო უფლებებს, ან მე შენ ჩამოგაგდებ**. ეს ძალიან ცხადი, თავისთავად ნაგულისხმევი გარემოებაა. ამრიგად, ქართველი საზოგადოება, რომელიც დღეს თავის არჩევანს იცავს, უზენაესი ადამიანური კანონიერების ფარგლებში მოქმედებს. და ამ მოქმედებაში მას არ შეუშლის ხელს არც ბანგივით ტკბილი "სტაბილიზაცია" და არც ნაღველივით მწარე "სისხლისღვრა".

ეს კი კვლავ განმარტებას მოითხოვს. რას იზამ, ჩემი მოვალეობაც ესაა.

რატომ არავინ გაგვიმარტა, რას ნიშნავს ეს "სტაბილიზაცია"? ალბათ რაღაც ბოროტი ღვთაებაა, კართაგენელთა მოლოქის თუ აცტეკთა უიცილოპოჩტლის მსგავსი — პირველი ახალშობილთა სხეულებით იკვებებოდა, მეორე კი მოზრდილი ადამიანების ჯერ კიდევ მფეთქავი გულებით. შევარდნაძის ყბადაღებული "სტაბილიზაციაც" წარმოუდგენელ მსხვერპლს მოითხოვს ჩვენგან: არ უნდა შევიმჩნიოთ, რომ წლიდან წლამდე ბიუჯეტი არ სრულდება (მთავარი ხომ სტაბილიზაციაა!), რომ პოლიცია უბრალოდ კრიმინალური სამყაროს ხილული ნაწილია (ის ხომ სტაბილიზაციის სამსახურში დგას!), რომ საინვესტიციო კლიმატი სულს უხუთავს ყველას, საგადასახადო პოლიტიკა კი საბოლოოდ ახრჩობს (სამაგიეროდ სტაბილიზაციას არაფერი ემუქრება!), რომ საქართველოს ენერგოსისტემა მთლიანად და უპირობოდ უცხო სახელმწიფოს ხელში ვარდება, ხელისუფლება კი მზადაა სხვა დანარჩენიც დათმოს ან სულაც გააფუშქაშოს (ოღონდ სტაბილიზაცია არ დაირღვეს!). ნეტა რა შინაარსს მოიცავს ეს მაგიური სიტყვა — "სტაბილიზაცია"? უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რაცაა მისი შინაარსი: ბუდისტებს ერთი ხელსაწყო აქვთ — საჩხარუნო თუ სათამაშო, რომელზედაც ლოცვის ტექსტი აწერია, მლოცველი კი გამუდმებით ატრიალებს ამ სათამაშოს და თითო შემობრუნება (რომელსაც დამახასიათებელი ჭრიალი თუ ჩხარუნი ახლავს) თითო წარმოთქმულ ლოცვად ეთვლება. აი, ასეთი ჩხარუნი მიდგება ყურში, როცა ხელისუფალთა პირიდან მესმის სიტყვა "სტაბილიზაცია".

ნეტავ რას ზეიმობენ ეს გაზულუქებული გვამები დიდგოროზე ან კრწანისის ომის წლისთავზე, თუ ასე ეშინიათ ოდნავი რისკისაც კი, თუ ასე ისვრიან შარვალში დსთ-ს სამიტებზე, თუ ორიდან ერთი პატრონის დაკარგვის ეშინიათ პანიკურად და აკანკალებული ხელით საქართველოს რუკაზე რაღაც აბსურდულ ჯვრებს ხატავენ, თუ ერთადერთი, რაც ულირთ, ეს იდუმალი "სტაბილიზაციაა", რომლის დამცველი ფრთის ქვეშ ქურდი სტაბილურად ქურდობს, ყაჩაღი სტაბილურად ყაჩაღობს, ხელისუფალი სტაბილურად მდიდრდება, შენ კი სტაბილურად გაფურთხებენ სულში და სტაბილურად გიფათურებენ ხელებს ჯიბეში, ჩემო ერთგულო მკითხველო! ამგვარ სტაბილიზაციაში ცხოვრება ჩემთვის დამდგარ, დამყაყებულ, ქვეწარმავლებითა და წურბელებით სავსე გუბეში ცხოვრების ტოლფასია, სწორედ ისეთში, საიდანაც თავის დროზე ილიამ ამოათრია თავისი ლუარსაბ თათქარიძე. ჩვენც ხომ სხვას არაფერს ვაკეთებთ, თუ არა მათ ამოთრევას ვცდილობთ, ვინც ჩვენი საზოგადოებრივი და სამოქალაქო ცხოვრების ანკარა წყარო ჩახერგა და დამპალ გუბედ აქცია!

ახლა კი სისხლისღვრასაც მივხედოთ. შევარდნაძეს სხვა საფრთხობელებიც აქვს. როცა მაინცდამაინც არაფერი უჭირდა, სულ აჭარის დაკარგვით გვაშინებდა. ნეტა სად უნდა დაიკარგოს აჭარა? ეს მე კი არა, ბათუმში დაბადებულსა და გაზრდილ ლევან ბერძენიშვილსაც ვერ გაუგია, მას კი თუნდ მაღალი ინტელექტის, თუნდ მდაბიური გამჭრიახობის ნაკლებობაში ვერავინ დაადანაშაულებს (შს მინისტრის გარდა). აი, რას გვეუბნება ბ-ნი ლევანი 5 ნოემბრის ნომერში: "**დაუშვებელია აბაშიძის მუქარა: "გამაყალბებინეთ არჩევნები, თორემ საქართველოს გამოვეყოფი..." მაინტერესებს, სხვა რა არის სამშობლოს ღალატი?! სად უნდა წაიღოს, რა უნდა გამოყოს? აჭარა მაგისია?! რუსეთის მოსაზღვრე მაინც იყოს, გეოგრაფია მაინც იცოდეს... აჭარას ვინ გაატანს?**". ამ ისტერიულ ფეხის ბაკუნს დღეს კიდევ ერთი დაემატა: სისხლი დაიღვრება! ამას წამდაუწუმ იმეორებენ მედიაში და ჯიუტად არიდებენ თავს ზმნის მოქმედებით გვარს: სისხლი დაიღვრება. რას ნიშნავს ეს "დაიღვრება"? სისხლი თავისით ან უმიზეზოდ არ იღვრება, ამას ყოველთვის ჰყავს ავტორი, მოქმედი პირი, ბრძანების გამცემი და მისი აღმსრულებელი. მე ასეთ ბრძანებას ვერც გავცემ და ვერც მივიღებ ვერავისგან. იმავეს თქმა შეუძლია ყველას, ვინც თავისი არჩევანის დასაცავადაა გამოსული.

მაინც წაღმა-უკუღმა ატრიალებენ ამ სიტყვას — სისხლისღვრა — თითქოსდა უხსენებლის ხსენებით უნდათ მისი გამოხმობა. გორში ვილაცას შუშის ნამსხვრევები ხვდება და ახტაჯანა ტელეჟურნალისტი მზიანი ღამის ეთერიდან ზარნაშოსავით გაჰკივის: "პირველი სისხლი უკვე დაიღვარა!". სამაგიეროდ, ზუგდიდში გადაცმული პოლიციელები ცეცხლს უხსნიან ქალებს, მაგრამ ამის შემჩნევაც კი ეზარებათ, არა თუ შეფასება...

ამაზე გამოხმაურებას ისევ ლევან ბერძენიშვილთან ვპოულობთ: "**არ ვეთანხმები აზრს, რომ სოციოლოგები და მედია ორად გაიყო. სინამდვილეში, ერთი კვლევა და მედია ნამდვილია და მეორე — არა. ეს გაორებას არ ნიშნავს. რეალური გაორებაა, როდესაც ორი გზა ან ორი მეთოდი მაინც არსებობს**". დიახ, ერთნი მოვლენებს გვაჩვენებენ, ესე იგი, საკუთარ მოვალეობას ასრულებენ; მეორენი კი ეშმაკეული შელოცვის სიტყვებს იმეორებენ, ბოროტ სულებს იხმობენ ჩვენს თავზე, ესე იგი, სპირიტისტთა თუ მუცლითმეზღაპრეთა ამქრად ქცეული ხელისუფლების დავალებას ასრულებენ.

თუმცა კი ჭეშმარიტება გაცილებით უფრო მარტივია და ყველასათვის სასურველი. აქედან გამომდინარე, ნამდვილი მედიისა და ნამდვილი სოციოლოგების შესახებ კი ეს შემიძლია ვთქვა: დღეს საღამოს სოციოლოგმა, ემზარ ჯგერენაიამ მითხრა: "*მარტო პირველი არხი რომ არსებობდეს საქართველოში, ეს ჩვენი საბრალო მთავრობა ალბათ ვერასოდეს გაიგებდა სიმართლეს; დარწმუნებული ვარ, ისინიც "რუსთავი-2"-ს მიშტერებიან*".

სინამდვილე კი, აი, ეს არის: ჩვენ არანაირ სისხლისღვრაზე არ ვფიქრობთ — ჩვენ მხოლოდ ჩვენი არსებითი უფლების განხორციელებას ვცდილობთ და "ყველანაირად, როგორც კი შეგვიძლია, ვაიძულოთ და შევავიწროვოთ" ის, ვინც ჩვენს წინაშე თავისი ვალი არ შეასრულა და დანაპირები "სტაბილიზაცია" ქვათა შეკრების ხანად გვიქცია. ქვათა შეკრებას კი, როგორც ეკლესიასტე გვასწავლის, ისევე აქვს ბოლო, როგორც ყველაფერს. რითი იცვლება ის, ამასაც ეკლესიასტე გვასწავლის და, ვისაც ამის გაგება სურს, მასთან მოიკითხოს. მე კი არ მცალია, ჩემო მკითხველო, მე აქციაზე მივდივარ და, თუ გაგვიმართლებს, იქ შევხვდებით ერთმანეთს მე და შენ.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



# პოზიციები

## ტრადიციული ალტერნატივა მაჩაბელზე



თავისუფლება ყველას უნდა

ვერა ნეფარიძე

ბოლო დროს პოლიტიკოსებმა ზედმეტად შეგვაჩვიეს პოზიციების ცვლას. თუმცა, ცალკეული პოლიტ-ლიდერების რა უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც უცნობია მთლიანად ქვეყნის სახელმწიფო კურსი, რომელიც წლების განმავლობაში ვითომ დასავლეთის მიმართულებით ვითარდებოდა, უკანასკნელ პერიოდში კი გეზი აშკარად იცვალა; ამაზე მეტყველებს თუნდაც ბოლო პერიოდში პრორუსული პოლიტ-ფიგურების მომძლავრება (მათ საქციელს სხვა სიტყვა უფრო შეეფერება, მაგრამ გაზეთია, რას ვიზამთ); ყველაფერი კი უკვე ცხადი გახდა გუშინ, როდესაც კრიტიკულ მომენტში, ქვეყნის პრეზიდენტს ჩრდილოელი მეზობლის პირველ და ოფიციალურ პირებთან სატელეფონო და პირადი საუბრები ჰქონდა.

პოზიციებს იცვლიან ე.წ. "ოპოზიციონერებიც" და აქამდე არსებულ "ურყევ" სახელისუფლებო ოპოზიციას თავად ხელისუფალნი უკვე ორად ყოფენ: რადიკალებად და ჩვეულებრივ ოპოზიციონრებად; პოზიციებს იცვლიან პერიოდული გამოცემები, მსხვილი ტელეკომპანიები, წვრილი თუ მსხვილი ბიზნესმენები. რასაკვირველია, არიან ისეთებიც, ვინც საკუთარ საქმეს და პრინციპებს არ ღალატობენ. ძირითადად კი, ესაა ხალხი, რომლისთვისაც შეუცვლელია ერთადერთი პირობა – იცხოვროს ადამიანურად; ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მოთხოვნის დასაცავად გამოვიდა ხალხის დიდი ნაწილი ქუჩებში; და არიან ცალკეული ადამიანებიც, თუნდაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილები, რომლებიც ყოველთვის ერთიდაიგივე საქმესთან თუ პოზიციებთან ასოცირდებიან. მაგალითად, ლადო ბურდული, რომელმაც კიდევ ერთხელ გაამართლა მოსაზრება, რომ საქართველოში ალტერნატიული მუსიკის მშობელია. აბა, სხვას ვის მოუვიდოდა თავში გუშინწინ, როდესაც ყველა, ვინც რუსთაველზე იყო და ვინც ქალაქის ცენტრში გამართულ მოვლენებს ტელეეკრანებიდან ადევნებდა თვალს, დაძაბული ელოდა ყოველ წუთს, სახლში წვეულება მოეწყო; კიდევ ერთხელ დაერწმუნებინა გარშემომყოფები, რომ ყველაფრის მიუხედავად, მისთვისაც უცვლელია გარკვეული ღირებულებები.

შაბათს ლადო ბაქოდან დაბრუნდა (აზერბაიჯანულ გასტროლებზე როგორც შეგვპირდა, მოგვიანებით დაგველაპარაკება) და პირველი, რაც არსებულმა სიტუაციამ გადააწყვეტინა, ეს იყო აღედგინა სალონური საღამოები საკუთარ სახლში, მაჩაბელზე. იმ მდგომარეობის მიუხედავად, რაც მშობლიურ ქალაქში დაუხვდა; იმის მიუხედავად, რომ მეზობლად (ლეონიძის ყოფილი კიროვის ქუჩაზე) კბილებამდე შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი სამხედროფორმიანები იდგნენ და კანცელარიასთან მისასვლელებს დარაჯობდნენ. და კიდევ, იმის მიუხედავად, რომ იმდენი ადამიანი ამ საღამოს ვერ დაესწრებოდა. თუმცა, იდეალისტები ხომ შედეგებზე ნაკლებად ფიქრობენ. ამჯერად, აღდგენილ სალონს ლადო ბურდულმა არაჩვეულებრივი მიზეზი მოუძებნა – საკუთარი ძმის, ბაკურის ჯერ არგამოსული ალბომის პრეზენტაცია.

საღამოს ბურდულებთან ზუსტად იმდენი ადამიანი შეიკრიბა, რამდენიც საკმარისი აღმოჩნდა უმცროსი ბურდულის პირველი ალბომის (რომლის სახელწოდებაა "თითქოს") წარსადგენად. ანუ, თავად ბურდულები (ლადოს შვილის ჩათვლით), ბაკურის მეგობრები, რომლებიც ალბომში შესული და სხვა სიმღერების შესრულებაში დაეხმარნენ მუსიკოსს: ანი კაჭკაჭიშვილი და გიორგი მარი და რამდენიმე ახლობელი. მათ შორის, ისინი, ვინც ჩემსავით მცირე ხნით შეუერთდა იმ საღამოს ბურდულებს. თვითონ ჩანაწერი (რომლის შესახებაც დაწვრილებით წერდა "24 საათი") მოგვიანებით გამოვა. ანუ მაშინ, როდესაც მასში შესულ ერთ-ერთ სიმღერაზე ("ფეთქავს") კლიპის გადაღება (ბაკური ამ კლიპის რეჟისორიც იქნება) დასრულდება.

# ჩვენი არჩევანი

## შეუწყობს თუ არა ხელს პრეზიდენტის გადადგომა საქართველოს აღორძინებას?



ირაკლი ჩარკვიანი



დათო ტურაშვილი



ლაშა ბუღაძე



თენგიზ მირზაშვილი

**ავთანდილ ვარსიმაშვილი**

რა თქმა უნდა, ოღონდ წავიდეს და ისე ავღორძინდებით, რომ... უნდა მოვიდეს ახალი ძალები, ახალი თაობა, რომელიც მოიტანს ახალ იდეებს, ახალ აზრებს, ბიზნესს... მე ღრმად მჯერა, რომ ეს ცვლილება ჩვენს ქვეყანას სიკეთეს მოუტანს.

**თენგიზ მირზაშვილი**

რასაკვირველია, ამას რა კითხვა უნდა? ამის დრო კარგა ხნის წინ დადგა, ჩემი აზრით, დაგვიანდა კიდეც. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მჟღავნდება, რომ ეს სრულიად უმოქმედო და დამღუპველი პოლიტიკაა. ამდენად, რასაკვირველია, თუკი რაიმე ძვრა იქნება, ეს მხოლოდ უკეთესობისაკენ წაგვიყვანს. ამაზე უარესი არაფერი შეიძლება იყოს.

**გიორგი შენგელაია**

რასაკვირველია, მე პირადად, როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი, რამდენჯერმე მოვითხოვე ამ ორი წლის განმავლობაში შევარდნაძის გადადგომა. ახლა, რომ ითხოვს ხალხი მის გადადგომას გაყალბებასთან დაკავშირებით - ჯერ იყო მისი პოლიტიკა პანკისში, შემდეგ იყო მისი პოლიტიკა, ასე ვთქვათ, კორუფციასთან დაკავშირებით და ათასი მსგავსი მიზეზები, რომლებიც, ყველა შემთხვევაში იმ ზღვრამდე იყო მისული, რომ ითხოვდნენ მის გადადგომას. ახლა, რომ მისი გადადგომა უკვე ბუნებრივი მოთხოვნა გახდა, ამას აბსოლუტურად ვეთანხმები, რაც თავისთავად საქართველოს აღორძინებას შეუწყობს ხელს. უნდა მოვიდეს ახალგაზრდა, კვალიფიცირებული ხალხი, რომელიც არასოდეს კორუფციაში არ გაერევა. რომელიც იცხოვრებს ჯამაგირზე, იქნება ხალხის მოსამსახურე, ამ შემთხვევაში გვეშველება. შევარდნაძე და ის ადამიანები, რომლებიც მას ახვევია, ყველანი უნდა წავიდნენ.

**რეზო ესაძე**

მარტო პრეზიდენტის გადადგომა არ გადაწყვეტს საქმეს. პრეზიდენტის ადგილას ვინ მოვა და როგორ მოვა და ქვეყნის მართვის რა პროექტი ექნება მას, ეს გადაწყვეტს რა იქნება.

**გიორგი მირზაშვილი**

დიახ, ცალსახად კი.

**ვახო ბაბუნაშვილი**

საქართველოს წინსვლას და აღორძინებას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელს შეუწყობს ცვლილება და პრეზიდენტის გადადგომა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ცვლილება იქნება ჩვენი აწმყოსთვის და მომავლისთვის. ჩემი აზრით, ეს ძალიან დადებითი ნაბიჯი იქნება იმიტომ, რომ ვხედავთ ბოლო წლების განმავლობაში, ამ მმართველობამ სადამდე მიგვიყვანა. ძალიან ძნელია თბილისიდან ამაზე მსჯელობა, როდესაც გადიხარ რეგიონებში, ჩვენ სწორედ ახლახან გვქონდა ამის საშუალება, რეგიონებში რამდენიმე კონცერტი გავმართეთ, წარმოუდგენელად მძიმე სიტუაციაა ჩვენს ირგვლივ. ამდენად, რა თქმა უნდა, თავისთავად, ცვლილება მოხდება, თუმცა პირადად მე ვეჭვობ, რომ პრეზიდენტმა ეს გააკეთოს. ალბათ, მის ცხოვრებაში ყველაზე რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, გამოუვალ მდგომარეობაშია, რადგანაც აქ არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ მთელი საზოგადოების პრობლემა დგას.

**აჩიკო გულედანი**

აღორძინების არ ვიცი, მაგრამ უკეთესი რომ იქნება, ეს ვიცი. იმიტომ, რომ ყველაფერი ცუდის სათავეს, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ამ ადამიანთან მივყავართ. რა დაგვიშავდება მისი წასვლით, ვერ ვხვდები. იმაზე უარესი რა უნდა მოხდეს, ქუჩაში ისვრიან მისი ხელქვეითები, მეტი დესტაბილიზაცია რა უნდა იყოს, როცა მშვიდობიან მოსახლეობას ესვრიან, ან ერთ კაცს, რომ ათმა კაცმა უმოწყალოდ ურტყა, ეს თურმე არაფერია, უბრალოდ, დათვრნენ და იჩხუბეს, ან თუნდაც, მისცე უფლება ვიღაცამ შექმნას ჯარი ავტონომიურ რესპუბლიკაში, მეტი კონსტიტუციის დარღვევა, სახეში შეფურთხება და თვალის ახვევა არ არსებობს. მისი წასვლით თუ ამაზე უფრო უარესი რამ დაგვემართება, რაღაც არ მგონია, ეს, უბრალოდ, ლოგიკას არ ექვემდებარება.

**ლაშა ბუღაძე**

ასე მკვეთრად პასუხის გაცემა ძალიან რთულია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური თვალსაზრისით, ცვლილებები რომ იქნება, ამის შესახებ ორი აზრი არ უნდა იყოს იმიტომ, რომ ჩვენში არსებული რეჟიმის გამო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აშკარად უკმაყოფილოა, იმით, რომ ხედავს მხოლოდ ნეგატიურს, სამწუხაროდ. ამ შემთხვევაში, რამდენად შეუწყობს ხელს ეს აღორძინებას და შემდეგ ეტაპზე შევარდნაძის მომდევნო პრეზიდენტი დატოვებს თუ არა აღორძინებულ საქართველოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სვლა დაიწყება. ყოველ შემთხვევაში, ხალხს აქვს ცვლილებების უფლება, სახელმწიფო პოლიტიკა სწორედ ამ ცვლილებების შედეგია და ხალხს აქვს შეცდომების დაშვების უფლება. მთავარია, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. თუმცა, ეს არ არის შეცდომა, ეს არის სწორი პათოსი.

**ელდარ შენგელაია**

რა თქმა უნდა, თუ პრეზიდენტი გმირობას ჩაიდენს და გადადგება, ეს აუცილებლად ხელს შეუწყობს სახელმწიფოს წინსვლას. ოღონდ, გადადგომა - მისივე ნებით. პირადად მე ვთვლი, რომ მისი ჩამოგდება, თუ სხვა ძალდატანებით მისი წასვლა, არ იქნება სწორი. არა იმიტომ, რომ მე დიდად პატივს ვცემ მას, იმის მომხრე ვარ, რომ 4 წლიანი საპრეზიდენტო მმართველობა შემოვიღოთ, ან კიდევ უკეთესი რამე გავაკეთოთ და ნახევრად საპარლამენტო და საპრეზიდენტო, როგორც, მაგალითად, პოლონეთში არსებობს და ამით ავიცილოთ საშიშროება იმისა, რომ ერთი კაცის ძალაუფლების ქვეშ აღმოვჩნდეთ.

**ირაკლი ჩარკვიანი**

გადადგომა არ ვიცი, მაგრამ ის, რომ ხელისუფლებამ უნდა დათმოს ბოლომდე ამ სიტუაციაში, ეს არის აუცილებელი, რადგან სხვანაირად ჩვენ ვერ გამოვალთ ამ ჩიხიდან, რომელშიც მოვხვდით. როგორი ფორმით იქნება ეს დათმობები მე არ ვიცი, ეს უკვე პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ აუცილებელია რადიკალური ცვლილებები, რომ გამოჩნდეს გზა. ახლა, უბრალოდ, ჩიხში ვართ.

**დათო ტურაშვილი**

საქართველოს აღორძინებას ბევრი შრომა უნდა, მაგრამ ხალხის დამშვიდებას ნამდვილად შეუწყობს ხელს. მერე ამ ხალხმა უნდა იშრომოს, აბა თავისით კი არ აღორძინდება, ეს მხოლოდ მულტფილმებსა და ზღაპრებში ხდება.



გიორგი მირზაშვილი



რეზო ესაძე



აჩიკო გულედანი



ინტელიგენცია კინოს სახლში



გიორგი შენგელაია



ვახო ბაბუნაშვილი

# როკ-ენ-როლი იუბილეს სამზადისშია



როკ-ენ-როლის დაბადება

როგორც ცნობილია, როკ-ენ-როლის ოფიციალურ დაბადებად მიჩნეულია 1954 წლის 5 ივლისი, დღე, როდესაც ელვის პრესლიმ ჩაწერა სიმღერის That's All Right-ის საკუთარი ვერსია. ასე რომ, ახლოვდება მნიშვნელოვანი იუბილე, როკ-ენ-როლის 50 წლისთავი. ამ თარიღს მთელს მსოფლიოში სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების სერიით აღნიშნავენ. უკვე განსაზღვრულია "მუსიკალური ელჩების" ჯგუფი, რომელთაც მსმენელამდე უნდა მიიტანონ ეს ინფორმაცია. ამ მუსიკოსების სიაში შეყვანილნი არიან: ჯასტინ ტიმბერლეიკი, ლეგენდარული ბლუზმენი ბიბი კინგი, გიტარისტი ისააკ ჰეისი, ასევე სკოტი მური. "მიხარია, რომ მერგო ბედნიერება, მონაწილეობა მიმეღო პრესლის 1954 წელს გაკეთებულ ჩანაწერში და ორმაგდება ჩემი განწყობა, რომ მონაწილეობას ვიღებ ასეთ მნიშვნელოვან იუბილეშიც", - თქვა მუსიკოსმა სკოტი მურმა.

საიუბილეო ღონისძიებათა რიცხვშია საახალწლო კონცერტი Countdown on Beale, რომელიც პრესლის დაბადების დღეს მიეძღვნება, ასევე "პრესლის კვირეული" (7-16 აგვისტო). 5 ივლისს კი That's All Right-ს აშშ-ს რამდენიმე რადიოსადგური ერთდროულად გადასცემს. ღონისძიებების საინფორმაციო მხარდასაჭერად შეიქმნება საგანგებო ვებ-საიტი.

# რატომ არ ბერდება "ტრავიატა"

## ოპერის თეატრში ელენა ბრილიოვას გასტროლები დასრულდა

მადი სერებრიაკოვა



ელენა ბრილიოვა

წელს ვერდის "ტრავიატას" მსოფლიო პრემიერიდან 150 წელი შესრულდა. მაშინ, 150 წლის წინათ ვენეციის "ლა ფენიჩეს" თეატრში სპექტაკლი, ფაქტობრივად, ჩავარდა. "რიგოლეტოსა" და "ტრუბადურის" შემდეგ, რომლებიც, უშუალოდ, უსწრებდა "ტრავიატას", პუბლიკას ეხამუშა "ტრავიატას" ახალი ტიპის დრამატურგია, გმირებიც, რომლებიც ბედისწერის მსხვერპლნი თუ სათამაშოები კი არა, მათივე თანამედროვე ხორცშესხმული ადამიანები არიან. ის, რაც, თავის დროზე, ვერდის ოპერის ნოვატორულობას განაპირობებდა, ბუნებრივია, 150 წლის შემდეგ სულ სხვა სარჩულს შეიძენს. ერთი შეხედვით, დღეს ვიოლეტა, ალფრედი თუ ჟერმონი თანამედროვე, ავკარგიანი ადამიანები კი არა, კარგა ხნის გადამღერებული, ყველა შესაძლო კონტექსტში ჩასმული გმირები არიან. თუმცა, დღევანდელი პოლიტიკური ბატალიების ფონზე, ოპერის თეატრში მისასვლელად მოცლილი მსმენელი საპირისპიროს ადასტურებს. ელენა ბრილიოვას გასტროლები, რომელიც თბილისში ძალზედ არახელსაყრელ დაძაბულობას დაემთხვა, სწორედ ვერდის "ტრავიატათი" დასრულდა.

რუსმა სოპრანო ელენა ბრილიოვამ, მიუხედავად საკმაოდ ახალგაზრდული ასაკისა, მსოფლიო საოპერო სცენაზე უკვე დაიმკვიდრა ადგილი. 1991 წელს მისი დებიუტი ვენის სახელმწიფო ოპერაში შედგა, რამდენიმე წლის შემდეგ იგი ლა სკალას სცენაზეც გამოჩნდა. ამჟამად ბრილიოვა დიუსელდორფის თეატრის სოლისტია, პარალელურად სპექტაკლებით გამოდის მსოფლიოს სხვა საოპერო სცენებზე. თბილისში ჩამოსვლამდე, ბრილიოვა მოსკოვის დიდ თეატრში მღეროდა. თბილისური გასტროლისთვის დრო საკმაოდ ცოტა იყო. სპექტაკლები (ორი დღის წინათ მან ქართველ სოლისტებთან ერთად "რიგოლეტოც" შეასრულა), ფაქტობრივად, თითო რეპეტიციაში მომზადდა. მართალია, როგორც ჯილდას, ისე ვიოლეტას პარტია მომღერლის რეპერტუარში დიდი ხანია დამკვიდრებულია, მაგრამ საოპერო ცხოვრებაში ოდნავ მაინც ჩახედულ ადამიანს, კარგად მოეხსენება ის სიძნელეები, რაც მომღერალს ახალ დირიჟორთან, პარტნიორებთან, ორკესტრთან შეხვედრისას ხვდება ხოლმე.

აღსანიშნავია, რომ ბრილიოვა თბილისში რამდენიმე წლის წინათ იყო ჩამოსული. წარსული გამოცდილება მომღერალს სითამამეს ჰმატებდა: **"თბილისში ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვალ, პარტნიორები, კოლეგები, ყველა იმდენად მხარში მიდგას, რომ ყოველგვარი სიძნელე გავიწყდება.."** ამჯერად ბრილიოვას პარტნიორები გია გაბელაია და ბესიკ გაბიტაშვილი, მარიცა მაღლაფერიძე, ლეილა გოცირიძე და თეატრის სხვა სოლისტები გახლდნენ. სპექტაკლს რევაზ ტაკიძე დირიჟორობდა.

ვნებებითა და ემოციებით სავსე "რიგოლეტოს" შემდეგ, "ტრავიატას" წარმოდგენილი ინტერპრეტაცია საკმაოდ მშვიდი და გამოზომილი გამოდგა. საერთო კონტექსტიდან მხოლოდ ალფრედის (გია გაბელაია) მოჭარბებული არტისტიზმი გამოირჩეოდა. თუმცა, ეს, გარკვეულწილად, ახალისებდა ბრილიოვას ძალზედ კამერულ ვიოლეტას. მიუხედავად რეპეტიციების და ერთობლივი მუშაობისათვის არასაკმარისი დროისა, სოლისტებმა ძალზედ კარგი ანსამბლი შექმნეს. თეატრში არსებული პრობლემების ფონზე (ორკესტრის შემადგენლობამ ბოლო დროს საკმაოდ სერიოზული ცვლილებები განიცადა) კარგად ჟღერდა ორკესტრიც. მოწონება დაიმსახურა მაესტრო ტაკიძის გამოსვლამ, მსმენელმა დირიჟორი სპექტაკლის ბოლოს სცენაზეც გამოიხმო, რაც ოპერაში არცთუ ხშირად ხდება. საბოლოო ჯამში, ის რომ არსებულ პოლიტიკურ ფონზე, ოპერაში, მით უმეტეს, არარევოლუციურ, ტრადიციულ სპექტაკლზე მსმენელი მოიზიდო – უკვე დიდი მიღწევაა.

გუშინდელი სპექტაკლით თბილისში ელენა ბრილიოვას გასტროლები დასრულდა. წარმატებულ "რიგოლეტოსა" და "ტრავიატას" მალე თბილისის სცენაზე კიდევ ერთი კარგად ნაცნობი წარმოდგენა მოჰყვება. იტალიის საელჩოს მხარდაჭერით "ტოსკას" კვლავ გასტროლიორი სოლისტები შეასრულებენ.

# მამაცი გულები კაბებში

## მასკულინიზაცია

თამარ ბაბუაძე

### ორიოდე სიტყვა ჩოხის შესახებ

თუ მიმდინარე მოვლენებისგან საშინლად გადატვირთულ მეხსიერებას მაინც დაძაბავთ, აუცილებლად გაიხსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ დათო ტურაშვილი, გიო მგელაძე და რატი ამაღლობელი ერთ-ერთ საზოგადოებრივ თავყრილობაზე ჩოხებში გამოწყობილნი გამოჩნდნენ. ცხადია, ეს აქცია ეროვნული ტრადიციების აღდგენისა და მათი პოპკულტურაში დამკვიდრების სურვილით იყო ნაკარნახევი. თუმცა, ამ ამბის შემდეგ გავიდა ხანი და ჩვენი საზრუნავიც გაიზარდა. მხოლოდ ტანსაცმლით აზრის გამოხატვა საკმარისი არ აღმოჩნდა. და საზოგადოებრივ ასპარეზზე უდროოდ გამოჩენილი ჩოხაც ისევ სათუთად დაიკეცა, შემოიდო თაროებზე და დაიმტვერა.

სწორედ ამ მომეტებული საზრუნავის გამო, ეროვნული პოზიციის მხოლოდ ჩოხით დაფიქსირება დროული არც დღეს გახლავთ.

მწვავე რეალობის წყალობით, ეროვნული სამოსის დასაცავად სიმბოლისტური აქციების მოწყობისთვის ჩვენ არ გვცხელა და ცხადია, ის არც საზღვარგარეთ ახსენდებათ; კერძოდ კი ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში, სადაც, დალაგებული სახელმწიფო რომ გვქონდეს, დანარჩენ ექსპონატებთან ერთად, ჩოხაც აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო. იქ, 4 ნოემბრიდან 8 თებერვლის ჩათვლით, დიზაინერ ჟან პოლ გოტიეს სპონსორობით მიმდინარეობს გამოფენა "მამაცი გულები: მამაკაცები კაბებში".

ექსპოზიციაზე 120 მანეკენი წარმოადგენს: ინდონეზიელ მამაკაცთა წელზე შემოსახვევ სარონგს, მასაის ტომის მებრძოლთა მოსასხამს, პოლინეზიელთა ქვედაბოლოს, ბერძენთა ტოგას, მაროკოელთა კაფტანსა და შოტლანდიელთა კილტს...

საუკუნეების წინ თითოეულ ამ კაბას, უბრალოდ, ეროვნული ტანსაცმელი ერქვა. მაგრამ, დროთა განმავლობაში განხორციელებულმა მოდის რევოლუციამ მათ ვიწრო ეროვნული საზღვრები გაარღვევინა და მსოფლიო პოპკულტურაშიც დაამკვიდრა. ეს არ ეღირსა მხოლოდ ჩოხას...

თუმცა, რადგან დღეს ნიუ იორკულ ექსპოზიციაზე ვსაუბრობთ, მგონი, დაჩაგრულ ჩოხაზე მოთქმა მიზანშეწონილი არ იქნება (მით უფრო, რომ დღეს ჩვენს გასაჭირს მხოლოდ ჩოხაში გამოწყობა ნამდვილად არ უშველის). მოდით, ვიხმაროთ ხერხი, წარმოვიდგინოთ, რომ ნიუ იორკში ჩვენი "ახლობლები" შოტლანდიელები არიან თავიანთი კილტით (მით უფრო, რომ ბედითა და ხასიათით ერთმანეთს მეტ-ნაკლებად ვგავართ კიდეც) და ვნახოთ, რა მიზეზებით მიუძღვნეს კაბიან მამაკაცებს გრანდიოზული ექსპოზიცია მეტროპოლიტენ მუზეუმში.

### იქ, მანჰეტენზე

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიუ იორკში ყურადღების ცენტრში სწორედ შოტლანდიური კილტი დგას. გამოფენის კურატორის ენდრიუ ბოლტონის ცნობით, ეს სამოსი წინათ ნაციონალური აჯანყების სიმბოლო იყო. 1747 წელს იაკობიტების აჯანყების შემდეგ საქმე იქამდეც მივიდა, რომ შოტლანდიელებს ნებისმიერი სახის კილტის ტარება აუკრძალეს...

ცხადია, ნიუ იორკში კილტი ამ ნაციონალური რევოლუციის ფუნქციით არ ჩაუტანიათ. იქ წარმოდგენილ შოტლანდიურ სამოსს რევოლუციური, ერთადერთი, მოდის თვალსაზრისით თუ შეიძლება ეწოდოს. ამ "ჯანყის" ავტორი კი გახლავთ ჟან პოლ გოტიე, რომელმაც პირველი კაბა მამაკაცებისთვის, კილტის ინტერპრეტაციით, 1984 წელს შეკერა.

გოტიეს ქმნილებებს გვერდს უმშვენებს მასაის მებრძოლის შთაგონებით შექმნილი ჯორჯო არმანის მოდელი (1999 წ.), დონა კარანის შალითა და ყვავილებით გაწყობილი სარონგი (1994 წ.), ასევე ვივიენ ვესტვუდის, პოლ სმიტის, "დოლჩე & გაბანას", ალექსანდერ მაქკუინისა და ჯონ გალიანოს კაბები.

გამოფენაზე ხშირად იხსენებენ 70-90-იანი წლების ვარსკვლავებს – აქსელ როუზსა და სხვა პანკ-მომღერლებს; დევიდ ბოუის, რომელიც მაქკუინის მიერ დიდი ბრიტანეთის დროშისგან შეკერილი ლაბადითა და კაბით გამოდიოდა სცენაზე; კურტ კობეინს, რომელიც თავისი მეუღლის კორტნი ლავის კაბით მღეროდა. ცხადია, არც 60-იანი წლების ჰიპების მოძრაობა და სქესის ნიშნის გარეშე შეკერილი სამოსი ავიწყდებათ.

კაბიანი კაცების თემა ექსპოზიციის გახსნისთვის მოწყობილ კოქტეილ-საღამოზეც გაგრძელდა. მამაკაცებს საკუთარი გემოვნებით შერჩეული ქვედაბოლოები ეცვათ. მათგან ყველაზე ქალური ბოი ჯორჯი იყო (და გასაგებია, რატომაც). თუმცა, ძალზე ვაჟკაცურები ჩანდნენ: კოსტუმსა და გრძელ ქვედაბოლოში გამოწყობილი მსახიობი ალან კუმინგი, შავ კოსტუმსა და შავ მუხლამდე კაბაში – ჟან პოლ გოტიე და გალერეის კურატორი ენდრიუ ბოლტონი, რომელსაც გოტიეს მიერ შეკერილი ფერადი კილტი ეცვა.

### რატომ კაბა?

ასე რომ, მეტროპოლიტენ მუზეუმში შეკრებილი 120 მანეკენი გვახსენებს თითქმის ყველა იმ შემთხვევას, როდესაც მამაცი გულის მამაკაცებს კაბები ეცვათ. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ეს შოუ არ გულისხმობს არც ერთ გრამ ირონიას კაბიანი მამაკაცების მიმართ.

პირიქით, ფემინიზმის აღორძინების ხანაში გოტიეს სურს, მასკულინური რევოლუცია გაამწვავოს და დაამტკიცოს, რომ კაბიანი კაციც ისევე ვაჟკაცურია, როგორც – შარვლიანი. გოტიეს არგუმენტი დაახლოებით ასე ჟღერს: სქესთა თანასწორობა, რატომღაც, ქალების სასარგებლოდაა გაგებული. თუ მანდილოსნებს შეუძლიათ ჩაიცვან შარვალი და თავი სექსუალურად წარმოაჩინონ, რატომ არ შეიძლება კაბიანი მამაკაცი საზოგადოებამ ირონიის გარეშე მიიღოს და მასში ვაჟკაციც დაინახოს? **"რა თქმა უნდა, არ მაქვს იმის ილუზია, რომ ყველა მამაკაცი კაბის ჩაცმას დაიწყებს, უბრალოდ მსურს, მათ გაიაზრონ, რომ თავისუფლები არიან. თუ სურთ ქვედაბოლოს ჩაცმა, ასეც უნდა მოიქცნენ"**, - აცხადებს გოტიე და მამაკაცთა მამაცი გულებისთვის მხნეობის შესამატებლად იხსენებს ტოგიანი ბერძნების, მოკლე კაბიანი გლადიატორების თუ კილტიანი შოტლანდიელების წარსულს. **"იგივე გლადიატორები ხომ ამაყად ამზეურებდნენ ფეხებს და ეს მათი მამაკაცურობის ნივთმტკიცებაც იყო"**, - დიზაინერის აზრს ეთანხმება გალერეის კურატორი ბოლტონიც და იქვე დასძენს, რომ სკეიტბორდერებისა და რეპერების საოცრად განიერი ჯინსის შარვლები და ფართხუნა მაისურები ქვეცნობიერად კაბის მონატრებაა.

**"როდესაც ქალები პირველად იცვამდნენ შარვალს, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რაღაც ახალს და მათთვის მნიშვნელოვანს იძენდნენ. მამაკაცებს კი ახლა ჰგონიათ, რომ რაღაცას კარგავენ. რომ ეჭვქვეშ დგება მათი მამაკაცურობისა და სექსუალობის საკითხი"**, - სწორედ ამ ეჭვების გაქრობას ისახავენ მიზნად ბოლტონი და გოტიე.

### "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტის თავგადასავალი


"ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტი დავალებაზე

მაიქლ ბრიკი ჩვეულებრივი ნიუ იორკელი მამაკაცია, რომელსაც ჰყავს მეუღლე, მანქანა და საყვარელი პროფესია. ის "ნიუ იორკ ტაიმსში" მუშაობს. დაახლოებით ერთი კვირის წინ ბრიკის რედაქტორს დაურეკა ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობმა ენდრიუ ბოლტონმა და მას მეტროპოლიტენის გამოფენის შესახებ მოუთხრო, თან დასძინა: ეს ე.წ. ახალი ტიპის მამაკაცურობა, ჯერჯერობით, თეორიის დონეზე რჩება მხოლოდ და რეალურად, ქუჩაში კაბით მხოლოდ ძალზე მამაცი კაცი თუ გავაო.

ექსპერიმენტში მონაწილეობა ამ ჩვეულებრივ ნიუ იორკელ ჟურნალისტს შესთავაზეს, თან დააყოლეს, კარგად გადაგიხდითო. ისიც დათანხმდა. თუმცა, ამბის დანარჩენი ნაწილი ჯობს, თვითონ ბრიკისგან მოვისმინოთ. აი, რას ჰყვება ის:

"დავთანხმდი თუ არა, მაშინვე ვინანე, ეს რა გავაკეთე-მეთქი და დასამშვიდებლად ცოლს დავურეკე. იმდენი იცინა, დასაწყნარებელი იქეთ გახდა. სული რომ მოითქვა, მითხრა, - ალბათ, კაბაში თავს ნამდვილი იდიოტივით იგრძნობო. მე რომ არაფერი ვუპასუხე, მიხვდა, რომ უკვე მომავალი წერილისთვის ვაკეთებდი ჩანაწერებს და შეჰკივლა, - არ გაბედო ჩემი სიტყვების ჩაწერაო. მერე კი სერიოზულად მირჩია, - იქნებ კაბას რომ ჩაიცვამ, იმ დღეს სამსახურში მანქანით წახვიდეო.

როდესაც კაბა რედაქციაში მომართვეს, ტანჯვის მეორე ეტაპი დამეწყო. ჩემთვის გავიფიქრე, პროცესის გაჯანჯლება თუ მიხსნის-მეთქი, სხვების გასაგონად კი, ვითომც აქ არაფერიო, ვთქვი – კაბას ხვალ ჩავიცვამ, რადგან მთელ დღეს ამ მასალაზე მუშაობას დავუთმობ-მეთქი. იმ დღეს მეორე რჩევაც მივიღე ჩემი კოლეგისგან. "აბა, რა ვიცი, რა უნდა შეუხამო, როცა აქსელ როუზს აცვია ქვედაბოლო, მას თეთრ წინდებსა და შავ, სამხედრო "ბათინკს" უხამებსო".

ჟან პოლ გოტიეს მიერ შეკერილი, ტანზე შემოსახვევი კაბა მუქი ნაცრისფერი, შავი ან შეიძლება ლურჯიც იყო – რა ვიცი, ფერებს კარგად ვერ ვარჩევ. რაც ყველაზე მეტად "მესიამოვნა" ის იყო, რომ სიოს პატარა წამობერვასა და თითოეული ნაბიჯის გადადგმაზე ენერგიულად ფრიალს იწყებდა.

პარასკევს ჯინსი ჩავიცვი და გოტიეს ქვედაბოლო მანქანის უკანა სავარძელზე მივაგდე – ჯერ აღმოსავლეთ ნიუ იორკში უნდა გამევლო წინა ღამეს მომხდარი სროლის გამო და აბა, მოწმეებს კაბით ხომ ვერ გამოვეცხადებოდი! არა, კი ვიცოდი, იქ ამის გამო არავინ მცემდა, მაგრამ მერე არ გინდოდა რესპონდენტების დარწმუნება, რომ მართლა ჟურნალისტი ვიყავი?

მოკლედ, ქვედაბოლო ოფისში დაბრუნების შემდეგ ჩავიცვი. პირველი ვინც შემხვდა ჩვენი რეპორტიორი, ტარა იყო. ამათვალ-ჩამათვალიერა და სასხვათაშორისოდ მითხრა, კაბა უკუღმა გაცვიაო, მერე წელზე მეცა და თავისი ხელით გამისწორა – თან, ალბათ, როგორ უხაროდა, რომ დამამცირა!

"რამეს ზეიმობ?" – მკითხა დარაჯმა ჯონმა ირონიული ღიმილით. მაგრამ მის ირონიას ვინ დაეძებდა, გავედი თუ არა ქუჩაში, მივხვდი, რომ ძალიან მეშინოდა. ქურდივით დავიპარებოდი ტროტუარზე, ხან სატელეფონო ჯიხურს ვეფარებოდი და ხან მანქანებს, ძლივს ვუმკლავდებოდი გამვლელთა მზერას და თან ვფიქრობდი – ახი არ არის ყველა იმ კაცზე, ვინც ნიუ იორკში კაბით გამოსვლას გაბედავს-მეთქი?

მერე კი ჩავრთე ჟურნალისტთა თავდაცვის თანდაყოლილი მექანიზმი და ხელში კალამი და წიგნაკი მოვიმარჯვე – თითქოს, ხალხის წინაშე თავი ვიმართლე, ჩემი ბრალი არ არის, დავალებაზე ვარ-მეთქი.

პირველი, ვინც შემხვდა 18 წლის ბიჭი იყო, თითი მომაშვირა და აყვირდა – ვაიმეეეე, კაბა გაცვიაო?! როგორმე უნდა გამეჩუმებინა და ფოტოს გადაღება შევთავაზე. მერე მოხუცი კაცი მომაშტერდა ამრეზით. ზევით ავიხედე - ფიზკულტურის დარბაზიდან ტაშს მიკრავდნენ და მაღლააწეულ ცერა თითს მაჩვენებდნენ გამხნევების ნიშნად. რამდენიმე ახალგაზრდა ქალმაც შემათვალიერა, მაგრამ გამოლაპარაკება ვერ გაბედა – ეტყობა, ჩემი ქორწინების ბეჭედმა შეაკავა. მერე კი დავუშვი საკრალური შეცდომა – შევედი სავაჭრო ცენტრში. პირველი დარაჯი დაინტერესდა, რა გაცვია მაგის ქვეშო, მაგრამ ვინ გვაცალა საუბარი – თინეიჯერი გოგონები დამესიენ. ერთმა კაბაც ამიწია და იქ ჩემს ტრუსს რომ წააწყდა, გააპროტესტა: "შენ ბავშვებს რყვნი, მე ჯერ ხომ 15 წლის ვარო" – თითქოს მე ამეწიოს მისი კაბა!

თინეიჯერები რომ მოვიშორე, დარაჯს მივუბრუნდი, "გაგებული" ნიუ იორკელი აღმოჩნდა. პირველი გაოცების მერე თვითონაც დამშვიდდა და მეც დამამშვიდა: "რა დაგემართა, ნიუ იორკში არ ვცხოვრობთ, ჩვენ ხომ თავისუფლები ვართო. ეგ რა არის, უარესები – შიშველი კაცებიც კი მინახავსო". გაცხარებული ვიწერდი მის სიტყვებს და თან ვფიქრობდი, არ ჯობდა, ჰელოუინამდე დამეცადა – იქნებ, ხალხს ეს ჩემი კაბა სამასკარადო კოსტუმად მიეღო-მეთქი. ბოლოს კი დავასკვენი – კაბით სიარული დღეს ნამდვილად არის მამაცობა!


პრინცი ჩარლზი


შონ კონერი


მელ გიბსონი


სემუელ ლ. ჯექსონი


ივენ მაკგრეგორი

## შოუ-ბიზნესი

### "სასწაულმობილი" აუქციონზე



მაიკლ ჯექსონმა გადაწყვიტა აუქციონზე გაიტანოს საკუთარი ცნობილი ავტომობილი, რომელიც საგანგებოდ მისთვის დამზადდა. 2001 წელს გამოშვებულ "ბენტლის" მფლობელი მხოლოდ რანჩოებზე მისასვლელად იყენებდა. ამას გარდა, ავტომობილი გადაღებულია კლიპში What More Can I Give?

მანქანა მეტად კომფორტულია. მასში დამონტაჟებულია DVD-ფლეიერი, სამი მონიტორი, თითო სათამაშო მოწყობილობა ყოველი მგზავრისთვის. თუმცა, ამ ე.წ. "სასწაულმობილის" ღირსება ვარსკვლავთა ავტოგრაფებია. მანქანას ამშვენებს თავად მაიკლ ჯექსონის, ბეიონს ნოულზის, ნიკ კარტერისა და ტომ პეტის ხელმოწერები.

### ჯაგერი იცავს

მიკ ჯაგერი საკუთარი ჯგუფის გადაწყვეტილების დასაცავად გამოვიდა. როგორც ცნობილია, "როლინგსტოუნზმა" გადაწყვიტა ახალი DVD Four Flicks აშშ-სა და კანადაში მხოლოდ მაღაზიების ქსელის Best Buy-ის დახმარებით გაავრცელოს. ასეთი გარიგების გამო, რამდენიმე დღის წინათ კანადისა და აშშ-ს სხვა მაღაზიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს "სტოუნზების" ახალ პროდუქციას. "ასოშეიტედ პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჯაგერი ამბობს: "ვწუხვარ იმ მაღაზიების გამო, რომელთაც არ შეეძლებათ ამ ნამუშევრის გაყიდვა, თუმცა მათ სხვა უამრავი პროდუქცია აქვთ გასაყიდი". ჯაგერის თქმით, ეს გარიგება Best Buy-სთან ჯგუფს საშუალებას აძლევს ოთხი DVD-გან შემდგარი კომპლექტი 60-ის ნაცვლად 30 ამერიკულ დოლარად გაყიდონ.

### ჰიპ ჰოპის უკვდავები



ახლახანს გამოსული ფოტოალბომი, ალბათ, სულ მალე უზარმაზარი ტირაჟით გაიყიდება. „ჰიპ ჰოპის უკვდავები" 300 ფოტოსურათს შეიცავს, რომლებზეც რეპის უდიდესი ოსტატები არიან გამოსახული.

მისი გამომცემელი პატარა ნიუ იორკული საგამომცემლო სახლი, Sock Bandits გახლავთ. ძალიან ძვირფასი წიგნია, A3 ფორმატისა, დიდებულ ქაღალდზე დაბეჭდილი. მასში წარმოდგენილი ვარსკვლავების სურათები შეერთებული შტატების ყველაზე ცნობილმა ფოტოგრაფებმა გადაიღეს. ყველა აქაა – ჰიპ ჰოპის „მამით", აფრიკა ბამბაატაათი დაწყებული და ემინემით დამთავრებული.

### საბავშვო ელჩი

მილიონების კერპი, ცნობილი ინდოელი მსახიობი ამიტაბხ ბაჩანი დათანხმდა შეთავაზებას, გამხდარიყო "იუნისეფის" (გაეროს საბავშვო ფონდის) კეთილი ნების ელჩი. წლის დასაწყისში ინდოელმა მსახიობმა მონაწილეობა მიიღო სარეკლამო ხასიათის ტელეგადაცემებში, რომელიც ქვეყანაში ბავშვების პოლიომელითით დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში ინდოეთის ხელისუფლების ღვაწლს ეძღვნებოდა.

ინდოეთის ტელემაყურებელებისა და რადიომსმენელბის 92 პროცენტზე ამ ხერხმა გაჭრა – მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბავშვები იმუნოდამცავ პროცედურებზე წაიყვანა და აღიარა ამ ყველაფერში ბაჩანის დამსახურება. პოპულარული ინდოელი მსახიობი მზადაა "იუნისეფის" ხელმძღვანელობას დაეხმაროს შიდსის საწინააღმდეგო პროგრამის პროპაგანდაში.

### მერაიას გაუმართლა



ცნობილ კანადელ მომღერალს მერაია ქერის შესთავაზეს მთავარი როლი შეასრულოს კომედიაში "მძინარე პრინცი", რომელსაც ტერეს რეტიგანის პიესის მიხედვით გადაიღებენ. იგივე პიესის მიხედვით 1957 წელს გადაიღეს ფილმი The Prince And The Showgirl, სადაც მთავარ როლებს მერლინ მონრო და ლორენს ოლივიე თამაშობდნენ. როგორც გაირკვა, მერლინი თურმე მერაია ქერის ბავშვობისდროინდელი კერპი ყოფილა. კანადელი მუსიკოსი კინოგადაღებებს იანვრიდან შეუდგება. ჯერჯერობით უცნობია ფილმში მისი პარტნიორის ვინაობა.

### დუგლასის ღირსება იაფად შეფასდა

დიდ ბრიტანეთში დასრულდა სასამართლო პროცესი, რომელიც მაიკლ დუგლასმა უკითხავად გავრცელებული მისი და კეტრინ ზეტა-ჯონსის საქორწილო ფოტოების გავრეცელებისთვის წამოიწყო. ჰოლივუდის ვარსკვლავები ჟურნალ "ჰელოუს" 500 ათას ფუნტს სთხოვდნენ, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებით, დუგლასის მოთხოვნა 15 ათასი ფუნტით დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღიარა, რომ ჟურნალისტებმა მართლაც დაარღვიეს მსახიობების პირადი ცხოვრების უფლება, მაგრამ არ დეთანხმნენ მსახიობს, თითქოს ამით წყვილს რეპუტაცია შეელახა და მორალური ზარალი მიაყენა.

### ვარსკვლავური ომები



ორ ახალგაზრდა ვარსკვლავს - ფინქსა და კრისტინა აგილერას შორის შავმა კატამ გაირბინა. ბოლო დროს ორივე მათგანი დემონსტრაციულად იგნორირებას უწევდა მოწინააღმდეგის გამართულ წვეულებას. ყველაფერი კი მაშინ გაცხადდა, როდესაც ფინქმა გადაწყვიტა მისულიყო აგილერასთან და შეიტყო, რომ იქ იგი არასასურველი სტუმარი იქნებოდა. მაშინ, მომღერალმა გადაწყვიტა, სამაგიეროდ გადაეხადა და გააფრთხილა საკუთარი დაცვა, კრისტინა აგილერა არ შეეშვათ წვეულებაზე, რომელიც 4 ნოემბერს ლონდონში გამართა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ვარსკვლავები ჯერ კიდევ სინგლზე - Lady Marmalade მუშაობისას წაკინკლავდნენ. ფინქმა პირველმა მოისურვა აგილერასთან შერიგება, თუმცა, როდესაც შეატყო, რომ მას მოწინააღმდეგესთან არც კი უშვებდნენ, გადაწყვიტა, თავი უხერხულ სიტუაციაში არ ჩაეგდო. ამჟამად კი ორივე მომღერალი ლონდონშია სამუშაოდ. აგილერას დიდ ბრიტანეთში ტურნე აქვს, ფინკი კი წარადგენს ახალ ალბომს Try This, რომლის პრეზენტაციაც ოფიციალურად 11 ნოემბერსაა დაგეგმილი.

# კაცი, რომელსაც "დეპორტივოსთვის" უბედურება მოაქვს



აუგუსტო ლენდოირო

ნინო პირველი

ლა კორუნიას "დეპორტივო" ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის სახიფათო გუნდად ითვლებოდა. ეს ის კლუბი იყო, რომელსაც ესპანეთის პრიმერა დივიზიონში მადრიდის "რეალის" დამარცხება შეეძლო, ჩემპიონთა ლიგაში კი - თითქმის წაგებული მატჩის ბოლო წუთებზე მოგება. ლა კორუნიას "დეოპორტივო" მუდამ თავგამოდებით იბრძოდა, ესპანეთის ჩემპიონიც გახდა, კოპა დელ რეიც ცხვირწინ ააცალა საკუთარ "სანტიაგო ბერნაბეუზე" მოთამაშე მადრიდის "რეალს", რომელიც იმ წელიწადს კლუბის დაარსებიდან ასი წლისთავს ზეიმობდა და ჩემპიონთა ლიგაშიც მოახერხა ჯგუფური ეტაპის დაძლევა. ფეხბურთის მოყვარულები ლა კორუნიას "დეპორტივოს" სტაბილურ, ძლიერ გუნდად თვლიდნენ და 5 ნოემბერს მონაკოში, ბრწყინვალე გამარჯვებას თუ არა, პრინც ალბერტის გუნდთან თანაბარ ბრძოლას მაინც ელოდნენ, მაგრამ...

2003 წლის 5 ნოემბერი გალისიელთა ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო დღის სტატუსით შევიდა, "მონაკოსთვის" კი ეს საუკეთესო მატჩი იყო. თერთმეტი გოლი ერთ მატჩში, აქედან რვა - "დეპორტივოს" კარში! ასეთი საშინელი მარცხი "დეპორს" არასოდეს განუცდია. ესპანური ფეხბურთის პრესტიჟი ასე სასტიკად აქამდე არასოდეს შელახულა. უკანასკნელად ესპანელებმა ამდენი გოლი 1993-94 წლების სეზონში გაუშვეს, როცა გერმანული "კარლსრუე" "მესტალიაზე" შეხვდა "ვალენსიას" და დაბნეული მასპინძლების კარი შვიდჯერ აიღო. მას შემდეგ ათი წელიწადი გავიდა. ესპანური ფეხბურთი კიდევ უფრო გაძლიერდა. ესპანელებისგან ყველა მუდამ კარგ თამაშს ელოდა და უცებ ასეთი ფიასკო...

მატჩის მეორე დღეს ყველა ესპანური გაზეთი "დეპორტივოს" უსუსურობაზე წერდა. ყველა გაოგნებული იყო - ფეხბურთელებით დაწყებული და ჟურნალისტებით დამთვარებული. ესპანელები "დეპორის" მარცხის მიზეზს ეძებდნენ და ბოლოს იპოვეს კიდეც. არ გაინტერესებთ, ვის დაბრალდა გალისიელთა წარმოუდგენელი ფიასკო? არც მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინას, რომელმაც რვა გოლი გაუშვა, არც "დეპორის" დაცვას, რომელმაც ერთხელაც კი ვერ შეძლო მონაკოელთა შეტევის ჩაშლა და დადო პრსოს პოკერის შესრულების საშუალება მისცა, არც გალისიელთა ფორვარდებს, რომელთაც მასპინძლების შტურმს მხოლოდ ორი საცოდავი გოლით უპასუხეს, არც "დეპორის" მთავარ მწვრთნელს ხავიერ ირურეტას, რომელმაც საშინლად უდირიჟორა მატჩს და მონაკოელთა საბრძოლო შემართებას ვერაფერი დაუპირისპირა. არა, ბატონებო, ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები არაფერ შუაში არიან. "დეპორის" კატასტროფული მარცხი, არც მეტი, არც ნაკლები, გალისიური კლუბის პრეზიდენტის, აუგუსტო სესარ ლენდოიროს ბრალი ყოფილა. რატომ? სრულიად უბრალო მიზეზის გამო: ლენდოიროს ცუდი ფეხი აქვს და გასვლით მატჩებში თავისი გუნდისთვის უბედურება მოაქვს. ხომ გაუგონარი აბსურდია? მაგრამ ესპანეთში ამის სერიოზულად სჯერათ. ლენდოირო აქამდე მხოლოდ ერთხელ დაესწრო "დეპორის" საგარეო მატჩს და მაშინაც მისი კლუბი სასტიკად დამარცხდა. 2000 წელს მისი "დეპორი" უეფას თასზე ლონდონის "არსენალს" ეთამაშებოდა "ჰაიბერიზე". ლენდოირო ლონდონში ჩავიდა და "დეპორტივომ" 1:5 წააგო! აბა, ახლა რაღას იტყვით? განა არ ჯობდა, სენიორ პრეზიდენტი შინ დარჩენილიყო და გრიმალდების სამეფოში არ გაჰყოლოდა თავის გუნდს? იქნებ "დეპორი" გადარჩენოდა ასეთ საშინელ ფიასკოს?

ლენდოირომ თავადაც მწარედ ინანა მონაკოში ჩასვლა. ნეტავ, არ წავსულიყავიო, საცოდავად ამბობდა მატჩის შემდეგ, მაგრამ რაღა დროს! სენიორ პრეზიდენტი სტადიონზე მონაკოს პრინცის, ალბერტის გვერდით იჯდა. "მონაკოს" გოლები გაჰქონდა, მისი უდიდებულესობა სიხარულისგან სავარძელზე ხტუნაობდა, კუთხეში მიკუჭული ლენდოირო კი გაოგნებული შეჰყურებდა, როგორ აბითურებდნენ მასპინძლები მის მრისხანე გუნდს. "მონაკოს" თითოეული გოლის შემდეგ პრინცი ბავშვივით ზეიმობდა, გულწრფელად უხაროდა თავისი კლუბის წარმატება. მე კი ამ ყოველივეს ვუყურებდი და გული მტკიოდა. ჯობდა, ესპანეთში დავრჩენილიყავი", - თქვა პრეზიდენტმა მატჩის შემდეგ. ალბათ, მართლაც, უმჯობესი იქნებოდა, "დეპორი" პრეზიდენტის გარეშე ჩასულიყო მონაკოში...

ამ გამანადგურებელი მარცხის მიუხედავად, "დეპორტივოს" ჯერაც არ დაუკარგავს ჯგუფიდან გასვლის იმედი. ლენდოირო ოპტიმისტია და სჯერა, რომ "დეპორი" მალე დაივიწყებს მონაკოში განცდილ ფიასკოს და ლიგის ფავორიტად დარჩება: "მომავალ ტურში ჩვენ "აეკს" ვხვდებით, "მონაკო" კი - "ეინდჰოვენს". ბერძნებს თუ მოვუგებთ, აღარაფერი გაგვიჭირდება. მე პრინც ალბერს დავპირდი, რომ მის "მონაკოს" ფინალში დავამარცხებდით", - იხტიბარს არ იტეხს ლენდოირო. ფინალში "მონაკოს" წინააღმდეგ თამაში ეს მხოლოდ პრეზიდენტის ოცნებაა. რეალობა კი ის გახლავთ, რომ ამ მარცხის შემდეგ, შესაძლოა, "დეპორმა" ჯგუფში პირველი ადგილი ველარ დაიკავოს და მომდევნო ეტაპზე ჩემპიონთა ლიგის რომელიმე გრანდთან მოუხდეს შეხვედრა, მათ შორის, არც მადრიდის "რეალთან" თამაშია გამორიცხული. ასეთ შემთხვევაში 2004 წლის 26 მაისს ფინალში გელზენკირხენის "შალკეარენაზე" თამაში გალისიელებისთვის მიუწვდომელ ოცნებად დარჩება.

## TV პროგრამა

**ორშაბათი 10. ნოემბერი**

**НТВ + ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. "SEATTLE SONICS" - "ATLANTA HAWKS". პირდაპირი ტრანსლაცია
08:30 NBA TV. წელი 1974. "SEATTLE SONICS"
09:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1967. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "PHILADELPHIA 76-ERS" - "BOSTON CELTICS". მე-4 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 იტალიის ჩემპიონატი
15:10 უკრაინის ჩემპიონატი. "არსენალი" – "კარპატი"
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ვასკუ და გამა" – "კრუზეირო"
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "ბორუსია"
20:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:30 სახვალიოო ტელეპროგრამა
21:35 "დარტყმა გოლისთვის"
21:55 უკრაინის ჩემპიონატი. "დნეპრი" – "მეტალურგი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:45 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
02:15 02:15-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ოსკარ რობერტსონი
05:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:30 NBA TV. დღიური

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00, 19:30, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 19:50 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "TENNESSEE TITANS" - "MIAMI DOLPHINS"
14:15 საჭადრაკო მიმოხილვა
14:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW YORK RANGERS" - "PHILADELPHIA FLYERS"
17:15 "სპორტული გლობუსი"
17:45 "NHL – პლიუსი"
18:00 "მიხაილ ტალის საიდუმლო"
19:00 "რკინის ფაქტორი"
19:55 სახვალიოო ტელეპროგრამა
20:00 პროფესიული კრივი. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის. როი ჯონსი – ანტონიო ტარვერი
22:15 წინასაოლიმპიადო მარათონი ათენში
22:30 "სპორტის აკვატორია"
23:00 ჩოგბურთი. "Masters series" ჰიუსტონში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 "NHL – პლიუსი"
00:45 "რკინის ფაქტორი"
01:15 ახალი ამბები
01:30 მაგიდის ჩოგბურთი. "Korea Open 2003"

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდბრიტანეთში
12:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
13:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
15:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდბრიტანეთში
15:30 მულტისპორტი
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი
18:00 სნუკერი. საერთაშორისო ტურნირი "British Open"
21:00 ჩოგბურთი. ჰოლივუდის ხეივანი
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდბრიტანეთში
23:00 ჩოგბურთი. მასტერსის თასი აშშ-ში
00:30 სნუკერი. საერთაშორისო ტურნირი "British Open"
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
03:15 ფეხბურთი. ევროგოლები

## ფეხბურთი

# იაშვილური ამბები

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოში სპორტული და, კერძოდ, საფეხბურთო ცხოვრება ისევ გრძელდება. გუშინ გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის მე-16 ტურის ბოლო და ცენტრალური შეხვედრა, რომელშიც გათამაშების ლიდერმა, "დინამომ", თბილისურ "დერბიში" "ლოკომოტივს" უმასპინძლა. წინა დღეს ქუთაისში დაფიქსირებული შედეგიდან გამომდინარე ("ტორპედომ" "დინამოს" მთავარი კონკურენტი, "ვიტ ჯორჯია" დაამარცხა), დინამოელებს წაფორხილებული მთავარი კონკურენტის ზურგსუკან მოტოვების კარგი შანსი მიეცათ. ოღონდ, ამისთვის საკმაოდ უხერხული მეტოქის დამარცხება იყო საჭირო.

ამ თამაშამდე ერთი დღით ადრე "ფრაიბურგმა" "ვოლფსბურგს" უმასპინძლა. შეიძლება იკითხოთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთმანეთთან რა კავშირშია საქართველოს ჩემპიონატი და ბუნდესლიგა. ახლავე აგიხსნით. "ფრაიბურგმა" ის მატჩი 3:2 მოიგო და სამივე გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა. ალექსანდრე, უფრო სწორად, სანდრო იაშვილი "დინამოსაც" ჰყავს. თანაც, გუშინდელ შეხვედრაში მას "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა. ჰოდა, სწორედ ამ სადებიუტო მატჩში მან გოლი გაიტანა, რომელიც თამაში ერთადერთი და "დინამოსთვის" 3 ქულის მომტანი გამოდგა. ეს 26-ე წუთზე მოხდა: მარჯვენა ფლანგიდან დარასელიას მიერ "ლოკომოტივის" საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს იაშვილი თავით შეწვდა და ხაჩირიშვილის კარში გაიტანა.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში "დინამო" სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა. გოლის შემდეგ ხელსაყრელი მომენტი შეექმნა რატი ალექსიძეს, რომლის შორეული დარტყმა ძელმა მოიგერია. რაც შეეხებათ ცაკარიასის შეგირდებს, პირველ ტაიმში მათ დავით გვარამაძე ერთხელაც კი არ შეუწუხებიათ ხეირიანად.

"დინამოს" კიპერს სერიოზული საქმე არც მეორე ტაიმში გასჩენია. თუმცა, ერთხელ, მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე სირაძის არცთუ ძლიერი, მაგრამ ძალზე სახიფათო თავური მოიგერია. ბოლო წუთებში რკინიგზელები გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ გვარამაძის კართან მეტი ხიფათის შექმნა ველარ შეძლეს. თავის მხრივ, მასპინძლებს კონტრშეტევაზე თამაშის საშუალება მიეცათ და მათ რამდენჯერმე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ გრიშიკაშვილის არყოფნა (მას ტრავმა აქვს) გუნდს არ დაატყო ხაჩირიშვილმა და რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა თავისი კარი.

ივო შუშაკი: "ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო. მეტოქე სერიოზულად მოემზადა ამ შეხვედრისთვის და მის თამაშს ეტყობოდა, რომ ამბიციაც არ აკლდა. "ლოკომოტივს" აშკარად დაეტყო ცაკარიასის ხელი, რომელმაც უმოკლეს დროში გუნდის თამაში სტაბილური გახადა და ბოლო 2 შეხვედრაში 4 ქულა მოიპოვა. პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ და, ერთი გოლის გარდა, სხვა ხელსაყრელი მომენტებიც გვქონდა. თუმცა, მეორე გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ, რის გამოც შეხვედრის ბედი ბოლო წუთებამდე გაურკვეველი გამოდგა. მინდა, მადლობა გადავუხადო ორივე გუნდის ფეხბურთელებს, რომლებმაც არცთუ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს ლამაზი სანახაობა აჩუქეს."

ლუის ცაკარიასი: "ჩემმა გუნდმა 2 განსხვავებული ტაიმი ითამაშა. გრიშიკაშვილისა და ქემოკლიძის არყოფნამ დაცვაში სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა, თუმცა, თამაში თანდათან "დავალაგეთ" და მეორე ტაიმში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც შეგვექმნა. თუმცა, იმის გამო, რომ დღეისთვის საქართველოს, მართლაც, საუკეთესო და უძლიერეს გუნდთან გვიწევდა თამაში. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, თუნდაც, ფრეს მისაღწევად."

**მე-16 ტური**

**8 ნოემბერი**

| | | |
|---|---|---|
| მცხეთა | 0:4 | სიონი |
| ტორპედო | 2:1 | ვიტ ჯორჯია |
| დილა | 1:2 | თბილისი |
| ბათუმი | 3:2 | მერცხალი |
| სპარტაკი | 1:0 | კოლხეთი |

**9 ნოემბერი**

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 1:0 | ლოკომოტივი |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 16 | 10 | 4 | 2 | 33-8 | 34 |
| 2. სიონი | 16 | 9 | 6 | 1 | 22-8 | 33 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 5 | 2 | 25-9 | 29 |
| 4. დილა | 16 | 8 | 3 | 5 | 17-13 | 27 |
| 5. თბილისი | 16 | 7 | 4 | 5 | 28-18 | 25 |
| 6. ლოკომოტივი | 16 | 6 | 4 | 6 | 21-18 | 22 |
| 7. ტორპედო | 16 | 6 | 4 | 6 | 15-17 | 22 |
| 8. ბათუმი | 15 | 1 | 6 | 8 | 20-19 | 19 |
| 9. მცხეთა | 16 | 5 | 2 | 9 | 18-37 | 17 |
| 10. სპარტაკი | 16 | 3 | 4 | 9 | 9-36 | 13 |
| 11. კოლხეთი | 16 | 3 | 3 | 10 | 9-22 | 12 |
| 12. მერცხალი | 16 | 2 | 6 | 8 | 17-33 | 10 |

# ფიგუ, რაული და რონალდო: "ოღონდ "შტუტგარტი" არ იყოს!"

ნინო პირველი

მადრიდის "რეალი" - უძლეველი, შეუდარებელი, მუდამ ფავორიტი, ყველასთვის შიშის ზარის დამცემი, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებით დაკომპლექტებული საუკეთესო კლუბი. გუნდი, რომელშიც ყველა ვარსკვლავია...

არის კი ევროპაში გუნდი, რომელსაც მადრიდელთა შეჩერება შეუძლია? არის სადმე, რომელიმე ქვეყანაში კლუბი, ვისთანაც შეხვედრას "რეალი" არ ისურვებდა? თურმე ასეთი გუნდი ნამდვილად არსებობს და, რაც უნდა გასაოცარი იყოს, ესპანელთათვის სახიფათო მეტოქე სულაც არ მიეკუთვნება ევროპული გრანდების რიცხვს. ეს არც ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ტრიუმფატორი იტალიური "მილანია" და არც ლიგის ფინალისტი ტურინის "იუვენტუსი", რომელმაც "რეალი" ნახევარფინალიდან გამოაგდო, არც დევიდ ბექჰემის ექს-კლუბი, მრისხანე "მანჩესტერ იუნაიტედი" და არც მიუნხენის "ბაიერნი", რომელიც მუდამ მადრიდელთა დაუძინებელი მტერია. გუნდი, რომელთან შეხვედრასაც "რეალი" ფინალამდე ნამდვილად არ ისურვებდა, ბუნდესლიგის პატარა კლუბი "შტუტგარტი" გახლავთ. "შტუტგარტი", რომელმაც მიმდინარე სეზონში უკვე მოასწრო, ისეთი სენსაცია მოეხდინა, რასაც "მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხება ჰქვია. ფელიქს მაგატის გუნდი ბუნდესლიგაშიც შესანიშნავად თამაშობს, შვაბები ჯერჯერობით პირველ ადგილზე არიან და გერმანიის ჩემპიონის ტიტულის მოგების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლებიან. არ გაინტერესებთ, რატომ უფრთხის "რეალი" "შტუტგარტს"? მოდით, ფიგუს, რაულს და რონალდოს მოვუსმინოთ, რომელთაც გერმანულ "ბილდ ამ ზონტაგს" ვრცელი ინტერვიუ მისცეს:



რონალდო, ფიგუ და რაული "შტუტგარტს" უფრთხიან

**- "რეალში" თითქმის ყველა ვარსკვლავია. ფეხბურთელებს ერთმანეთის ხომ არ შურთ?**

*რონალდო:* სულაც არა. "რეალში" ყველასთვის არსებობს სივრცე. ტექნიკურად ყველა ფეხბურთელი ძალიან ძლიერია. ყველას უყვარს ფეხბურთი და ტკბება თამაშით. "რეალში" ყველა ჩემპიონია.

**- რამდენად დიდია ფსიქოლოგიური ზეწოლა ამ ვარსკვლავურ გუნდში? "რეალისგან" ხომ ყველა ყოველთვის წარმატებას ელის?**

*რონალდო:* ფანები ჩვენგან მუდამ გამარჯვებას მოითხოვენ. ზეწოლა, მართლაც, დიდია, მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს. "რეალი" ხომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია.

**- ამ სეზონში რა მიზნები გაქვთ?**

*რონალდო:* ჩემი ოცნება ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. ეს ტიტული ჯერ არ მომიპოვებია.

**- როგორ აფასებენ "რეალის" ფეხბურთელები გერმანულ კლუბებს?**

*რონალდო:* გერმანული გუნდები მუდამ მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობენ. პირადად მე "შტუტგარტმა" გამაოცა.

*ფიგუ:* "შტუტგარტში" ჩემი მეგობარი მეირა თამაშობს და ვიცი, რომ ეს ძალიან სახიფათო გუნდია. მათ წინააღმდეგ თამაში ურთულესი ამოცანა იქნება.

*რაული:* დარწმუნებული ვარ, "შტუტგარტი" მეტად რთული მეტოქე იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანული კლუბია. "რეალს" ყოველთვის უჭირდა გერმანულ გუნდებთან თამაში. იმედია, მათ ფინალამდე არ შევხვდებით (იცინის).

**- შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ კარიერას გერმანიაში გააგრძელებთ?**

*რაული:* არა, მე მუდამ "რეალში" დავრჩები.

*რონალდო:* მე ჯერ კიდევ დიდი დრო მაქვს. შეიძლება, ოდესმე ბუნდესლიგაშიც ვითამაშო.

**- რას ფიქრობთ "ბაიერნის" დღევანდელი კრიზისის შესახებ?**

*ფიგუ:* ყველა დიდ კლუბს აქვს ჩავარდნის ხანა. "ბაიერნს" დიდი პოტენციალი გააჩნია. ის აუცილებლად დააღწევს თავს კრიზისს.

**- ლუიშ, ბექჰემმა, ცოტა არ იყოს, შეგავიწროვათ მარჯვენა ფლანგზე. რამდენად ძნელი იყო თქვენთვის გადაწყობა?**

*ფიგუ:* არა, ძნელი ნამდვილად არ ყოფილა. ჩვენ ორივე კარგად მოვერგეთ გუნდის სათამაშო სქემას. ეს "რეალის" შედეგიან თამაშზეც აისახა.

**- რამდენად მნიშვნელოვანია ფული თქვენთვის?**

*ფიგუ:* ფული ძალიან მნიშვნელოვანია, თუ გიჭირს მისი შოვნა. როცა ბევრი ფული გაქვს, შეგიძლია, ოჯახის და მეგობრების ბედნიერი ცხოვრება უზრუნველყო.

## ფორმულა 1

# მომავლის პილოტი - "რენოს" იმედი

ფორმულა 1-ის 2003 წლის სეზონში "რენოს" ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსო არაერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში. 21 წლის ესპანელმა, რომელმაც ესპანეთის გრან-პრიზე მიხაელ შუმახერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და საბოლოოდ რბოლა მეორე შედეგით დაასრულა, უფროსი კოლეგისგან, "ფერარის" გერმანელი პილოტისგან ქება დაიმსახურა – შუმახერმა მას "მომავლის პილოტი" უწოდა. ალონსომ მასზე გაცემული ავანსი უნგრეთის გრან-პრიზე გაამართლა. ფინიშის ხაზთან პირველი სწორედ ის მიიჭრა. მართლაც, "რენოს" ესპანელ პილოტზე სულ უფრო ხშირად ამბობენ, რომ ის მომავალი ვარსკვლავია. მეტიც, მას "მაკლარენის" ფინელ პილოტთან, კიმი რაიკონენთან ერთად, შუმის მემკვიდრედაც მოიაზრებენ. ამასთან, სულ ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მომავალში ალონსო "ფერარიში" გადაბარგდება.

ახლა, როცა სამეფო რბოლების სეზონი დასრულდა, "რენოს" პილოტი საკუთარ გულშემატკივრებს გასულ სეზონთან დაკავშირებით საკუთარ შთაბეჭდილებებს უზიარებს. გთავაზობთ ახალგაზრდა ესპანელის ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს, რომელშიც იგი ჩემპიონატის მნიშვნელოვან მომენტებზე ამახვილებს ყურადღებს.

**- პირველი გრან-პრის დროს სტარტზე გასული რას გრძნობდი?**

- განსაკუთრებულს არაფერს. ტრასის პირობები მძიმე იყო. წარმოიდგინეთ, სველ ტრასაზე რბოლის დაწყებას მშრალი საბურავებით ვაპირებდი. თავი იმდენი რალაცით მქონდა გამოტენილი, რომ იმის დროც არ მქონდა, მომენტი გამეთვითცნობიერებინა.

**- პირადად შენთვის სეზონის რომელი ეტაპი გამოდგა გადამწყვეტი?**

- ალბათ, ბარსელონას ტრასა. ჩვენ, ახალ "ფერარისთან" შედარებით, კონკურენტუნარიანები ვიყავით. ესპანეთის გრან-პრიზე ასპარეზობამაც მნიშვნელოვნად აწია გუნდის საბრძოლო სული. და, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლი ბუდაპეშტს: პილოტისთვის პირველი გამარჯვება ყოველთვის განსაკუთრებულია.

**- 2003 წლის სეზონს როგორ აღწერდი?**

- გუნდისთვის, სულ ცოტა, ფანტასტიკური გამოდგა. უმაღლესი დონისთვის რომ მიგვეღწია, 100 პროცენტით ვიხარჯებოდით. ხანდახან "ფერარი", "უილიამსი" და "მაკლარენი" თავს მშვიდად გრძნობდნენ. ჩვენ კი საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლებას ვერ ვაძლევდით. საერთოდ, ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენ ზღვარზე მუშაობას შევეჩვიეთ.

**- პარტნიორ იარნო ტრულისთან შენი დამოკიდებულება კვლავაც ახლობლურია?**

- დიახ! ჩვენ კვლავაც ბრწყინვალედ ვუგებთ ერთმანეთს. კარგი ბიჭია, არასდროს თამაშობს და ყოველთვის ზედმიწევნით კონცენტრირებულია ტრასაზე. მისგან ბევრს ვსწავლობ და ისიც დაუზარებლად პასუხობს ჩემს კითხვებს. მისგან ბევრით ვარ დავალებული. ჩვენი გამოსვლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ის ურთიერთობაც, რომელიც მე და იარნოს გვაქვს, უდავოდ, დიდი პლუსია გუნდისთვის.

**- წლეულს ყურადღების ცენტრში იყავი. აქედან გამომდინარე, საქმე გექნებოდა უცხოეთის პრესასთან, ჭორებთან და პოლიტიკასთან. თითოეულ ამ ფაქტორს როგორ გაუმკლავდი?**

- მართლაც, როდესაც კარგ შედეგებს აღწევ, ეს უკანასკნელი დამატებითი წნეხის ქვეშ გაქცევს. აუცილებელია, ისწავლო თითოეულ ნათქვამზე პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც ეს არცთუ ისე ძნელია. მთავარია, დარწმუნებული იყო, რომ ტრასაზე სწრაფად მოქმედებ!

**- მელბურნამდე (ავსტრალიის გრან-პრი) შვებულების აღებას თუ აპირებ?**

- ახლა ამაზე არ ვფიქრობ. ნოემბრის ბოლომდე, ზამთრის ტესტებამდე ოქსფორდში, სახლში ვიქნები.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ესპანური "ბარსელონას" მწვრთნელმა, ფრანკ რაიკაარდმა განაცხადა, რომ ის მაიკლ ოუენის შეძენით არის დაინტერესებული. "ოუენი ყველაზე მეტად ჯდება ჩვენი გუნდის ფილოსოფიაში", - ამბობს ოუენი. შეგახსენებთ, რომ ინგლისელი თავდამსხმელით დაინტერესებას მადრიდის "რეალიც" ავლენს. თავად ოუენი კი მისი პერსონით ორი ესპანური გრანდის დაინტერესების შესახებ კომენტარს არ აკეთებს. ხოლო მისი ამჟამინდელი კლუბის, "ლივერპულის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ოუენი არსადაც არ წავა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" პერუელი თავდამსხმელი კლუბის წარუმატებელი გამოსვლების მთავარ მიზეზად თავის პარტნიორს, ჰოლანდიელ როი მაკაის მიიჩნევს. "ამჟამად ჩვენ ძალიან ცუდად ვთამაშობთ, ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ყველას მაკაიზე თამაში გვავალებენ", - ამბობს პიზარო. მისი აზრით, მაკაი ძუნწია და პასებს არ იძლევა. მაკაის სანაცვლოდ "ბაიერნმა" 18 მილიონი ევრო გაიღო. ახალ კლუბში გადასვლის შემდეგ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა უკვე 10 გოლის გატანა მოასწრო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფრანც ბეკენბაუერმა ჯოვანი ელბერის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ფონდს 10 ათასი ევრო გადაურიცხა. ელბერის ფონდი ბრაზილიელ უსახლკარო ბავშვებს უწევს დახმარებას და ბეკენბაუერმაც გამოთქვა სურვილი, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. თავისი კომენტარისას "კაიზერ" ფრანცმა ელბერს სთხოვა, რომ აღარასოდეს გაუტანოს გოლი "ბაიერნს".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი რივალდო, რომელმაც "მილანთან" კონტრაქტი ჯერ გაწყვიტა, შემდეგ კი კლუბს დაუბრუნდა და ზამთრის სატრანსფერო სეზონამდე დაცდა გადაწყვიტა, ახალი კლუბების წინადადებებს განიხილავს. ბრაზილიური პრესის ინფორმაციებით, რივალდოს გადაბირებით ხუთი კლუბია დაინტერესებული. ინგლისური "ლივერპული" და "ტოტენჰემი" კვლავინდებურად ეპატიჟებიან ბრაზილიელს. მათთან ერთად კი რივალდოსთვის ბრძოლაში ესპანური "ვალენსია" და "დეპორტივო" ჩაებნენ. პრესა რივალდოს შეძენით ერთ-ერთი ყატარული კლუბის დაინტერესებაზეც საუბრობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რივალდო ბრაზილიური კლუბების გეგმებშიც შედის. რიო დე ჟანეიროს "ფლამენგოს" პრეზიდენტის პოსტზე დეკემბერში არჩევნები გაიმართება. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი დელაირ დუმბროში ირწმუნება, რომ "ფლამენგოში" რივალდოს გადაბირებას შეძლებს. "ვფიქრობ, "მილანს" რივალდოს განათხოვრება აწყობს, ხოლო თავად ფეხბურთელისთვის, რომელსაც ახლა არცთუ ისე კარგი პერიოდი აქვს, კარგი იქნებოდა, ერთი სეზონი ბრაზილიაში გაეტარებინა", - ამბობს დუმბროში. მისი თქმით, მას კარგი ურთიერთობა აქვს ლეონარდოსთან, ბრაზილიის ნაკრების და "მილანის" ყოფილ ნახევარმცველთან, რომელიც ახლა მილანური კლუბის ადმინისტრაციაშია დასაქმებული. პრეზიდენტობის კანდიდატი ირწმუნება, რომ სწორედ ლეონარდო ეხმარება მას რივალდოს გადაბირებაში: "ლეონარდო ჩემი მეგობარია და, ვფიქრობ, მისი დახმარებით "მილანი" რივალდოს "ფლამენგოში" გამოშვებაზე დათანხმდება". "ფლამენგოს" გარდა, რივალდოთი დაინტერესებას მისი ყოფილი კლუბი, "პალმეირასიც" გამოთქვამს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" მცველი, რობერტო კარლოსი ვერ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში, რომელთაც ბრაზილიის ნაკრები ორ კვირაში გამართავს. მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ კარლოსის ნაცვლად ნაკრებში "კრუზეიროს" მარცხენა მცველი ლეანდრო სილვა გამოიძახა. ეს გადაწყვეტილება კი იმით არის გამოწვეული, რომ პარეირა ტელეფონით ესაუბრა "რეალის" ექიმებს, რომელთაც მათ რობერტო კარლოსის მარცხენა ფეხის ტრავმის შესახებ აცნობეს. ამ ტრავმის გამო კარლოსი ორი ან სამი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს, მათ შორის 16 და 19 ნოემბერს, როდესაც ბრაზილიის ნაკრები პერუს და ურუგვაის გუნდებს შეხვდება. "როდესაც კარლოსის ტრავმის შესახებ შევიტყვე, მაშინვე ლეანდრო სილვაზე ვიფიქრე. მიმაჩნია, რომ ის ყველაზე კარგად შეძლებს კარლოსის შეცვლას", - განაცხადა პარეირამ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სენსაციური ცნობა მოვიდა არგენტინიდან: არიელ ორტეგამ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. ეს სენსაციაა იმიტომ, რომ ორტეგა მხოლოდ 19 წლისაა. ფეხბურთისათვის თავის დანებების გადაწყვეტილება ორტეგას ოფიციალური მფლობელის, თურქული "ფენერბახჩეს" "დამსახურებაა". "ფენერბახჩემ" ორტეგას სანაცვლოდ თავის დროზე 15 მილიონი ევრო გადაიხადა. ფეხბურთელმა კი თურქეთში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო და კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა. მატერიალური ზარალის ანაზღაურებას "ფენერბახჩე" ორტეგას გაყიდვით აპირებს, თუმცა, იმ 6 მილიონი ევროს გადახდას, რომელსაც თურქები ორტეგას სანაცვლოდ ითხოვენ, არავინ აპირებს. არგენტინელი ნახევარმცველი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა - "ფენერბახჩეში" თამაში არ სურს, ეს უკანასკნელი კი მის გაშვებას არ აპირებს. 6 მილიონის გადახდაც არავის უნდა, რის გამოც ახალ კლუბში ვერ გადადის. სწორედ ამიტომ, არგენტინის ნაკრების წევრმა და მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილემ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა.

## ინფოთეკა

**კალათბურთი.** მადრიდში გაიმართა ათენის ოლიმპიური თამაშების ჯგუფური ტურნირის კენჭისყრა. A ჯგუფში გაერთიანდნენ: ჩინეთი, ახალი ზელანდია, იტალია, ესპანეთი, არგენტინა, სერბეთი. B ჯგუფში კი ერთმანეთს შეხვდებიან: ანგოლა, ავსტრალია, საბერძნეთი, ლიტვა, პუერტო-რიკო, აშშ. ჯგუფებში ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალურ წყვილებს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ნაკრები ტურნირზე მხოლოდ შესარჩევი ტურნირის გავლის შემდეგ მოხვდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** აშშ-ში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე WTA Championships გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. წითელ ჯგუფში პირველობა უპრობლემოდ გაინაღდა ბელგიელმა კიმ კლიისტერსმა, რომელმაც ყველა თამაში მოიგო. მეორე ადგილზე კი ფრანგი ამელი მორესმო გავიდა. შავ ჯგუფში კი ნახევარფინალის საგზურისთვის სერიოზული ბრძოლა გაიმართა და ყველაფერი უკანასკნელ შეხვედრებში გადაწყდა. ჟიუსტინ ენინ-არდენმა მესამე შეხვედრაში დაამარცხა იაპონელი აი სუგიამა და პირველ ადგილზე გავიდა. მეორე საგზური კი მოიპოვა ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში რუს ანასტასია მისკინას აჯობა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** 2004 წლის 24 ოქტომბერს ბრაზილიაში ფორმულა 1-ის "ბრაზილიის გრან-პრი" უნდა გამართულიყო. თუმცა, ბრაზილიის სახელმწიფო მოხელეებმა სხვაგვარად განსაჯეს. ამ ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით, "ბრაზილიის გრან-პრი" აღარ გაიმართება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რბოლა დიდ ზიანს მიაყენებს ქალაქ სან-პაულუს ბიუჯეტს.

■ ■ ■

**კრივი.** როი ჯონს-უმცროსმა დაიცვა WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ქვემძიმე წონით კატეგორიაში. როი ჯონს-უმცროსმა ქულებით დაამარცხა ანტონიო ტარვერა. ორმა არბიტრმა გამარჯვება როი ჯონსს მიანიჭა. ერთმა კი ფრე დააფიქსირა.

■ ■ ■

**ციგურაობა.** ჰოლანდიელებმა გაიჯეჯილეს სეზონის პირველი მსოფლიო თასის გათამაშებაში, რომელიც ნორვეგიის ქალაქ ჰამარში გაიმართა. ერბენ ვენემარსმა და მარკ ტიუიტერტმა 1500 მეტრ დისტანციაზე გარბენში პირველ-მეორე ადგილი დაიკავეს. გერმანელი ანი ფრიზენგერი კი პირველი იყო 3000 მეტრ დისტანციაზე გარბენში.

■ ■ ■

**ფიგურული სრიალი.** ამერიკელმა ტიმოთი გებელმა მოიგო "ჩინეთის გრან-პრის" ვაჟთა თანრიგის ტურნირი. მან გაუსწრო ფრანგ ბრაიან ჟუბერს და ჩინელ ჩენ ლიან ლის.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** ხვალ ნიუ-იორკში დაიწყება მორიგი საჭადრაკო მატჩი ადამიანსა და კომპიუტერს შორის. გარი კასპაროვი Fritz-ის უკანასკნელი მოდელის პროგრამას შეხვდება. მატჩი, რომელიც ოთხი პარტიისგან შედგება (დროის კლასიკური კონტროლით) New York Athletic Club-ში 11-დან 18 ნოემბრამდე გაიმართება. სათამაშო დღეებია 11, 13, 16 და 18. პარტიები თბილისის დროით 22.00 საათზე დაიწყება. ყველა პარტია პირდაპირ ეთერში ცნობილი ამერიკული სპორტული არხის ESPN-ის მეშვეობით იქნება ნაჩვენები. მატჩის სპონსორებმა და ორგანიზატორებმა კომპანია X3D World, ChessBase-თან ერთად შეიმუშავეს Fritz 8-ის სპეციალური სამგანზომილებიანი პროგრამის ვერსია. კასპაროვი სამგანზომილებიანი სათვალით, დაფისა და ფიგურების გარეშე ითამაშებს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** გერმანიაში მორიგი სკანდალი მოხდა. ბურკჰარდ იუნგი, რომელსაც ევალებოდა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად ლაიპციგის წარდგენის ორგანიზება, ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულეს. როგორც გაირკვა, ახალი ობიექტების ასაშენებლად იუნგი ბევრ თანხას ფლანგავდა და მშენებლობის ფინანსირებას ქალაქისთვის აშკარად მიუღებელ ფასში ახორციელებდა. საქსონიის მხარის პროკურატურამ ჩინოვნიკის წინააღმდეგ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ჯერჯერობით უცნობია, ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, იუნგს როგორი სასჯელი ელის.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "მონრეალის" მრავალტანჯული კაპიტანი საკუ კოივუ, როგორც იქნა, მოედანს უბრუნდება და ამ დღეებში თავის პირველ მატჩს გამართავს გუნდის შემადგენლობაში. შეგახსენებთ, რომ სეზონისწინა მზადების პერიოდში მარჯვენა მუხლის დაზიანების შემდეგ ჰოკეისტი დიდ სპორტში პირველად ბრუნდება. ფინელი ფორვარდი ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში ერთ-ერთ ყველაზე ხიფათიან მოთამაშედ არის მიჩნეული. კოივუ 1997-2001 წლებში ტრავმების გამო ხშირად არ თამაშობდა. ხოლო 2001-2002 წლების სეზონი მთლიანად გამოტოვა და ეს წელი კიბოსთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას შეალია. ბოლოს და ბოლოს, კოივუმ შარშანდელი სეზონი ბოლომდე ჩაატარა, 82 მატჩში 21 გოლი გაიტანა და 50 შედეგიანი გადაცემა განახორციელა. მისმა დაბრუნებამ შეტევაში სიცოცხლე უნდა შეჰმატოს კანადელებს, რომლებმაც წლევანდელ სეზონში მხოლოდ 26 შაიბა გაიტანეს, რაც ლიგაში ბოლოსწინა მაჩვენებელია.

## რაგბი

# ზელანდიის დაწყებული ინგლისმა დაასრულა

### მსოფლიო თასზე ნახევარფინალისტთა ვინაობა გაირკვა

პაატა თოთაძე

აქამდე ყოველგვარი მოულოდნელობებისა და სენსაციების გარეშე მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშება კვლავაც ასეთად რჩება - მეოთხედფინალებში გაიმარჯვა ყველა იმ გუნდმა, ვისაც უპირატესობას ანიჭებდნენ.

მიუხედავად ამისა, გასაკვირი იყო, თუ რა იოლად გაუსწორდნენ ირლანდიელებს ფრანგები. საფრანგეთ-ირლანდიის დაპირისპირება ყველაზე ძნელად პროგნოზირებად მატჩად ითვლებოდა, თუმცა, გამარჯვებულის გამოვლენას ყველაზე მცირე დრო სწორედ ამ შეხვედრაში დასჭირდა. მართალია, კელტებმა სამი ლელო გაიტანეს, მაგრამ ეს მას შემდეგ, რაც ანგარიში 37:0 და მატჩის ბედიც გადაწყვეტილი იყო. უკვე პირველ ტაიმში ფრანგებმა 27 ქულის მოპოვება შეძლეს და ამ ხნის მანძილზე მეტოქეს მხოლოდ ტაიმის მიწურულს მისცეს მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევის განხორციელების საშუალება. თუმცა, შეტევას ვინ ჩივის, როცა ირლანდიელებმა 40 წუთის განმავლობაში ოთხჯერ თუ ხუთჯერ მოახერხეს მეტოქის ნახევარზე გადასვლა. ფრანგებს, ინგლისელებთან ერთად, საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავთ ევროპაში. ასე რომ, მათ ხელდახელ თამაშში აშკარად დაჩაგრეს მეტოქე. მათ მხარი აუბეს მორკინალებმაც, რომლებმაც სტატიკაშიც და დინამიკაშიც აჯობეს ირლანდიელებს. ყოველივე ამან ერთობ საგრძნობი გახადა ფრანგთა უპირატესობა, რომელიც შეუძლებელი იყო, ანგარიშში არ ასახულიყო. ოთხიდან სამი ლელო სწორედ მორკინალების ანგარიშზეა, აქედან ორ შემთხვევაში ფრანგი მესამეხაზელები გარემარბების ადგილზე აღმოჩნდნენ და ისე გაიტანეს ლელოები. ირლანდიელთაგან ბრაიან ოდრისკოლი გამოირჩა ორი გატანილი ლელოთი. საერთოდაც, ირლანდიელებმა ყველა ლელო შესვენების შემდეგ გაიტანეს, თუმცა, ამ დროისთვის ფრანგებიც უკვე სხვაგვარად თამაშობდნენ. საბოლოოდ, "მამლებმა" 43:21 მოიგეს და ნახევარფინალში უელსის მომგებ ინგლისს შეხვდებიან.

"ჩვენ მხოლოდ ერთი ტაიმი ვითამაშეთ, ეს კი ორი ტაიმისგან შემდგარი მატჩის მოსაგებად საკმარისი არაა", - გულდაწყვეტილი იყო ირლანდიელთა კაპიტანი ქის ვუდი. ამავე აზრისა იყო ბრაიან ოდრისკოლიც, რომლის თქმითაც, ვერც ერთი გუნდი ვერ შეძლებდა ფრანგთა დამარცხებას, თუ პირველ ტაიმში ასეთ ფორას მისცემდა. ფრაგთა კაპიტნის, ფაბიენ გალტიეს თქმით კი, ამ გამარჯვების მთავარი მიზეზი მათი სწორი სათამაშო ტაქტიკა და დისციპლინა იყო.



ცოტა ანერვიულა გულშემატკივარი ინგლისის ნაკრებმა, რომელმაც ბოლო მეოთხედფინალში უელსის ეროვნულ გუნდს 28:17 მოუგო. ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი შესვენებაზე შვიდქულიანი ჩამორჩენით წავიდა – 3:10. ზელანდიელებთან მატჩის მსგავსად, საწყისი ჩამორჩენა უელსელებმა ამჯერადაც იოლად დაძლიეს და პირველ ტაიმში ვილკინსონის ერთ საჯარიმოს ორი ლელოთიც უპასუხეს. ლელოების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უელსელებს უნდა მოეგოთ, რადგან მეტოქისგან მხოლოდ ერთი მიიღეს, თავად კი სამი გაიტანეს. მაგრამ რა ვუყოთ, რომ ინგლისელებს ჯონი ვილკინსონი ჰყავთ? შესანიშნავი თამაშით და უფრო მეტად უზუსტესი დარტყმებით განთქმული ნახევარმცველი გუშინაც შეუდარებელი იყო – მის ანგარიშზე 23 ქულაა.

პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მეორეში სურათი კარდინალურად შეიცვალა, 22 წუთში ინგლისელებმა ანგარიში შვიდქულიანი ჩამორჩენა 15-ქულიან უპირატესობად გარდასახეს და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, ამ დროში გადაწყვიტეს.

მეორე ნახევარფინალური წყვილი გუშინწინდელი მეოთხედფინალების გამარჯვებულებმა, ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ შეადგინეს. პირველ მეოთხედფინალში ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა შეხვდნენ ერთმანეთს. ბოლო წლებში ზელანდიელები აშკარად უკეთ გამოიყურებიან. ამდენად, მატჩში ფავორიტადაც ისინი იყვნენ მიჩნეულნი, მაგრამ ერთ მატჩს ყველა თამაშობსო, ნათქვამია და არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ აფრიკელებს რაიმე სიურპრიზი შეეთავაზებინათ გულშემატკივრისთვის. თუმცა, ამის ალბათობა ძალიან მცირე იყო.

"მიხარია, რომ შეხვედრა ასეთი შედეგით დასრულდა. უფრო სწორად, სიტყვა "მიხარია" სრულად არ გამოხატავს იმას, რასაც განვიცდი. აფრიკელებმა დანაპირები შეასრულეს და იმაზე ძლიერი გუნდი გამოგვიყვანეს, ვიდრე აგვისტოში, მაგრამ ჩვენც ასეთივე მდგომარეობაში ვიყავით. დღეს ჩვენი გუნდი იმაზე უფრო ძლიერია, ვიდრე რამდენიმე თვის წინ სამი ერის გათამაშებისას და, ვფიქრობ, მსოფლიო თასის მოგებასაც შევძლებთ. სასიამოვნოდ გამაკვირვეს მორკინალებმა. არ მეგონა, თუ აფრიკელებთან ისინი ასეთ უპირატესობას მოიპოვებდნენ", - განაცხადა ახალზელანდიელთა მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა. მიტჩელმა მორკინალებზე გაამახვილა ყურადღება. მათ, მართლაც, თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგეს, მაგრამ არანაკლები უპირატესობა ჰქონდა უკანა ხაზსაც. ზელანდიელი ნახევარმცველები ხომ ცალკე საუბრის თემაა. განსაკუთრებით გამოირჩა კარლოს სპენსერი, რომელმაც მატჩის მიწურულს ჟონგლიორობაც კი დაიწყო. ზელანდიელებზე ვსაუბრობთ და, არც იმის უთქმელობა იქნება, რომ აფრიკელებმა ლელოს გატანის ორი შანსი გაუშვეს ხელიდან. ორივე შემთხვევაში იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენს უნდა ეყოჩაღა, მაგრამ პირველ შემთხვევაში ზელანდიელებმა მოახერხეს სალელოო მოედნის სიახლოვეს მისი აუტში გადაყვანა, მეორედ კი მიულერმა ვერ ივარგა და თანაგუნდელს დროულად ვერ მისცა პასი. შედეგად აფრიკელები მხოლო ჰაუგაარდის სამ საჯარიმოს დასჯერდნენ, მაშინ როცა მეტოქემ სამი ლელო გაიტანა და მაკდონალდს რომ უფრო ზუსტად ერტყა, ანგარიშში სხვაობა მეტი იქნებოდა, ისე კი – 29:9.

გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა ავსტრალიისა და შოტლანდიის მატჩში, თუმცა, ინგლის-უელსისა არ იყოს, მასპინძლებმა ცოტა ანერვიულეს გულშემატკივარი, როცა შესვენებამდე უპირატესობა ვერ მოიპოვეს და ტაიმი 9:9 დასრულდა. მეორეში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ავსტრალიელებმა მატჩის ბედი 25 წუთში გადაწყვიტეს. ეს მონაკვეთი მათ 24:0 მოიგეს, შეხვედრის მიწურულს კი შოტლანდიელ რასელს ლელოს გატანისა და საბოლოო ანგარიშის დაფიქსირების საშუალება მისცეს – 33:16.

## კალათბურთი

# NBA-ში ანტირეკორდების სეზონია

სანდრო ნავერიანი

8 ნოემბერს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში გაიმართა 8 მატჩი. აქედან ორში ქართველი ლეგიონერები იღებდნენ მონაწილეობას. პორტლენდში, "როუზ გარდენის" პარკეტზე, ადგილობრივმა "ტრეილ ბლეიზერსმა" "ატლანტა ჰოუქსს" უმასპინძლა. პორტლენდელთა შემადგენლობაში ვლადიმერ სტეფანიამ სულ რაღაც 16 წუთი ითამაშა. ამ ხნის განმავლობაში მან შეძლო 2 ქულის აღება და 7-ჯერ ფარიდან ბურთის მოხსნა. გასულ წლებთან შედარებით სტეფანია ნაკლებად შედეგიანია, რაც, ალბათ, იმის ბრალია, რომ უფრო ნაკლებ დროს ატარებს მოედანზე. იმედია, ეს ყველაფერი დროებითია და ნელნელა ფორმაში შევა.

"ბლეიზერსმა" გაიმარჯვა. მის შემადგენლობაში ბრწყინავდა ზაკ რენდოლფი (29). მან ლიდერობა თავის თავზე აიღო და საქმე ბოლომდე მიიყვანა. რენდოლფს ძალიან დაეხმარა მისი თანაგუნდელი ჯეფ მაკაინისი (21). სტუმართა შემადგენლობა ოპტიმალურად გამოიყურებოდა, მაგრამ თავს ზევით ახტომა ვერ შეძლო ვერც შარიფ აბდურ-რაჰიმმა (18) და ვერც სტეფენ ჯექსონმა (16) მოახერხა სასწაულის მოხდენა.

ზაზა ფაჩულიას "ორლანდო მეჯიქი" სტუმრად, ჰიუსტონში, ადგილობრივ "როკეთსთან" ურთიერთობის გასარკვევად ჩავიდა. "ტოიოტა ცენტრის" პარკეტი ორლანდოელთათვის უიღბლო აღმოჩნდა - მათ დათმეს შეხვედრა, თუმცა, არა უბრძოლველად. ბოლო ორი თამაშია, ორლანდოელთა ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი ვერ აჩვენებს ისეთ შედეგს, როგორსაც მისგან ელიან. მაკგრეიდის პასიურობას ჯუვეინ ჰოვარდის ლიდერობა აბათილებს, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მატჩი სასურველ შედეგამდე მიიყვანონ ორლანდოელმა კალათბურთელებმა. ამ მატჩში ჰოვარდმა 22 ქულა მოაგროვა, მაგრამ მატჩის შემდეგ ინტერვიუში განაცხადა: "ვინ არის ეს ჩინელი? რამხელაა? რაც ჩინეთის მოსახლეობას სიმაღლე აკლია, ალბათ, სულ ამას მოემატაო", - ალბათ, მიხვდით, რომ საუბარია ჩინელ გიგანტზე იაო მინგზე. ჩინელმა სულ რაღაც 16 ქულა მოაგროვა, მაგრამ ყოველი ფარიდან ასხლეტილი ბურთი მისი ნადავლი ხდებოდა და ამიტომაც იყო გაბრაზებული ჯუვეინ ჰოვარდი. ჰიუსტონელთა შემადგენლობაში სტივ ფრენსისი (31) ბრწყინავდა. როგორც იტყვიან ხოლმე, პარკეტი ამოყარა. თავდასხმაში მას ეხმარებოდა კატინო მობლი (21), რომელმაც, თავის მხრივ, ძალიან კარგად ითამაშა.

ყველაზე საინტერესო და დაძაბული მატჩი გაიმართა სან ანტონიოში, "ესბისი ცენტრის" პარკეტზე, სადაც ადგილობრივმა "სფარზმა" დალას "მავერიქსს" უმასპინძლა. თუ გახსოვთ, ბოლო სეზონის, პლეი-ოფის ფინალში სწორედ ეს ორი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს, სადაც ტიმ დანკანმა და კომპანიამ გამარჯვება მოიპოვა. ამ მატჩში დალასელ მოხეტიალეებს რევანშის შანსი მიეცათ და, თუ მოვლენებს გავუსწრებთ, მოგახსენებთ, რომ მავერიკებმა ეს შეძლეს, თუმცა, ეს რევანში არ იყო სრულფასოვანი. ამის მიზეზი არის ის, რომ "სან ანტონიომ" ფინალში დაამარცხა "დალასი", სადაც საუკეთესონი იყვნენ ტიმ დანკანი და ტონი პარკერი, რომლებიც ამ მატჩში მონაწილეობას ვერ იღებდნენ. უკვე მეორე თამაშია, რაც "სფარზი" თავისი ლიდერების გარეშეა დარჩენილი. მათ არყოფნაში ლიდერობას მანიუ ჟინობილი (17) და მალიკ როზიფი (20) ახერხებენ. დალასელები ოპტიმალური შემადგენლობით გავიდნენ მოედანზე



*დირკ ნოწიცკიმ რევანში აიღო*

და მოიგეს კიდეც. გერმანელი დირკ ნოვიცკი, უკვე რა ხანია, დალასელთა ლიდერად ითვლება. მან ამ შეხვედრაში 15 ქულა მოაგროვა. სტივ ნეშმა (15) და ანტუან ჯემისონმა (20) მეოთხე პერიოდში იმდენი ქულა მოაგროვეს, რამდენიც სჭირდებოდათ და გაიმარჯვეს. როგორც ხედავთ, დანკანისა და პარკერის გარეშე, "სფარზი" ვერაფერი გუნდია, თუმცა, ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ბევრი ასეთი გუნდი იყო და ახლაც არის. საკმარისია გავიხსენოთ "ჩიკაგო ბულსი" ჯორდანისა და პიპენის გარეშე, სიეტლ "სუპერსონიქსი" კემპისა და პეიტონის გარეშე, ნიუ იორკ "ნიქსი" იუვინგისა და სტარქსის გარეშე და ა.შ.

ადრე ვწერდით, რომ დენვერ "ნაგეთსმა" "რეკორდი" დაამყარა. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთ მეოთხედში 7 ქულა მოაგროვეს. თუმცა, ამ რეკორდმა სულ ორ დღეს გაძლო. საქმე ის არის, რომ 7 ნოემბრის მატჩში, რომელიც ვაშინგტონში, "ემსიაი ცენტრში" გაიმართა, სადაც ადგილობრივმა "ვიზარდსმა" ვინს კარტერს და კომპანიას უმასპინძლა, ტორონტოელმა კალათბურთელებმა "მოახერხეს" და მეორე მეოთხედში 4 ქულის მეტი ვერ მოაგროვეს. ესეც ახალი რეკორდი! თუ ამას რომელიმე გუნდი მოხსნის, მაშინ... მაშინ ის გუნდი ანტარქტიდაში უნდა წაიყვანო და კალათბურთი პინგვინებთან ათამაშო. დაამყარონ მერე რეკორდები და იყვნენ თავისთვის. როგორც ხედავთ, წლევანდელი სეზონი ბევრ საინტერესოს გვპირდება.

**მაიამი - მინესოტა** .................... 79:88
**იუტა - მემფისი** .................... 96:89
**კლივლენდი - ვაშინგტონი** .................... 111:98
**მილუოკი - ნიუ იორკი** .................... 90:87
**პორტლენდი - ატლანტა** .................... 90:83
**ჰიუსტონი - ორლანდო** .................... 96:86
**სან ანტონიო - დალასი** .................... 78:81
**ნიუ ორლეანი - ჩიკაგო** .................... 106:109

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| **ნიუ ჯერსი** | **6** | **3** | **3** | **0.500** |
| **ფილადელფია** | **6** | **3** | **3** | **0.500** |
| **ვაშინგტონი** | **6** | **3** | **3** | **0.500** |
| **ბოსტონი** | **5** | **2** | **3** | **0.400** |
| **ნიუ იორკი** | **6** | **2** | **4** | **0.333** |
| **ორლანდო** | **7** | **1** | **6** | **0.143** |
| **მაიამი** | **6** | **0** | **6** | **0.000** |
| ინდიანა | 6 | 5 | 1 | 0.833 |
| დეტროიტი | 5 | 4 | 1 | 0.800 |
| ნიუ ორლეანი | 7 | 5 | 2 | 0.714 |
| ტორონტო | 5 | 3 | 2 | 0.600 |
| მილუოკი | 7 | 4 | 3 | 0.571 |
| ჩიკაგო | 7 | 3 | 4 | 0.429 |
| კლივლენდი | 6 | 1 | 5 | 0.167 |
| ატლანტა | 6 | 1 | 5 | 0.167 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| **ჰიუსტონი** | **5** | **4** | **1** | **0.800** |
| **იუტა** | **6** | **4** | **2** | **0.667** |
| **დალასი** | **7** | **4** | **3** | **0.571** |
| **მინესოტა** | **7** | **4** | **3** | **0.571** |
| **დენვერი** | **6** | **3** | **3** | **0.500** |
| **სან ანტონიო** | **7** | **3** | **4** | **0.429** |
| **მემფისი** | **6** | **2** | **4** | **0.333** |
| სიეტლი | 3 | 3 | 0 | 1.000 |
| ლ.ა. ლეიკერსი | 6 | 5 | 1 | 0.833 |
| საკრამენტო | 5 | 3 | 2 | 0.600 |
| გოლდენ სთეითი | 5 | 3 | 2 | 0.600 |
| პორტლენდი | 6 | 3 | 3 | 0.500 |
| ფენიქსი | 5 | 2 | 3 | 0.400 |
| ლ.ა. კლიპერსი | 3 | 1 | 3 | 0.333 |

# "საოჯახო ტოტო"-ს 8 ნოემბრის №33 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგების თანხა |
|---|---|
| 000502 | 1,5 |
| 000522 | 1,5 |
| 000546 | 3,0 |
| 000554 | 1,0 |
| 000571 | 2,5 |
| 000574 | 1,5 |
| 000645 | 2,0 |
| 000647 | 1,5 |
| 000665 | 6,0 |
| 000680 | 2,0 |
| 000689 | 12,5 |
| 000705 | 3,5 |
| 000766 | 2,0 |
| 000772 | 4,5 |
| 000774 | 2,5 |
| 000782 | 2,5 |
| 000784 | 1,0 |
| 000785 | 2,0 |
| 000789 | 12,5 |
| 000818 | 1,0 |
| 000835 | 2,5 |
| 000854 | 1,0 |
| 000867 | 5,0 |
| 000869 | 2,0 |
| 000886 | 2,0 |
| 000898 | 10,0 |
| 000899 | 1,0 |
| 000917 | 1,5 |
| 000918 | 1,5 |
| 000921 | 2,5 |
| 000935 | 2,0 |
| 000941 | 1,0 |
| 000944 | 2,0 |
| 000945 | 8,0 |
| 000956 | 100,0 |
| 000961 | 2,0 |
| 000983 | 5,0 |
| 001018 | 10,0 |
| 001047 | 30,0 |
| 001051 | 3,5 |
| 001111 | 1,5 |
| 001124 | 3,0 |
| 001146 | 1,5 |
| 001149 | 1,0 |
| 001187 | 2,0 |
| 001202 | 2,0 |
| 001249 | 3,5 |
| 001255 | 1,5 |
| 001256 | 1,0 |
| 001268 | 1,0 |
| 001287 | 2,0 |
| 001307 | 3,5 |
| 001323 | 1,5 |
| 001325 | 9,0 |
| 001327 | 2,0 |
| 001333 | 5,0 |
| 001337 | 4,0 |
| 001341 | 1,5 |
| 001373 | 3,5 |
| 001405 | 2,0 |
| 001409 | 5,0 |
| 001440 | 2,0 |
| 001442 | 5,0 |
| 001469 | 1,5 |
| 001477 | 3,0 |
| 001484 | 1,5 |
| 001503 | 3,0 |
| 001511 | 1,5 |
| 001515 | 2,0 |
| 001529 | 1,0 |
| 001562 | 1,5 |
| 001570 | 1,5 |
| 001588 | 1,0 |
| 001591 | 5,0 |
| 001597 | 1,5 |
| 001612 | 1,5 |
| 001616 | 3,0 |
| 001645 | 1,0 |
| 001647 | 1,5 |
| 001688 | 7,0 |
| 001706 | 4,0 |
| 001734 | 1,5 |
| 001748 | 1,5 |
| 001749 | 3,0 |
| 001754 | 1,5 |
| 001771 | 2,5 |
| 001775 | 4,5 |
| 001791 | 4,0 |
| 001819 | 3,5 |
| 001835 | 2,0 |
| 001836 | 1,0 |
| 001855 | 1,5 |
| 001862 | 1,0 |
| 001865 | 1,0 |
| 001880 | 2,0 |
| 001922 | 1,5 |
| 001931 | 1,0 |
| 001939 | 2,0 |
| 002003 | 12,5 |
| 002018 | 3,0 |
| 002019 | 2,0 |
| 002024 | 1,5 |
| 002025 | 2,5 |
| 002058 | 1,5 |
| 002076 | 5,0 |
| 002101 | 2,0 |
| 002104 | 1,0 |
| 002120 | 2,5 |
| 002134 | 3,0 |
| 002176 | 1,5 |
| 002233 | 2,5 |
| 002276 | 3,5 |
| 002285 | 1,5 |
| 002301 | 4,5 |
| 002312 | 1,5 |
| 002314 | 1,5 |
| 002372 | 2,0 |
| 002387 | 2,0 |
| 002388 | 2,0 |
| 002389 | 2,0 |
| 002396 | 2,0 |
| 002421 | 2,0 |
| 002432 | 1,5 |
| 002442 | 1,5 |
| 002448 | 1,5 |
| 002449 | 1,5 |
| 002460 | 7,0 |
| 002473 | 2,0 |
| 002519 | 4,0 |
| 002522 | 4,5 |
| 002536 | 1,5 |
| 002578 | 2,5 |
| 002589 | 2,5 |
| 002609 | 2,0 |
| 002648 | 1,0 |
| 002652 | 1,0 |
| 002657 | 1,0 |
| 002684 | 1,5 |
| 002708 | 1,5 |
| 002714 | 2,0 |
| 002721 | 1,0 |
| 002746 | 2,0 |
| 002757 | 1,5 |
| 002760 | 3,5 |
| 002796 | 1,0 |
| 002814 | 6,0 |
| 002821 | 2,5 |
| 002838 | 1,5 |
| 002877 | 2,0 |
| 002892 | 4,5 |
| 002930 | 2,0 |
| 002951 | 2,0 |
| 002989 | 4,0 |
| 003022 | 1,5 |
| 003023 | 2,0 |
| 003054 | 1,5 |
| 003057 | 3,5 |
| 003078 | 3,5 |
| 003102 | 2,5 |
| 003115 | 1,0 |
| 003145 | 1,0 |
| 003153 | 6,0 |
| 003162 | 1,5 |
| 003175 | 2,5 |
| 003198 | 4,5 |
| 003239 | 1,5 |
| 003240 | 1,5 |
| 003242 | 2,0 |
| 003249 | 2,0 |
| 003279 | 1,5 |
| 003332 | 2,0 |
| 003405 | 4,5 |
| 003409 | 3,5 |
| 003457 | 3,0 |
| 003460 | 3,5 |
| 003484 | 3,0 |
| 003488 | 1,5 |
| 003521 | 1,5 |
| 003524 | 1,0 |
| 003535 | 4,0 |
| 003541 | 1,5 |
| 003545 | 1,5 |
| 003546 | 2,0 |
| 003579 | 2,0 |
| 003583 | 2,0 |
| 003591 | 2,0 |
| 003612 | 1,5 |
| 003668 | 4,5 |
| 003676 | 1,5 |
| 003684 | 1,0 |
| 003692 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგების თანხა |
|---|---|
| 003719 | 2,0 |
| 003739 | 1,5 |
| 003752 | 1,0 |
| 003809 | 1,0 |
| 003833 | 1,5 |
| 003835 | 1,5 |
| 003847 | 6,0 |
| 003861 | 1,5 |
| 003863 | 1,5 |
| 003879 | 1,0 |
| 003912 | 2,0 |
| 003933 | 3,0 |
| 003940 | 3,0 |
| 003942 | 1,5 |
| 003954 | 1,5 |
| 003955 | 8,0 |
| 003966 | 1,5 |
| 004000 | 1,0 |
| 004602 | 30,0 |
| 004605 | 1,5 |
| 004606 | 9,0 |
| 004636 | 4,5 |
| 004643 | 750,0 |
| 004646 | 1,5 |
| 004649 | 3,0 |
| 004674 | 1,5 |
| 004676 | 1,5 |
| 004679 | 1,5 |
| 004682 | 2,0 |
| 004685 | 2,0 |
| 004690 | 3,0 |
| 004701 | 2,0 |
| 004709 | 2,5 |
| 004728 | 2,5 |
| 004735 | 1,0 |
| 004736 | 4,0 |
| 004759 | 3,5 |
| 004764 | 1,5 |
| 004791 | 2,5 |
| 004793 | 1,5 |
| 004805 | 1,5 |
| 004826 | 6,0 |
| 004833 | 1,5 |
| 004839 | 5,0 |
| 004861 | 1,5 |
| 004880 | 1,5 |
| 004887 | 4,0 |
| 004898 | 1,5 |
| 004908 | 1,5 |
| 004910 | 1,5 |
| 004940 | 1,5 |
| 004943 | 2,0 |
| 004958 | 1,5 |
| 004975 | 1,5 |
| 004983 | 1,0 |
| 005005 | 2,0 |
| 005008 | 2,0 |
| 005010 | 1,5 |
| 005012 | 1,5 |
| 005056 | 2,0 |
| 005085 | 1,0 |
| 005098 | 2,0 |
| 005113 | 2,0 |
| 005115 | 1,5 |
| 005120 | 1,0 |
| 005121 | 2,0 |
| 005129 | 4,5 |
| 005137 | 1,5 |
| 005147 | 2,0 |
| 005150 | 2,0 |
| 005175 | 2,5 |
| 005222 | 4,0 |
| 005295 | 1,0 |
| 005306 | 1,0 |
| 005352 | 3,0 |
| 005366 | 1,0 |
| 005378 | 2,5 |
| 005388 | 4,0 |
| 005419 | 2,0 |
| 005450 | 2,0 |
| 005470 | 1,5 |
| 005482 | 3,0 |
| 005486 | 1,0 |
| 005489 | 2,5 |
| 005493 | 1,0 |
| 005497 | 3,0 |
| 005539 | 2,0 |
| 005545 | 1,5 |
| 005552 | 3,0 |
| 005578 | 2,5 |
| 005581 | 2,5 |
| 005587 | 3,0 |
| 005603 | 1,5 |
| 005702 | 2,0 |
| 005708 | 8,0 |
| 005737 | 3,5 |
| 005739 | 2,0 |
| 005753 | 1,5 |
| 005773 | 1,5 |
| 005822 | 1,5 |
| 005832 | 1,5 |
| 005834 | 6,0 |
| 005859 | 4,0 |
| 005861 | 3,5 |
| 005863 | 1,5 |
| 005866 | 250,0 |
| 005875 | 1,5 |
| 005887 | 1,5 |
| 005921 | 2,5 |
| 005922 | 2,5 |
| 005924 | 3,0 |
| 005939 | 1,5 |
| 005962 | 3,5 |
| 005987 | 1,5 |
| 006026 | 1,5 |
| 006061 | 4,0 |
| 006073 | 3,0 |
| 006080 | 1,5 |
| 006090 | 8,0 |
| 006104 | 1,0 |
| 006126 | 3,0 |
| 006132 | 1,5 |
| 006133 | 1,5 |
| 006145 | 3,0 |
| 006149 | 2,0 |
| 006150 | 3,5 |
| 006162 | 2,0 |
| 006172 | 3,5 |
| 006194 | 1,5 |
| 006199 | 1,0 |
| 006215 | 1,0 |
| 006222 | 2,0 |
| 006225 | 1,5 |
| 006241 | 1,5 |
| 006243 | 1,0 |
| 006248 | 2,0 |
| 006313 | 1,0 |
| 006323 | 1,0 |
| 006346 | 1,0 |
| 006361 | 3,5 |
| 006378 | 3,5 |
| 006399 | 1,0 |
| 006410 | 3,5 |
| 006419 | 1,5 |
| 006428 | 3,5 |
| 006472 | 1,5 |
| 006490 | 1,5 |
| 006500 | 1,5 |
| 006508 | 2,0 |
| 006520 | 1,5 |
| 006562 | 2,0 |
| 006564 | 6,0 |
| 006572 | 7,0 |
| 006596 | 1,0 |
| 006623 | 4,0 |
| 006658 | 5,0 |
| 006671 | 2,0 |
| 006674 | 1,5 |
| 006708 | 1,5 |
| 006741 | 1,0 |
| 006773 | 1,5 |
| 006776 | 1,5 |
| 006817 | 4,0 |
| 006831 | 2,0 |
| 006841 | 3,5 |
| 006854 | 2,0 |
| 006865 | 1,5 |
| 006875 | 1,5 |
| 006882 | 2,0 |
| 006889 | 1,0 |
| 006937 | 3,0 |
| 006973 | 1,5 |
| 007008 | 1,5 |
| 007033 | 1,5 |
| 007040 | 1,0 |
| 007042 | 1,5 |
| 007059 | 2,0 |
| 007063 | 3,5 |
| 007064 | 1,5 |
| 007111 | 1,0 |
| 007116 | 3,5 |
| 007125 | 1,0 |
| 007144 | 4,0 |
| 007146 | 1,5 |
| 007176 | 1,5 |
| 007187 | 4,5 |
| 007222 | 1,5 |
| 007228 | 3,5 |
| 007246 | 1,0 |
| 007262 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგების თანხა |
|---|---|
| 007280 | 1,0 |
| 007284 | 1,5 |
| 007301 | 1,0 |
| 007311 | 2,5 |
| 007342 | 1,5 |
| 007346 | 1,5 |
| 007351 | 4,0 |
| 007380 | 2,0 |
| 007381 | 2,0 |
| 007404 | 2,0 |
| 007409 | 5,0 |
| 007429 | 1,5 |
| 007439 | 1,5 |
| 007469 | 2,0 |
| 007474 | 2,0 |
| 007503 | 1,0 |
| 007509 | 3,0 |
| 007516 | 1,0 |
| 007528 | 3,5 |
| 007530 | 1,0 |
| 007534 | 3,5 |
| 007541 | 1,5 |
| 007542 | 3,0 |
| 007642 | 1,5 |
| 007663 | 2,0 |
| 007665 | 1,5 |
| 007674 | 2,0 |
| 007701 | 1,5 |
| 007738 | 1,5 |
| 007760 | 3,0 |
| 007763 | 2,0 |
| 007766 | 3,0 |
| 007808 | 1,5 |
| 007812 | 15,0 |
| 007834 | 1,0 |
| 007839 | 1,0 |
| 007840 | 1,5 |
| 007878 | 7,0 |
| 007923 | 2,0 |
| 007953 | 1,0 |
| 007956 | 7,0 |
| 007967 | 1,5 |
| 008032 | 1,5 |
| 008041 | 3,5 |
| 008050 | 3,0 |
| 008067 | 2,0 |
| 008703 | 1,5 |
| 008708 | 5,0 |
| 008732 | 2,0 |
| 008756 | 1,5 |
| 008768 | 9,0 |
| 008771 | 1,5 |
| 008785 | 1,0 |
| 008795 | 1,5 |
| 008810 | 2,0 |
| 008830 | 7,0 |
| 008840 | 1,0 |
| 008843 | 1,5 |
| 008845 | 1,5 |
| 008885 | 2,5 |
| 008898 | 2,0 |
| 008903 | 1,0 |
| 008930 | 2,0 |
| 008934 | 1,5 |
| 008998 | 1,5 |
| 009020 | 1,0 |
| 009096 | 2,5 |
| 009102 | 1,5 |
| 009110 | 2,5 |
| 009120 | 2,0 |
| 009142 | 1,5 |
| 009153 | 3,5 |
| 009167 | 4,5 |
| 009193 | 1,0 |
| 009218 | 2,5 |
| 009267 | 1,0 |
| 009269 | 1,5 |
| 009271 | 2,0 |
| 009282 | 2,0 |
| 009296 | 1,0 |
| 009299 | 3,5 |
| 009302 | 1,5 |
| 009338 | 1,0 |
| 009435 | 1,0 |
| 009447 | 3,0 |
| 009463 | 2,0 |
| 009482 | 1,5 |
| 009495 | 2,0 |
| 009509 | 1,0 |
| 009511 | 1,0 |
| 009562 | 1,5 |
| 009573 | 2,5 |
| 009640 | 1,0 |
| 009644 | 1,5 |
| 009658 | 7500,0 |
| 009659 | 7,0 |
| 009672 | 1,0 |
| 009680 | 2,0 |
